

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეროვნული

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი
2018



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გ ა ს ა ლ ე ბ ი

IX სტუდენტური რეგიონთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია

ურთიერთობათა და კონფლიქტების
დარეგულირებისათვის

ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო
მიმართულების პროექტი

IX სტუდენტური რეგიონთაშორისი
სამეცნიერო კონფერენცია

მასალები



უნივერსიტეტის
გამოცემა

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორები: რევაზ ჯორბენაძე, ირმა ხარშილაძე, ნანი გელოვანი, გიორგი გოგსაძე,
სერგი ჯორბენაძე, დიმიტრი გეგენავა, ეკა ლეკაშვილი, ქეთევან სიხარულიძე, თამარ შარაბიძე,
ინგა სანიკიძე, ნანა გონჯილაშვილი, ნინო ჭალაგანიძე, ხათუნა კაჭარავა, მარიამ ბაკურაძე, თა-
მარ კვიშინაძე, (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ავტორთა სტილი დაცულია

ს ა რ ჩ ე ვ ი

აოცელიქტოლობია, სამართალი

თამარ ჩირინაშვილი

ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ.....8

თამარ ჩხიკვაძე, გვანცა კუტუბიძე,

პრობლემის ჰონკონგური მოგვარება12

მაია ახალკაციშვილი

ახალგაზრდების როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში16

მიხეილ ოსიშვილი, ბექა ჩოგოვაძე

ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა – აფხაზეთი21

ეკონომიკა

თათია ბრეგვაძე

სოციალური მედიამარკეტინგის შესაძლებლობები და გამოწვევები თანამედროვე ბიზნესში
ობიექტივში (Facebook-ის მაგალითზე)27

ხათუნა თაბაგარი

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო მილსადენების (არსებული და პერსპექტიული
პროექტების) გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე36

კუმანიტარული მეცნიერებანი: ეთნოლოგია, ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა

ქეთევან ციმინტია

დამნაშავეთა გამოაშეკარავებისა და სასჯელის ფორმების შესახებმეგრულ ჩვეულებით სამართალში42

თეონა კვანჭიანი

ერთი ხალხური დღესასწაულის შესახებ სვანეთიდან მიგირირებულ ეკომიგრანტთა შორის45

მაია კობიაშვილი

„ცისფერყანწელები“ 1936-1937 წლების ქართულ პრესაში47

მარი ტოტიკაშვილი, ნანული ეცადაშვილი, ციური მეზვრიშვილი

მუსიკაში აუდერებული ქართველი პოეტები54

ვაჟა სანთელაძე

ისტორიული ცნობები და ლეგენდები იოანე პრესვიტერის შესახებ60

კლარა გელაშვილი

ომის პარადიგმა ქართულ მწერლობაში – ომის თემა ოსურ ლიტერატურაში65

სპანეინაგისტიკა

მარიამ მანია

რუნები-ქვაზე გაცოცხლებული ისტორია78

ნანი მეტრეველი, სოფიკო ქსოვრელი

კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელები: ნორდიკული ქვეყნები81

ნინამდებარე კრებულში ტრადიციისამებრ თავმოყრილია გასულ 2017 წელს – სტუდენტთა IX

წევანდისა და მომზადებული განაცხადიდან კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილ მოხსენებათა შორის შერჩეული მასალები. 189 შემოსული განაცხადიდან კონფერენციაზე წარმოდგენილ შეირჩა 12 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებული 62 მოხსენება. კონფერენციაზე შემოსულ და შერჩეულ მასალათა მრავალფეროვანი და მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე ჩამოყალიბდა 9 სხვადასხვა თემატიკის სამუშაო სექცია. კონფერენციის მუშაობის დროს თითოეულ სექციაზე მოხსენებების წარმოდგენის შედეგად სექციის ხელმძღვანელების მიერ გამოქვეყნებისათვის რეკომენდაცია გაეწია ნაშრომთა ერთ ნაწილს.

შემდგომ ეტაპზე სარედაქციო კოლეგიამ იმუშავა კონფერენციაზე გამოგზავნილ და შერჩეულ მასალებზე; წარმოდგენილი მოხსენებების გადარჩევის შედეგად, ნაშრომებში წარმოჩენილი კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმისა და თავისთავადობის, მეცნიერული, მორალური პოზიციისა და ხარისხის გათვალისწინებით წარმოდგენილ მასალათა შორის შერჩეულ იქნა მოხსენებები, რომლებიც მომზადდებოდა „მერმისის“ ახალ კრებულში დასაბეჭდად.

სწორედ ამ შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შედეგები აისახა „მერმისის“ წინამდებარე კრებულში, შეირჩა რა 14 მოხსენება სხვადასხვა სპეციალობებიდან. კრებულის სპეციფიკისა და ჩვენი სამუშაო გეგმის გათვალისწინებით ამჯერადაც კრებულის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება, ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ ჩვენი ყოველი წლევანდელი აქტივობა – კრებულიდან დაწყებული, კონფერენციითა და სხვა ღონისძიებებით გაგრძელებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის უიბილეს ეძღვნება.

ამ თარიღთან მიმართებაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი საორგანიზაციო ჯგუფისათვის და ჩვენი პროექტისათვის – „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ იმთავითვე აღიარებულ მთავარ სამუშაო პრინციპების და იდეის განხორციელებას: აკადემიურობას, ინტეგრირებას და თანამშრომლობას სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევრებთან და სტუდენტებთან.

ამ პრიციპთა და ტრადიციათა კვალობაზე „მერმისის“ წინამდებარე კრებულიც ამ ღირებულებათა წარმომჩენია.

თამარ პაიჭაძე

თამარ ჩირინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი,
ხელმძღვანელი: პროფესორი **მალხაზ მაცაძერიძე**

**ახალგაზრდაპის დამოკიდებულების კვლევა ქართულ-აზერბაიჯანის
კონფლიქტის შესახებ**

კავკასიის რეგიონი ყოველთვის წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფების დაპირისპირების ველს. კონფლიქტები კავკასიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსოფლიო გამოწვევაა. არსებული საკითხის განხილვისას აუცილებელია ვახსენოთ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი.

აფხაზეთის ომი 1992-1993 წლებში იყო ომი საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა. სეპარატისტთა მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი), დაქირავებული მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში.

კონფლიქტის მოგვარების ხელისშემშლელი ფაქტორები იყო სამოქალაქო ომი ე. წ. „ზვიადისტებთან“ (ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან), რომელიც მიახლოებით იმავე პერიოდში განვითარდა დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოსა და აფხაზეთში და ქართულ-ოსური კონფლიქტი.

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 20,000-დან 30,000-მდე ეთნიკური ქართველი, ხოლო 250,000-ზე მეტი ადამიანი კი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა. კონფლიქტის განმავლობაში ორივე მხარის მიერ ჩადენილი იქნა უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. მოკლული იქნა 2,500-დან 4,000-მდე აფხაზი, 20,000 აფხაზი კი ლტოლვილად იქცა.

პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უნესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის „დე ფაქტო პროტექტორატია“.

არსებული საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით მივმართე კვლევის თვისებრივ მეთოდს, დოკუმენტების ანალიზს (შეთანხმებებს, მოლაპარაკებებს საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობას შორის, საქართველოს სტრატეგიას რუსეთისა და აფხაზეთის მიმართ, მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს). ასევე სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველზე გამოვიყითხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების სტუდენტებს. კვლევის

შედეგები დაგვეხმარება, განვსაზღვროთ, როგორ შეიძლება სიტუაციის ორივე მხარისათვის სასიკეთოდ შემობრუნება.

გამოვიყითხე სულ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების 15 სტუდენტი – 8 გოგო და 7 ბიჭი. კითხვების ფორმულირება იყო საკმაოდ საინტერესო. გამოკითხვის შესავალ ნაწილში დავსვი კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას დღესდღეობით საქართველო. დასახელდა ძირითადად სოციალური, ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა უმუშევრობა, ვალუტის გაუფასურება, სიღარიბის მაღალი დონე, განათლების დაბალი დონე. პოლიტიკური პრობლემებიდან გამოიყო ტერიტორიული კონფლიქტები (აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტი), სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ხელისუფლების შტოები, განსაკუთრებით კი აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის ჩართული არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხში. საკანონმდებლო ორგანოშიც მათი თქმით, არ მიდის დიალოგი აღნიშნულ საკითხზე და მის მოგვარების გზებზე. ძირითადი აქცენტი გადატანილი ჩვენი და ევროპის კავშირზე, ამ მხრივ ურთიერთობების დარეგულირებაზე, არ მიდის მსჯელობა საქართველოსათვის მნიშვნელოვან პრობლემებზე. ფაქტობრივი კითხვების დასმის საშუალებით შევამოწმე სტუდენტების ცოდნა აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ. სტუდენტები ასე თუ ისე იყვნენ ინფორმირებულნი, თუმცა სიღრმისეული ცოდნა ამ საკითხის შესახებ მათ არ ჰქონდათ. პირველივე კითხვა, რაც ფაქტობრივ ცოდნას მოითხოვდა, ანუ ვეტერანთა რომელ წლებში მიმდინარეობდა აღნიშნული ომი, მხოლოდ ცხრამ გვიპასუხა სწორად. რამდენიმე პასუხში ძალიან დიდი დროითი განსხვავება იყო რეალურ თარიღთან შედარებით, რასაც არ მოველოდი. კითხვაზე, რომელიც კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს ეხებოდა, ერთმა ნაწილმა სტუდენტებისა დაასახელა აფხაზეთის სურვილი და მიზანი ჰქონდათ ავტონომია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სურდათ უმრავლესობით ყოფილიყვნენ წარდგენილნი პარლამენტში, ითხოვდნენ აფხაზურ ტელევიზიას, ერთმა სტუდენტმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აფხაზებს რეალურად ჰქონდათ საეთერო დროის განაკვეთი, თუმცა მოითხოვდნენ სრულ დამოუკიდებლობას. მეორე ნაწილმა დაასახელა გარე ძალების ჩარევის ტენდენცია. კერძოდ ამ მხრივ დაასახელეს რუსეთი, რომელიც სამხედრო ძალითა და აღჭურვილობით ეხმარებოდა აფხაზებს, სომები მოსახლეობაც აღინიშნა, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ისე ერევნიდან გადმოსული მოხალისეები. ასევე იყვნენ კაზაკები და ჩეჩენები. კონფლიქტის შედეგების შესახებ სტუდენტებს ასე თუ ისე ჰქონდათ ინფორმაცია. მითხვეს, რომ უამრავი ადამიანი დაიღუპა, უფრო მეტი იქცა ლტოლვილად, ციფრები რაც მათ დამისახელეს ახლოს არ იყო რეალურთან (ნაკლები დაასახელეს რეალურზე). სტუდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე.

კითხვაზე, თუ რომელი მხარე მიაჩნდათ მათ უფრო მეტად დამნაშავედ, აბსოლუტურმა უმრავლესობამ ბრალი დასდო რუსეთის მთავრობას და ზოგადად რუსეთის პოლიტიკას საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებით.

საინტერესო იყო სტუდენტების პოზიციის მოსმენა კონფლიქტის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. აღნიშნულ კითხვაზე სტუდენტთა კონსენსუსური გადაწყვეტილება ეხებოდა დიპლომატიური ურთიერთობების წარმოებას როგორც აფხაზეთთან, ისე რუსეთის მთავრობასთან. ზოგმა დააფიქსირა საკმაოდ თამამი მოსაზრება, რომ ომით დაკარგული ომითვე უნდა დავიპრუნოთ.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა საქართველოს ორი, მის მიერ ოკუპირებული რეგიონი „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ გამოაცხადა, საქართველოს უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის „არაღიარების“ მიღწევა იყო. საერთაშორისო საზოგადოებრიობა დადგა სამართლიანობის მხარეზე და

რუსეთის მიერ აღიარებული „სუვერენული“ სახელმწიფოები, მიუხედავად მოსკოვის დიდი ძალისხმევისა, მხოლოდ რამდენიმე მარგინალურმა ქვეყანამ სცნო.

„არაღიარების“ პოლიტიკის წარმატების შემდეგ საქართველოს მორიგი ამოცანა იყო საერთაშორისო დონეზე რუსეთის მიერ საქართველოში დაკავებული ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტის აღიარების მიღწევა.

2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტმა შავი ზღვის ქვეყნების შესახებ ახალი სტრატეგია დაამტკიცა. მას საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოაჩნდა. ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელშიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ სიტყვა „ოკუპაცია“ ოფიციალურად ჩაიწერა. ქართველ ექსპერტთა განცხადებით, ამით კიდევ უფრო მყარდება სამართლებრივი ნიადაგი დეოკუპაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ მანამდე, 2010 წლის 20 მაისს, როდესაც ევროპარლამენტმა სამხრეთ კავკასიის შესახებ რეზოლუცია მიიღო, საბოლოო ტექსტში გაქრა რეზოლუციის პროექტში ნახსენები ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებაში.

2011 წლის 20 იანვრის რეზოლუციის 32-ე მუხლში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, ამიტომ ის მოუწოდებს ევროკავშირს აქტიური რეაგირება მოახდინოს შავი ზღვის რეგიონში მომხდარ ადამიანის უფლებათა თითოეულ დარღვევაზე. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს უსაფრთხოების პილიტიკისა და საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელს კეტრინ ეშტონს, გააძლიეროს თავისი ზენოლა რუსეთზე, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, საქართველოსთან კონფლიქტის მოგვარებისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში საქართველოს მიღებული აქვს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი – ერთია კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (2008 წლის 23 ოქტომბერი), მეორეა სტრატეგია იკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. ეს ორი დოკუმენტი გარკვეულწილად ერთმანეთს ენინაალმდეგება, პირველი ამ ტერიტორიების იზოლაციას გულისხმობს, მეორე ჩართულობას, თუმცა ორივე მათგანის რეალიზება სერიოზულ პრობლემებს აწყდება და ხელისუფლებას გზადაგზა უხდება გარკვეული კორექტივების შეტანა თავის სამოქმედო გეგმაში.

კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ითვალისწინებს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით კი ბევრ რამეს დასაშვებად მიიჩნევს, რასაც პირველი კანონი კრძალავს.

სხვაობა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონსა და სამოქმედო სტრატეგიას შორის გასაგებია. ოკუპირებული ტერიტორიების საქართველოსგან იზოლაციას რუსეთი აქტიურად ცდილობს და საქართველოს არ შეუძლია რუსეთის ამგვარი პილიტიკის შეჩერება. საქართველოს ინტერესებში შედის კავშირების შენარჩუნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ მოსახლეობასთან. სწორედ ამაზეა გათვლილი სამოქმედო სტრატეგია. მაგრამ სტრატეგიის რეალიზებაც ფაქტობრივად საოკუპაციო ძალის დ რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. შედეგად, სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ფაქტობრივად უმოქმედო აღმოჩნდა.

შემოგვთავაზებთ ჩემს მოსაზრებებს აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების საკითხში:

• უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობ, რომ აუცილებელია საქართველომ აირჩიოს სახალხო დიპლომატიური კურსი რუსეთთან მიმართებით. ხაზს ვუსვამ, სახალხო დიპლომატია და არა ტერიტორიული, პოლიტიკური დიპლომატია. საჭიროა, ვაწარმოოთ მოლაპარაკებები ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. საქართველო არის პატარა ქვეყანა, რუსეთი კი მასზე ბევრად ძლიერი, შესაბამისად, არ ღირს ურთიერთობის გამწვავება;

• საქართველომ კონფლიქტურ რეგიონებთან ახლოს უნდა ააშენოს დიდი სავაჭრო ზონები. დღესდღეობით ცხინვალის რეგიონზეც და აფხაზეთზეც მსოფლიოს ემბარგო აქვს გამოცხადებული და მათ მხოლოდ რუსეთთან აქვთ სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები. შესაბამისად, ამ სავაჭრო ზონებში საქართველომ უნდა უზრუნველყოს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან პროდუქციის მიზიდვა და განხაუების გარეშე პირდაპირ ამ ზონებში შეტანა, შედეგად თავისუფლად ივაჭრებს საქართველოს მოსახლეობა. ამ ზონებში მოსახლეობას უნდა შეეძლოს საკუთარი მოსავლის რეალიზაცია;

• ასევე ამ ზონებში უნდა მოეწყოს ახალგაზრდობისათვის გასართობი ცენტრები, კინოთეატრის მსგავსი, კაფე ბარები და სხვა. ამ ზონებში მაღაზიის მფლობელები უნდა იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები, არავითარ შემთხვევაში რომელიმე სხვა ქვეყნის წარმომადგენელს არ უნდა ჰქონდეს ამ ზონებში მაღაზია. მაქსიმალურად უნდა მოხდეს ამ ზონების პოპულარიზაცია, რაც თავიდან რთული იქნება, მაგრამ დროთა განმავლობაში თავის როლს შეასრულებს;

• აუცილებლად მიმართია, რომ აფხაზ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სხვა რეგიონებში კვლევების ჩატარების, საქართველოს მთავრობამ უნდა წაახალისოს აღნიშნული კვლევები. ასევე საჭიროა, ქართველ სტუდენტებს თავისუფლად შეეძლოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე კვლევის ჩატარება – ეს დააახლოებს აღნიშნული რეგიონების სტუდენტებს და უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდის ერთმანეთის შესახებ;

• აფხაზ და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისწავლონ სხვა რეგიონის უნივერსიტეტებში;

• უნდა მოეწყოს ერთობლივი კულტურული ღონისძიებები, სადაც მოხდება ქართველი და აფხაზი სტუდენტების დაახლოება და კულტურული ინტეგრაცია;

• საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ უნდა მოხდეს სწორი ინფორმაციის მიწოდება. ასევე დადებითი შედეგის მომტანი იქნება, თუ ორივე მხარის წარმომადგენელი საჯარო პირები სწორ ინტერპრეტაციას გაუკეთებენ არსებულ სიტუაციას და სწორად შეაფასებენ მას.

ღრმად მწამს, რომ თუ ჩვენი მხრიდან რუსეთისა და აფხაზეთის მთავრობის მიმართ სწორი ნაბიჯები იქნება გადადგმული, საპასუხო რეაქციაც იქნება შესაბამისი – ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, მოგვიტანს სიტუაციის სტაბილიზაციას.

თამარ ჩხილვაძე, გვანცა კუტუბიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი

ახალგაზრდების როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარეობი

თანამედროვე სამყაროში სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, არანაკლები სიმწვავით დგას ეთნოკონფლიქტური ომების საკითხი, რომელებსაც არცთუ მცირედ ვხვდებით თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მხრივ კავკასია ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად ითვლება. გეოპოლიტიკური ინტერესების გზაჯვარედინზე მყოფი ეს რეგიონი 25 წელზე მეტი წელის განმავლობაში გადაუწყვეტელი კონფლიქტების ზონაა. ჩვენ მიზანია განვიხილოთ ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტი, რომელიც „აფხაზეთის ომის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ჯერ კიდევ 1922 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც საბჭოთა კავშირი სამაჩაბლოს სახელის ქვეშ მოიაზრებდა ოსების ავტონომიურ ოლქს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება შულლი აფხაზებთან და ოსებთან. 1991 წლის იანვარში რუსეთმა მოახდინა შეიარაღებული კონფლიქტის ინსპირირება. 1992წელს დაწყებული ომი ერთწლიან ომში გადაიზარდა. პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომშა და ომის შემდგომშა უწესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გაანადგურა. დღესაც, რომელიც საქართველოსგან დდ ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას.

ეს საკითხი აქტუალობას არასდროს კარგავდა, თუმცა 2015 წლის NDI-ის მონაცემებით, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემამ შედარებით უკანა პლანზე გადაინია. ამ საკითხთან დაკავშირებით თითქმის არაა ჩატარებული კვლევები, რომლებზე დაყრდნობითაც ჩვენ შეგვეძლება გავიგოთ იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. ქართული მხარისათვის თითქმის შეუძლებელია აფხაზეთიდან ინფორმაციის მიღება და თუ რაიმე გაგვაჩნია, ეს იქ მცხოვრები ქართველების დამსახურებაა. ამიტომ გადავწყვიტეთ მოგვეძნა სწორედ ისეთი პირები, რომლებიც კომპეტენტურები არიან ამ საკითხში. გაგაცნობთ ჩვენ მიერ გამოკითხული აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად აფხაზი ახალგაზრდების დამოკიდებულებებს, აგრეთვე მიმოვიხილავთ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, სახელმწიფოს სტრატეგიებს, და სხვა.

ჩვენი დიდი სურვილი, რომ დავიბრუნოთ აფხაზეთი, არ არის საკმარისი კონფლიქტების მოსაგვარებლად, საჭიროა დავინუოთ იმაზე ფიქრი თუ რა უნდა თავად აფხაზებს, აფხაზეთში მცხოვრებ ხალხს, გავითვალისწინოთ მათი აზრები, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

სამწუხაროდ, კონტაქტი აფხაზ თანატოლებთან მხოლოდ სოციალური ქსელის საშუალებით მოვახერხეთ. როგორც იცით, აფხაზეთში რუსეთის კონტროლი ვრცელდება, ეს კონტროლი ასევე აღინიშნება სოციალურ ქსელებზეც. ჩვენ გვქონდა მცდელობა რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას დავკავშირებოდით სოციალური ქსელით, თუმცა სამწუხაროდ ცოტა გამოგვეხმაურა და დაგვთანახმდა გამოკითხვაზე.

იმის გასაგებად თუ რა სიტუაციაა დღეს აფხაზეთში, რას ფიქრობს იქ მცხოვრები ხალხი, რა დამოკიდებულება აქვთ მათ საქართველოსადმი ჩავატარეთ არასტრუქტურისტული გამოკითხვა. სოციალური ქსელის მეშვეობით გამოვიკითხეთ 16 აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად აფხაზი ახალგაზრდა. კომუნიკაციის ენა იყო რუსული, მათი ასაკი მერყეობდა 17-დან 25 წლამდე. ჩვენთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა ის განწყობა, რომელიც აფხაზ ახალგაზრდებს აქვთ საქართველოს მიმართ.

პასუხებში, ძირითადად, სამი ტიპის ტენდენცია გამოიკვეთა. დამოკიდებულება იყო ერთის მხრივ დადებითი, რომლებიც ფიქრობდნენ რომ კარგი იქნება ამ კონფლიქტის მოგვარება, მეორე ნაწილი ფიქრობდა, რომ კონფლიქტის აღმოფხვრა შეუძლებელი იყო და მესამე ტიპი იყო ადამიანებისა, რომლებიც საერთოდ უარს ამბობდნენ ამ თემის განხილვაზე.

გამოკითხულთაგან ყველამ აღნიშნა, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ორ-მა ისიც კი აღნიშნა, რომ აფხაზეთი არ არის, არც არასდროს ყოფილა და არც იქნება საქართველოს ნაწილი. „აფხაზეთი ეს ჩვენი მიწაა, თქვენი არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება.“ – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

გამოკითხულთაგან 9 ადამიანი იყო ისეთი, რომელთათვისაც აღნიშნული კონფლიქტის მოგვარება ნიშნავდა მხოლოდ მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის დასტაბილიზებას. მათვის როგორც ჩვენთვის, მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოგვარება და აღსანიშნავია, თუმცა კონფლიქტის მოგვარების შედეგებს სხვადასხვანაირად ვხედავთ. ეთნიკურად ქართველ და აფხაზ მოქალაქეებს ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება აქვთ მანამ, სანამ საუბარი ომის თემას შეეხება.

ოთხი ადამიანის პასუხი, კითხვაზე თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს კონფლიქტი, ცალსახად უარყოფითი იყო. მათი თქმით კონფლიქტის მოგვარება არანაირად არ შეიძლება. ვერ ივინყებენ ომს, რომელმაც ახლობლები წაართვა, დაუნგრია სახლები და უამრავი ზიანი მიაყენა მათ. ამ ყველაფერში ქართველებს გვადანაშაულებენ. აღნიშნავენ, რომ მათ ჩვენდამი ნდობა აქვთ დაკარგული და არ იციან თუ როგორ შეიძლება მისი აღდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა რესპონდენტს თავიდანვე მივაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათი კონფიდენციალობა დაცული იქნებოდა, რამდენიმე მათვანმა მანიც სიფრთხილე გამოიჩინა და უარი გვითხრა გამოკითხვაზე. ასეთი იყო 3 ადამიანი, რომელმაც თავი შეიკავა საუბრის-გან. მათი გვიპასუხეს, რომ თვითონაც იცით რა ვითარებაა ჩვენს შორის და კარგის არაფრის თქმა არ შეგვიძლიაო.

ასევე ჩვენ გავესაუბრეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს, რომელიც წლების მანძილზე აფხაზეთში ცხოვრობს და ჩვენთან სწავლის პერიოდში ჩამოდის მხოლოდ. მან საუბარში აღნიშნა, თუ რა მძიმე სოციალური მდგომარეობაა შექმნილი იქ. მისი თქმით, მის ირგვლივ მყოფი ქართველი ახალგაზრდა ბიჭების ძირითადი სამუშაო მშენებლობაა, რადგან სხვა დასაქმების საშუალება რეალურად არ არსებობს. კითხვაზე თუ რამდენად შესაძლებელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება, რესპონდენტმა გვიპასუხა, რომ, მისი აზრით, ეს ვერ მოხდება და პირიქით ყველაფერი უარესობისკენ მიდის. მაგალითად კი ის ფაქტი მოჰყავს, რომ მისი სკოლა ერთადერთი ქართულენოვანი სკოლა იყო რაიონში და წელს ისიც რუსულენოვანი გახადეს. ქუჩაში თუკი ქართულ ლაპარაკს გაიგებენ იქაური რუსები, აგრესიულ მოპყრობაზე გადადიან და ზიზღის თვალით იწყებენ ყურებას, ხოლო, ამ ფაქტზე აფხაზები ვერაფერს ამბობენ, რადგან რუსების შიში აქვთ.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დიპლომატიასა და განათლებული ახალგაზრდების როლი კონფლიქტის დარეგულირების საკითხში უდიდესია, რადგანაც ეს ის თაობაა, რომელსაც პირადად არ გამოუვლია დაპირისპირებისა და ომის პერიოდი, არ დარჩენია არანაირი წყენა მოძმე აფხაზებისა და ოსების მხრიდან, არ იცნობს საბჭოთა კავშირს და თავისუფალ ქვეყანაში გაიზარდა. თუ ახალგაზრდების მხრიდან იქნება დაინტერესება და შესაბამისი ცოდნა ამ თემასთან დაკავშირებით, მიგვაჩინა, რომ ახალი თაობა თვითონ გააცნობიერებს საკუთარ ადგილსა და შესაძლებლობებს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. ახალგაზრდებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ დასხდნენ და სუფთა ფურცლიდან დაინტერესონ ახალი ისტორიის წერა, ყოველგვარი წარსულის წამოძახების გარეშე. უნდა დაიგეგმოს ახალგაზრდული შეხვედრები, სადაც მოხდება ერთმანეთის გაცნობა საქმიან და არაფრიმალურ გარემოში, უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და განხორციელდეს უფრო მეტი ერთობლივი პროექტი. ამ საკითხზე საუბრისას, ერთ-ერთი ექსპერტის თქმით „აღნიშნული ურთიერთობა ძალიან საფრთხილო თემაა, მაგრამ ახალგაზრდებში შესაძლებელია გარკვეულ დონეზე საუბრის დაწყება და ერთმანეთთან შეხვედრა, უბრალოდ ეს ყველაფერი უმეტესად ხდება“

პირადი კონტაქტების ხარჯზე. მათ ძალიან ეშინიათ ქართული მხარის და ეს ნამდვილად რთული თემაა. პირველ რიგში იმიტომ, რომ საინფორმაციო ვაკუუმია და ხშირად ხდება სხვადასხვა ინფორმაციის არასწორად მიწოდება, ყველაფერი მიმართულია იქეითენ რომ უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ენგურის აქეთა ცხოვრებას მათვის.“

აღსანიშნავია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივა COBERM ადრეული რეაგირების მექანიზმი, რომელიც კონფლიქტებით დაზარალებულ თემებს შორის ნდობის აღდგენას ემსახურება. COBERM მხარს უჭერს სწრაფად განხორციელებად და კონკრეტულ სამოქალაქო ინიციატივებს, რომელთაც წვლილი შეაქვთ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაში.

საგრანტო პროგრამის მეშვეობით COBERM მხარს უჭერს ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების ინიციატივებსა და საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ცხოვრებისა და კონფლიქტით დაზარალებული თემების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრს“ აქვს 2 პროექტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემაზე.

პროექტი №1: „დონეებად დაყოფილი აფხაზურ ენოვანი რიდერების შექმნა წიგნიერების განვითარებისთვის აფხაზეთში“ პროექტის მიზანი: აფხაზ და ქართველ ხალხს შორის ნდობის აღდგენა და სკოლის მოსწავლეებში აფხაზურ ენაზე კითხვის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

პროექტი №2: „აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა აფხაზებისა და ქართველების მიერ.“ მიზანი: აფხაზ და ქართველ ხალხს შორის კოპაბიტაცია, ურთიერთ პატივისცემისა და ნდობის აღდგენა აფხაზური ენის დაცვის, აფხაზურ ენაზე წიგნიერების განვითარების გზით, ასევე და აფხაზ და ქართველ ახალგაზრდებში საერთო ღირებულებების განვითარებითა და ურთიერთ თანამშრომლობით ქართველ და აფხაზ მწერლებს, ლინგვისტებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, რაც თანაბრად მნიშვნელოვანია კონფლიქტში მყოფი ორივე მხარისთვის.

2017 წლის, 24-30 მარტს საქართველოს სტრატეგიულმა კვლევების ინსტიტუტმა (GISS) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)-ის მხარდაჭერით პროექტის „ახალგზარდა ქალები მშვიდობისთვის“ ფარგლებში განახორციელა სასწავლო პროგრამა ტარტუს უნივერსიტეტში. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 10 ქართველმა და 10 აფხაზმა ახალგაზრდა ქალბატონმა. პროგრამის ფარგლებში გაიმართა ვორქშოფები და დისკუსიები სხვადასხვა სოციალურ საკითხებზე.

როგორც ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა დაგვიდასტურა მესამე ქვეყანაში ამგვარი შეხვედრები ძირითადად დახურულ სივრცეში ტარდება, რადგან მონაწილეები უფრო თავისუფალნი არიან აზრის დაფიქსირებასა და ერთმანეთთან ურთიერთობაში.

ამგვარი პროექტების განხორციელებაში არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი წვლილი მიუძღვით. სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით ხდება იმ ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც ხელს უწყობს აფხაზებისა და ქართველების პირისპირ შეხვედრასა და ერთმანეთთან დაახლოებას.

კიდევ ერთი ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციაა „ამრა“, რომელიც აწყობს სხვადასხვა სახის პროექტებსა და ღონისძიებებს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი პროექტია „საუბრები აფხაზეთზე“, რომლის ფარგლებიც გაიმართა დისკუსია აფხაზეთზე. ეს ღონისძიება მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც გარდა მოწვეული სტუმრებისა მრავალი სტუდენტი ღებულობდა მონაწილეობას. ამგვარი აქტივობები ხელს უწყობს იმას, რომ ახალგაზრდებში აფხაზეთის თემა არ მიეცეს დავიწყებას. სწორედ ახალგაზრდები არიან ის ძალა რომელსაც რეალური შანსი აქვს არსებული კონფლიქტის მოგვარებაში.

ერთ-ერთი აქტიური არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციაა „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი“ (ICPI). იგი შეიქმნა ახალგაზრდების ინიციატივით. ორგანიზაციის მთავარი მისია მხარი დაუჭიროს აქტიურ ახალგაზრდებს, ინტეგრაციასა და მშვიდობის დამყარების პროცესებს, ხელი შეუწყოს უფრო განვითარებული, განათლებული და თანამედროვე საზოგადოების შექმნას. მხარი დაუჭიროს აქტიური მოქალაქეობის იდეისა და მოხალისეობის განვითარებას ადგილობრივ და ევროპის დონეზე, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასა და თანამშრომლობის დამყარებას საქართველოსა და სხვა ევროპულ ქვეყნებს შორის. „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი“ თანამშრომლობს სხვადასხვა ევროპულ ორგანიზაციებთან.

არასამთავრობო სექტორი არის ძალა, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და ქმნის სახალხო დიპლომატიას. აქედან გამომდინარე, მისი როლი კონფლიქტების მოგვარების საქმეში ძალიან დიდია. იმ შემთხვევაში თუ მოგვარდება მათი დაფინანსების საკითხი და ორგანიზაციებიც უფრო მეტად გააქტიურდებიან, არასამთავრობო სექტორს შეუძლია ხელში აიღოს ინიციატივა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში და უფრო მასშტაბურად განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სახალხო ახალგაზრდული დიპლომატიის გზით უნდა მომზადდეს ნიადაგი, რათა შემდგომ კონფლიქტის პოლიტიკური მხარე მარტივად მოგვარებადი გახდეს. ისევე როგორც, ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, ჩვენც ვფიქრობთ რომ პირველ რიგში საჭიროა ნდობის აღდგენა. აფხაზ ხალხს უნდა დავანახოთ, რომ მართლა შერიგება და მეგობრობა გვინდა. ჯერ ადამიანებმა უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთი და შემდგომ უნდა დავილაპარაკოთ პოლიტიკურ საკითხებზე. საქართველომ ჯერ უნდა დაიბრუნოს ის კულტურა, ენა, მოსახლეობა, არა მარტო აფხაზი, არამედ ყველა ისინი, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიწა და ტერიტორია. ჯერ პოლიტიკური მოწყობის საკითხებზე არ უნდა იყოს საუბარი. უკვე მათი ნდობის მოპოვების შემდეგაა შესაძლებელი ყველაფერი დალაპარაკების საგანი გახდეს და თუ ეს ნაბიჯი არ იქნა გადადგმული ჩვენ ვერ გადავდგამთ შემდგომ ნაბიჯს, რომელიც პოლიტიკურ თემების განხილვას შეეხება. უნდა გამოსწორდეს განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები, რათა მეტი ახალგაზრდა ჩამოვიდეს სასწავლებლად ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩვენთან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო სექტორი გახდეს პრიორიტეტი, რადგან როგორც აღვიშნეთ პირველ რიგში სწორედ მას ენიჭება უდიდესი როლი ნდობის აღდგენასა და საქართველოსა და აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ვფიქრობთ, რომ ყველა პრობლემიდან არსებობს გამოსავალი და საქართველოს კონფლიქტების მოგვარების საკითხი არ წარმოადგენს გადაუჭრელ პრობლემას. მისი მოგვარება შესაძლებელია სწორი პოლიტიკის პირობებში, რადგანაც ქართველ, აფხაზ და ოს ხალხს უამრავი საერთო გვაქვს; გვაქვს ზიარი წარსული და საერთო ისტორიული ბედი, ჩამოყალიბებული კავკასიური ცნობიერება და გენეტიკურად შემორჩენილი სოლიდარობისა და ტოლერანტობის გრძნობა. ცხადია, ეს კონფლიქტი ახლო მომავალში არ გადაიჭრება და საჭიროა დიდი შრომა ჩადოს ქართულმა მხარემ მის მოგვარებაში.

მაია ახალკაციშვილი

იაკობ გოგებაძეილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ალექსანდრე მოსიაშვილი

აზეაზური პროგლემის ჰოთონიგური მოგვარება

სსრკ-ის სამართალმემკვიდრე რუსეთის სახელმწიფო ყველა საშუალებით ცდილობს გავლენის სფეროების შენარჩუნებას, აღნიშნული პროცესი არა მხოლოდ რუსეთისათვის, არამედ ყველა იმპერიული სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი განსხვავება მხოლოდ პოლიტიკურ მეთოდებშია. რუსეთი აქტიურად იყენებდა და იყენებს მოსახლეობის ასიმილაციასა და კოლონიზაციას ამა თუ იმქვეყანაში პოზიციების შესანარჩუნებლად. (მათ შორის საქართველოშიც).

რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა და ცდილობს, რომ საქართველო მისი რადარებიდან არ გაქრეს, ამისათვის მან აფხაზეთში, რომელიც საქართველოს „aqilevsi ქუსლს“ წარმოადგენს, ჯერ კიდევ ცარიზმის და სსრკ-ის პერიოდში გაატარა ისეთი პოლიტიკა, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის გაუცხოებას გამოიწვევდა, ხელს შეუწყობდა რუსულ პროპაგანდას და ანტიქართული განწყობილების ჩამოყალიბებას, ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ენას და შეცვალა დემოგრაფიული მდგომარეობა, უშუალო პროვოცირებით მოახდინა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რათა მიეღწია მთავარი მიზნისთვის, შეექმნა „რუსული აფხაზეთი“. მისი ასეთი მისწრაფება კი საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარეობდა, რომლის დაკარგვის შემთხვევაში რუსეთის პოზიციებიც ამიერკავკასიაში დასუსტდებოდა, როგორც ჩანს, რუსეთი ამასაც უშვებდა და სწორედ აქედან გამომდინარეობდა, მის მიერ გატარებული პოლიტიკა აფხაზეთში, რათა შემდეგ ამ თემით მოხსდინა მანიპულირება საქართველოზე.

რუსეთის მხრიდან აღნიშნული პოლიტიკა დღესაც გრძელდება, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქართულმა მხარემ პროდასავლური ორიენტაცია აირჩია და აქტიურად მისისწრაფვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განვითარიანებისაკენ, სტრუქტურებში, რომლებიც რუსეთის მიერ აღიქმება მთავარ მონინააღმდეგებად და, როდესაც ღიად არის საუბარი სამხრეთ კავკასიაში კონტროლის დამყარებაზე, აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსული მხარე აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფით ცდილობს სამხრეთ კავკასიაში გარკვეული პლაცდარმის შენარჩუნებას (ვინაიდან საქართველო კავკასიის ე.წ. გასაღებს წარმოადგენს).

რუსეთის მიერ აფხაზეთში გატარებული პოლიტიკის შედეგად წამოჭრილი პრობლემები და მათი დარეგულირების გზების ძიება ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საქართველოს უმთვრეს ამოცანას, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ნაწილობრივ განსაზღვრავს აფხაზეთის საკითხი.

ამ კუთხით არა ერთი იდეის თუ პროექტის შემუშავება ხდება. მათ შორის ერთ-ერთია აფხაზური პრობლემის პონკონგური მოგვარება, ჩვენი მთავარი მიზანია განვიხილოთ რამდენადაა შესაძლებელი ჩვენს თანამედროვეობაში აფხაზური პრობლემის პონკონგური მოგვარება...

აფხაზური პრობლემის პონკონგური მოგვარება

აფხაზეთი ისეთივე ისტორიული საკუთრებაა საქართველოსი, როგორც პონკონგი ჩინეთისა, რომლის ოკუპაცია დიდმა ბრიტანეთმა მე-19 საუკუნის 40-იან წლებში მოახდინა. ბრიტანელი (მარგარეტ ტეტჩერი) და ჩინელი მხარეები (დენ სიაობინი) და ნაწილობრივ პონკონგის მხარეც (დონალ ჩანგი – მილიარდელი) მხოლოდ 1984 წელს მივიდნენ გარკვეულ კომპრომისებამდე და პონკონგთან დაკავშირებით შემუშავებულ დეკლარაციას 1997 წელს მოაწერს ხელი, რომლის თანახმად ჩინეთმა

ჰონიშვილის თავისი ტერიტორიული უფლებები აღიდგინა.¹ აღნიშნულ საკითხში დიდი ბრიტანეთის როლი, რომელიც ოკუპანტიდან შუამავალ ქვეყნად იქცა, საკმაოდ დიდია, 90%-ზე მეტი, ალბათ არავის აქვს იმის ეჭვი, რომ დიდი ბრიტანეთის კეთილი პოლიტიკური ნების გარეშე ჩინეთი ჰონიშვილის მშვიდობიანი გზით ვერ დაიბრუნებდა.

ცალკე საკითხია თუ რა სტატუსით შევიდა ჰონიშვილი ჩინეთის შემადგენლობაში? რა სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებები გააჩნია ჩინეთს ჰონიშვილი? და ულირდა თუ არა ჩინეთს ჰონიშვილის ამგვარი დაბრუნება?

1. ჰონიშვილი ჩინეთის შემადგენლობაში შევიდა, როგორც სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი, რომელიც სხვა რეგიონებისგან განსხვავებით მართვის მთელ რიგ საკითხებში (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი) მაღალი დამოუკიდებლობით სარგებლობს. მაგალითისთვის, ჰონიშვილი შესასვლელად უცხოეთის მოქალაქემ უნდა აიღოს ცალკე ვიზა, მიუხედავად იმისა რომ აქვს ჩინეთის ვიზა. ცენტრალური ხელისუფლება ჰონიშვილთან მიმართებაში პასუხისმგებელია მხოლოდ თავდაცვასა და საგარეო პოლიტიკაზე.² გარდა ამისა ჰონიშვილის პყავს საკუთარი წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში.³

2. ჰონიშვილისა და ჩინეთში არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო სისტემა: კაპიტალიზმი და სოციალიზმი, ჩინეთს კონსტიტუციის თანახმად 50 წლის განმავლობაში ეკრძალება ჰონიშვილის აღნიშნულ სისტემაში რამე სახის ცვლილების შეტანა.⁴

3. გააჩნია საკუთარი საგადასახადო სისტემა, შემოსული გადასახადები არ შედის ჩინეთის ბიუჯეტში და იგი რჩება ჰონიშვილი. რაც შეეხება ბრიტანეთის ინტერესებს მას თავისი პოზიციები შენარჩუნებული აქვს ჰონიშვილი. კერძოდ, მის განკარგულებაშია თავისუფალი საერთაშორისო მნიშვნელობის პორტი და აეროპორტი. შენარჩუნებულია მისი ეკონომიკური ინტერესები ჰონიშვილი, ამასთან დღემდე ჰონიშვილის საკანონმდებლო და აღმასრულებელ უწყებებში ჩვეულებრივ მუშაობენ ბრიტანელები. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს რომ ამ პროცესების შემდეგ ჰონიშვილის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

4. აქვს საკუთარი ფულადი ერთეული ჰონიშვილი დოლარი.

თუ ჩვენ ათვლის წერტილს 1997 წლიდან დავიწყებთ, მაშინ გამოდის, რომ 2047 წლამდე ჰონიშვილის კაპიტალიზმი „ხელშეუხებელია“.

რაც შეეხება ჩინეთს, მას ნამდვილად ულირდა აღნიშნულ კომპრომისებზე წასვლა, მსოფლიოში იგი იქცა პრეცედენტ ქვეყნად, რომელმაც ძალადობას და სრულ მორჩილებას, მშვიდობა და ჰონიშვილისადმი ნაკლები დამოკიდებულება არჩია. ალბათ, არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩინეთს სავსებით შეეძლო ჰონიშვილის სამხედრო გზით დაბრუნებაც. როგორც ზურაბ დავითაშვილის „ნაციონალიზაცია და გლობალიზაცია“-ში ვკითხულობთ: „ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე დიდი არმიის მფლობელია, რომლის სამხედრო შეიარაღების ხარისხი და მოცულობა იზრდება, ფლობს ბირთვულ იარაღსაც“.

რაც შეეხება აღნიშნული მაგალითის გამოყენებას აფხაზეთთან მიმართებაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში რუსეთის კეთილ პოლიტიკურ ნებაზე, უფრო სწორად პოლიტიკურ მოტივებზეა დამოკიდებული და მეორე მხრივ იმ კომპრომისებზე რომელზეც სამივე მხარე დათანხმდება და მათ ინტერესებზე, რომლებიც არ დაზარალდება, როგორც ეს ჰონიშვილის შემთხვევაში მოხდა. ამისათვის კი აუცილებელია, სამივე მხარე აქტიურად იყოს ჩართული მოლაპარა-

¹ კ. გახოკიძე და ს. მიდელაშვილი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბ. ,1 (14)2014 „რა გზით ვიაროთ აფხაზეთისკენ“. გვ.106.

² იქვე, გვ.108-109.


³ ავ. სონდულაშვილი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბ., 1 (16) 2015 „ჰონიშვილის ისტორიიდან“. გვ. 152.

⁴ იქვე, გვ.153-154.

კებებში, რადგან მხოლოდ მოლაპარაკებების გზით არის შესაძლებელი აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარება, მაგრამ ცალკე საკითხია თუ რა მოთხოვნებს წამოაყენებს თითოეული მხარე და რამდენად აწყობს ეს მეორე მხარეს.

სხვა მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ (ჰონკონგის შემთხვევაში) დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი, ორივე მათგანი, მსოფლიოში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენენ, რასაც ვერ ვიტყვით იგივეს საქართველოსა და რუსეთთან მიმართებაში. რადგან ამ მხრივ რუსეთს უფრო დიდი პოლიტიკური წონა გააჩნია მსოფლიოსა და რეგიონში, ვიდრე საქართველოს, შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰონკონგის ტიპის მოლაპარაკებების დროს რუსული მხარე თავისი „წონის“ პროპორციულად მოითხოვს გარკვეული სახის უპირატესობებს აფხაზეთთან მიმართებაში. რომელიც მას დღეს ისედაც გააჩნია, და ამ ეტაპზე მიმართია, რომ იგი ქართული მხარის მიერ მნიშვნელოვანი (მისი ინტერესებისთვის) პოლიტიკური საფასურის გადახდის გარეშე არც დათმობს, რაც შეეხება პოლიტიკურ საფასურს იგი გამოთვლილია და ასე გამოიყურება: ნახვამდის ამერიკა, ნახვამდის ევროპა და გამარჯვობა რუსეთო!

ამრიგად რუსეთის ინტერესებში ჯერჯერობით სულაც არ შედის აღნიშნული პრობლემის მოგვარება. ამას ნათლად ადასტურებს აფხაზეთში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა. დე ფაქტო აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემების შესახებ, ინფორმაცია 2011 წელს რუსეთის სტატისტიკის სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით, დე ფაქტო აფხაზეთმა გამოაქვეყნა, შედეგები ასე გამოიყურება:



ქართველი ექსპერტები დე ფაქტო აფხაზეთის გამოქვეყნებულ მონაცემებს გაბერილს უწოდებენ და საუბრობენ, რომ თავად აფუშები/აფხაზები დემოგრაფიის თვალსაზრისით რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

შეიძლება დღეს ეს საგანგაშო მდგომარეობას არ წარმოადგენს, მაგრამ საგანგაშო გზისკენ ნამდვილად არის მიმართული. 10 წლის შემდეგ, აფხაზეთში მოსალოდნელია ქართველების და აფხაზების მკვეთრი შემცირება, და მაშინ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, აფხაზებთან ურთიერთობების მოწესრიგება-დალაგებაზე, უნდა გავითვალისწინოთ, მათი პროცენტული რაოდენობის შემცირება, ვისთანაც გარკვეული კულტურული და ისტორიული ერთობა გაგვაჩნია, რადგან სავსებით შესაძლებელი გადასახლება არ მომართდება.

ლებელია 10 წლის შემდეგ ჩვენ ურთიერთობებს ვარკვევდეთ სულ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან.

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ასევე გვიჩვენებს, რომ რუსეთში არ არსებობს პოლიტიკური მზაობა აღნიშნულ საკითხის ნორმალიზებისთვის არის ქართული ენის აფხაზეთიდან სრულად გამოდევნის პროცესი, რომელსაც აქტიურად ახორციელებს. ვგულისხმობთ გალის ქვედა ზონის 11 სკოლაში ქართული ენის რუსულით ჩანაცვლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი აზრით, საგანმანათლებლო კუთხით აუცილებელია მოხდეს და არ შეიზღუდოს რუსული ენის (როგორც ერთ-ერთი უცხო ენის) სწავლა საქართველოს სკოლებში, რა მნიშვნელობა აქვს ვისი ან რისი ენაა. მთავარია, იგი გამოვიყენოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასათან) მომავალ ურთიერთობებში (რადგან აფხაზეთის სკოლებში ინტენსიურად მიმდინარეობს რუსული ენის სწავლება), გავაკეთოთ ეს თუნდაც იმისთვის, რომ ენობრივად არ დავშორდეთ ა ფ ხ ა ზ ე ბ ს. რათა შევძლოთ, მათთან „თარჯიმანების“ გარეშე საუბარი. მით უფრო რომ ენა მნიშვნელოვანი ბარიერია ადამიანებს შორის ურთიერთობებისას. ყველაზე უფრო მეტად, ენა აშორებს ადამიანებს, როცა მათ პირდაპირი გაგებით არ ესმით ერთმანეთის, ამ დროს ადვილი შესაძლებელია ინფორმაციის არასწორი გადაცემაც, რასაც საკავშირი შეუძლია დააახლოვოს ან დააშოროს ხალხები, ადამიანები ერთმანეთს.

საინტერესოა, როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება დღეს აფხაზეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით? ამის თაობაზე ჩავატარეთ ერთგვარი გამოკითხვა, რომელიც ასახავს კახეთის რაიონებსა და სოფლებში მცხოვრები ადამიანების დამოკიდებულებას აფხაზეთის დაბრუნება არ დაბრუნებასთან დაკავშირებით (გამოკითხულია 216 ადამიანი) შედეგები ასე გადანაწილდა:

დაგვარუნდებით დ161 ხმა, ვერ დაგვარუნდებით დ 47 ხმა, არვიცი დ 8 ხმა.

ამ ეტაპზე კი, იმედს გამოვთქვამთ, ახლო მომავალში მიხვდებიან რომ ისინი საქართველოს განუყოფელი ნაწილი არიან და სხვასთან თავს ისე რეალურად, თავისუფლად, დამოუკიდებლად და დაცულად ვერ იგრძნობენ, როგორც საქართველოსთან. მანამდე კი კარგი იქნება საერთაშორისო ორგანიზაციებმა მეტი პროექტი შეიმუშაონ, რათა ეთნიკურად აფხაზმა და ქართველმა ახალგაზრდებმა შეძლონ ერთმანეთთან ურთიერთობები, რადგან მომავალში სწორედ ამ თაობას მოუწევს ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა.

ამასთან, ვფიქრობთ აუცილებელია, საქართველო იყოს ძლიერი, შემდგარი, დემოკრატიული სახელმწიფო ძლიერი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური განვითარებით და ძლიერი და მყარი მოკავშირებით, რათა აფხაზეთში მცხოვრებმა ადამიანებმა საქართველოსთან ერთად თავი იგრძნონ დაცულად და ჰქონდეთ განვითარების შესაძლებლობები.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს აფხაზეთი, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი, რადგან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანამ ჯერ კიდევ ვსაუბრობთ აფხაზეთზე, სანამ ჯერ კიდევ ვეძებთ გზებს და საშუალებებს (მშვიდობიანს) მის დასაბრუნებლად იგი დაკარგული არაა, აფხაზეთს დაკარგავთ მაშინ, როცა მასზე აღარ ვისაუბრებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსაია სულხან 201); ალექსაია ს. „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები“, ბათუმი, pdf.
2. გახოკიძე ჯემალ, მიდელაშვილი სოფო 2014; გახოკიძე ჯ. და მიდელაშვილი ს. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბ. 1 (14)2014; „რა გზით ვიაროთ აფხაზეთისკენ“. თბილისი, 2014.
3. გეგეშიძე არჩილ 1999; გეგეშიძე ა. „გეოპოლიტიკა“ 1999.
4. დავითაშვილი ზურაბ 2003; დავითაშვილი ზ. „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ თბილისი, 2003.

5. სონდულაშვილი ავთანდილ 2015; სონდულაშვილი ავ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბ., 1 (16) 2015 „ჰონკონგის ისტორიიდან“.
6. ჩიტაძე ნიკა 2011; ჩიტაძე ნ, „კასპიის ზღვის გეოპოლიტიკური გააზრება“ 2011. pdf.
1. ჭუმბურიძე დოდო, კიკნაძე ვაჟა, ქოქრაშვილი ხათუნა და სარალიძე ლელა 2016; ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ. და სარალიძე ლ. „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში წიგნი II“ თბ., 2016.

მიხეილ ოსიშვილი, ბექა ჩოგოვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი

ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა – აფხაზეთი

ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ჯერ კიდევ 1922 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც საბჭოთა კავშირი სამარაბლოს სახელის ქვეშ მოიაზრებდა ოსების ავტონომიურ ოლქს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება შუღლი აფხაზებთან და ოსებთან. 1991 წლის იანვარში რუსეთის ფედერაციამ მოახდინა შეიარაღებული კონფლიქტის ინსპირირება. შემდგომში კი 1992 წელს შეტევა განახორციელა სოხუმზე, რაც გადაიზარდა ერთნლიან ომში, რის შედეგადაც აფხაზეთი ოკუპირებულ იქნა.

პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმდიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უწესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის „დე ფაქტო პროტექტორატია“

2008 წელს 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ წამოიწყო ლია, სრულმასშტაბიანი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და მოახდინა მისი ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია. ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული მრავალნიანი აგრესიული პოლიტიკის ძალისმიერი დაგვირგვინების მცდელობა სამხედრო ძალის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ 2002 წლიდან რუსეთმა დაიწყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული პასპორტების მასობრივი დარიგების უკანონო პროცესი, რომელიც იყო წინასწარ განზრახული და დაგეგმილი პოლიტიკის წანილი და მიზნად ისახავდა ე.წ. „მოქალაქეთა დაცვის უფლების“ საბაბით რუსეთის სამხედრო ინტერვენციას საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე. რუსეთმა აღიარა მისივე ეფექტური კონტროლის ქვეშ არსებული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობა“ და საოკუპაციო რეჟიმებთან ე.წ. „სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების“ გაფორმების გზით საქართველოს ტერიტორიაზე ორი სამხედრო ბაზა შექმნა და ათ ათასამდე სამხედრო მოსამსახურე განათავსა, სანაცვლოდ კი საქართველოს ხელისუფლება ინერტული იყო.

ეს საკითხი აქტუალობას არასდროს კარგავდა, თუმცა 2015 წლის NDI-ის მონაცემებით ტერიტორიული მთლიანობის პრობლემამ შედარებით უკანა პლაზე გადაიწია და მას ისეთი საკითხები ანაცვლებს როგორიცაა სამუშაო ადგილები, ინფლაცია და სიღარიბე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში სახელმწიფო ქმედითუნარიანი არ არის და მოქალაქეებშიც სულ უფრო მეტად ქრება იმედი ამ ტერიტორიიებზე დაბრუნებისა, რომლის მთავარი მიზეზიც არის საზოგადოების დღევანდელი სოციალური ყოფა. სავარაუდოა, რომ მომავალ თაობებში ამ ტერიტორიების დაბრუნების სურვილი და მისწრაფება კიდევ უფრო შემცირდება.

ამ საკითხან დაკავშირებით თითქმის არაა ჩატარებული კვლევები, რომლებზე დაყრდნობითაც ჩვენ შეგვეძლება გავიგოთ იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. ქართული მხარისათვის შეუძლებელია აფხაზეთიდან ინფორმაციის მოპოვება და თუ რაიმე გაგვაჩნია ეს იქ მცხოვრები ქართველების დამსახურება. ამიტომ გადავწყვიტეთ მოგვეძებნა სწორედ ისეთი პირები, რომლებიც მეტნაელებად კომპეტენტურები არიან ამ საკითხში და შეუძლიათ მოგვცენ სანდო ინფორმაცია, რომლებსაც საშუალება აქვთ იმისა, რომ გადავიდნენ საზღვრის იქით და საკუთარი თვალით გაეც-

ნონ მდგომარეობას. გაგაცნობთ ჩვენ მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგებს, აგრეთვე მიმოვიზილავთ არასამთავრობო ორგანიზაციების ხედვებს, სახელმწიფოს სტრატეგიებს, პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამებს და სხვა.

არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოვიყითხეთ ამ საკითხში კომპეტენტური პირები და დავუსვით რამდენიმე შეკითხვა იმის შესახებ თუ რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღევანდელ საზოგადოებაში, როგორი დამოკიდებულება აქვთ ძველი და ახალი თაობების აფხაზებს ქართველებთან მიმართებით, შეძლებს თუ არა აფხაზეთი საქართველოს გარეშე არსებობას და თქვენული ხედვა ამ პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

შედეგები კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ამ თემას აქტუალობა კი არ დაუკარგავს არამედ დაუკარგეს შეიძლება სპეციალურადაც. ხელისუფლების უყურადღებობა არაპროფესიონალიზმის შედეგია, რადგან არ იციან როგორ მოაგვარონ ეს პრობლემა. რაც შეეხება საზოგადოებას, ის საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავს. როდესაც ადამიანი ლუკმა-პურს ეძებს, აფხაზეთი რაში აინტერესებს. ძველი თაობის აფხაზები აცნობიერებენ რაც მოხდა და, გარკვეულწილად, ამას ნანობენ. ახალი თაობას კი, როგორც აქ, საზღვარგარეთზე უჭირავს თვალი და მათვის სულერთია. აფხაზეთის განვითარება კი რას ნიშნავს, სადღაა აფხაზეთი, იქ რუსეთია, რომლის ჰეგემონიაც დღით დღე იზრდება. რაც შეეხება პრობლემის მოგვარების გზას, ამ შემთხვევაში ყველაზე აკრძალული საშუალებებიც კი უნდა იქნეს გამოყენებული. პირველ რიგში ხალხთა დაახლოება და საერთო ინტერესების გაღვივება უნდა მოხდეს. აფხაზეთის მთავრობიდან, რომელიც სოხუმშია ის ადამიანები უნდა წავიდნენ, რომელთა მიმართაც თვითონ აფხაზებს არ აქვთ ნდობა. მათი აზრით, არასამთავრობოები კი, რომლებიც ამ პრობლემის მოგვარებით არიან დაკავებულები პირიქით თითქოს საქმეს აფუჭებენ.

ახლა კი განვიხილოთ არასამთავრობოების პოზიცია, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს „აფხაზთა კრებას“. ეს არის პლატფორმა, რომელიც აერთიანებს 7 პარტიასა და 30 ორგანიზაციას და დამყარებულია 3 რეზოლუციაზე. ეს არის აფხაზთა ორი კრება, რომლებიც შედგა 2014 წლის 27 სექტემბერს თბილისში და 8 ნოემბერს ზუგდიდში. პირველი რეზოლუცია მხარს უჭერს ევრო ინტეგრაციას და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში განევრიანებას და თავის მხრივ სოლიდარობას უცხადებს უკრაინას, რუსული ანექსის პირობებში. მეორე რეზოლუცია ეხება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, ხოლო მესამე რეზოლუცია რუსეთის მიმართ მავნებლური კურსის შეცვლას.

ჩვენ გავესაუბრეთ აფხაზთა კრების ერთ-ერთ ლიდერს აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, რომ ქვეყანას ჰქონდეს ევრო-ატლანტიკური კურსი, რაც გულისხმობს დეოკუპაციას. ეს კი არის უმნიშვნელოვანესი პირობა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა. საერთაშორისო ასპარეზზე უნდა ვაწარმოოთ აქტიური დეოკუპაციის პოლიტიკა. რაც შეეხება აფხაზებთან დაახლოებას, ეს არის მითი, რომლითაც 23 წელია გვატყუებენ. 2008 წელს გამოჩენდა რომ ეს არ არის ქართველ-აფხაზთა და ქართველ-ოსთა კონფლიქტი ეს არის ოკუპაცია, რომელსაც ჰქვია ქართულ-რუსული ომი. უამრავი ფული დაიხარჯა მოლაპარაკებებისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, მაგრამ შედეგი არ ყოფილა, რადგან იქ მცხოვრები ხალხი ვერ გამოხატავს საკუთარ ნებას, იმიტომ რომ ისინი არიან მოსკოვის დაქვემდებარებაში. ის რეუიმი, რომელიც ახლა სოხუმშია პირდაპირ არის რუსული რეუიმი და ის ხალხი, რომლებიც ახლა მართავენ იქ მდგომარეობას არის რუსეთის უშიშროების აგენტურა. უბრალო მოსახლეობა კი მოკლებულია შესაძლებლობას რაიმე პოზიტივი გამოხატოს ჩვენ მიმართ, რადგან ეს მისთვის საფრთხის შემცველია. ამის მაგალითია გასულ საუკუნეში ერთ-ერთი სეპარატისტული ორგანიზაციის „აიდგილარას“ თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აჩაბა, რომელმაც ლიად განაცხადა, რომ ქართველებმა და აფხაზებმა პირისპირ უნდა მოილაპარაკონ რუსეთის გარეშე. ამ განცხადების შემდგომ ის მალევე მოკლეს რუსმა სპეციალისტებმა.

დღესდღეობით ნათესაური ურთიერთობები შენარჩუნებულია და აფხაზებთანაც ყველა თემაზეა საუბარი შესაძლებელი პოლიტიკის გარდა, რადგან მათ შიში აქვთ საკუთარმა ნათქვამმა საფრთხე არ შეუქმნათ. ამგვარად სანამ იქ რუსია, მოლაპარაკებების წარმოება შეუძლებელია. მეორე პრობლემა არის ქართული მოსახლეობა გალში, რომელთა რაოდენობა 35 000 და რომლებიც აპარტეიდის, სეგრეგაციისა და რასიზმის პირობებში არიან. ყოველგვარი უფლება შეზღუდული აქვთ. ამ წელს ქართული სკოლაც კი დაუხურეს და დედა ენა აკრძალეს. რასაც მოიპოვებენ უდიდეს ნაწილს ართმევენ. ასეთ ვითარებაში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას არავითარი პერსპექტივა არ აქვს. ეს შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის შესუსტების კვალობაზე. იმ შემთხვევაში კი ურთიერთობის მოგვარებისას ჩვენ წინააღმდეგობებს არ წავაწყდებით, რადგან ჩვენზე უკეთესად იმ ხალხს არავინ იცნობს. თუ ოუპანტს თავი დაუხარე ის მეტს მოითხოვს შენგან. რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც კომპრომისს დათმობად აღიქვამს და ყოველთვის მეტი უნდა. რუსეთთან კომპრომისი შეუძლებელია, რადგან ისტორიული და დღევანდელი გამოყდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენ სხვადასხვა მიზნები გვაქვს. რუსეთს არ უნდა, რომ ვიყოთ ჩვენ თავისუფალი. ჩვენ კი გვინდა თავისუფლება. აქ არ შეიძლება გადაკვეთის წერტილი მოიძებნოს. სწორედ ამიტომაა შეუძლებელი რუსეთთან მოლაპარაკება. საერთო ინტერესის არ ქონის და ევროპისკენ მისწრაფების გამო გვსჯის რუსეთი ამ აფხაზური და ოსური კონფლიქტით. 1993 და 2008 წლებშიც ომი იმიტომ დაიწყო რომ ჩვენ მკვეთრი ნაბიჯები გადავდგით დასავლეთისაკენ. ამ პრობლემას ისინი შეგნებულად ქმნიან, რომ არ ვიფიქროთ თავისუფლებაზე.

რაც შეეხება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, ის არსებობს თბილისში უცვლელი შემადგენლობით, რომელიც 25 წელია არ გადარჩეულა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვყავდეს ჩვენი წარმომადგენლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ პოლიტიკური სოციალური და სხვა პრობლემების გადასაჭრელად. სამართლებრივი გზების გამოყენება ოკუპაციის ქვეშ მყოფი ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი. სამართლიანობისთვის აუცილებელია მსხვერპლს ჰყავდეს რეალური წარმომადგენლობა და არა ის საბჭო, რომელიც უმოქმედოა და ყოველწლიურად ხარჯავს 14 მილიონიან ბიუჯეტს. ამ საბჭოში 2000 ადამიანი მუშაობს, რაც ნამდვილად არაა საჭირო. მაგალითად აქ არსებობს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, რაც ძალიან ირონიულია, რადგან აფხაზეთის ტერიტორია ამჟამად ჩვენი არ არის და რა შეიძლება გაკეთდეს სოფლის მეურნეობის სფეროში. ჩვენ კითხვაზე, რა საქმიანობას ეწევა არსებული დეპარტამენტი? პასუხი ასეთი იყო - თბილის ვამწვანებთო. ამას ხომ თბილისის მერიაც მშვენივრად გააკეთებს. ეს მთავრობა არალეგიტიმურია, რადგან 25 წლის წინ აირჩა. მათი ყველაზე დაბალი ასაკის ამომრჩეველი 43 წლის იყო ზედა ზღვარზე ლაპარაკი კი ზედმეტია. ამ ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა უკვე დაღუპულია, ამიტომ ის არა-კანონიერია. აუცილებელია ხელახალი არჩევნების ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ პროეურატურაში არის 300 ტომი საქმე, რომელიც ეხება აფხაზეთში ქართველი ხალხის გენოციდს. დაკითხულია 25000 მოწმე, 800 შემსრულებელი და 20 ორგანიზატორი, თუმცა არცერთი საქმე არ არის წასული სასამართლომდე და ხელუხლებლად დევს 1993 წლიდან. ოთხი ეუთოს სამიტმა მიიღო ქართველების მიმართ ძალადობრივი ქმედების რეზოლუცია ლისაბონის, ბუდაპეშტის, ვენისა და ვარშავის. ჩვენ კი მაინც არ ვიძიებთ და ვალიარებთ ამას. ეს დანაშაულია და უნდა დაისაჯოს. აქედან იწყება სამართლიანობის აღდგენა და ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტია საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის წინააღმდეგ. ახლა კი განვიხილოთ სახელმწიფოს სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. სტრატეგია გამოხატავს საქართველოს ურყევ გადაწყვეტილებას მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სრული დეოპარაცია, შეასუსტოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსის პროცესი და მშვიდობიანი გზით მოახდინოს ამ ტერიტორიებისა და მოსახლეობის რეინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში. საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის მიაღწიოს დასახულ მიზნებს მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით. იგი გამორიცხავს სამხედრო გზით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას. ყველა ეს მცდელობა თანხვედრაშია

საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკასთან, რომელიც არ აღიარებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას და მხარს უჭერს საქართველოს ინიციატივას გაატაროს „ჩართულობის პოლიტიკა“. დასაბული მიზანი მიიღწევა ისეთი ფორმატების შექმნითა და წამახალისებელი მექანიზმების შემოტანით, რაც ხელს შეუწყობს ხსენებული რეგიონების ჩართულობას.

- 1) გამყოფი ხაზებით ერთმანეთისაგან განცალკევებულ თემებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა.
- 2) ისეთი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება, რომელიც შესაძლებელს გახდის გამყოფ ხაზებს შორის მოსახლეობის მიმოსვლას და საქონლის მოძრაობას.
- 3) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის აღმსარებლობის თავისუფლებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებების დაცვის მიზნით, არსებული მექანიზმების გაძლიერება და ახალი საშუალებების შემუშავება.
- 4) ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ჯანდაცვის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- 5) საერთო ინტერესების განსაზღვრა.
- 6) კულტურული მემკვიდრეობისა და თვითშეგნების შენარჩუნების ხელშეწყობა.
- 7) ისეთი იურიდიული მექანიზმების მოძიება, რომლებიც სტრატეგიის ძირითადი

პრინციპებისა და ღირებულებების სრული დაცვით, უზრუნველყოფენ წინამდებარე მიზნების განხორცილებას.

საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ მიღებულ იქნა 2008 წლის 23 ოქტომბერს, რომლის მიზანია განსაზღვროს იმ ტერიტორიის სტატუსი, რომელიც რუსეთს აქვს ოკუპირებული სამხედრო აგრესის ფორმით და კანონი ადგენს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს. კანონი, რომლის გაუქმებაზე და ცვლილებებზე გვინწვევს დებატი, პირდაპირ ეხმანება საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც თავის მხრივ ამბობს, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით. კანონი ადგენს შემდეგ რეგულაციებს:

- ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების წესი;
- უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ წესებს;

განვიხილოთ თითოეული მათგანი ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა ნიშნავს შემდეგს: აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში შელნევა არალეგალურია ნებისმიერი ყველა გზით, თუ პირი არ შედის ტერიტორიაზე ზუგდიდის ან გორის მუნიციპალიტეტიდან. ამ ტერიტორიებზე შესასვლელად აუცილებელია მთავრობის მხრიდან სპეციალური ნებართვა. კანონი ლიბერალურია და პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს პირებს, რომლებიც არღვევენ კანონს იმ მოტივით, რომ იდევნებიან და საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ითხოვენ პოლიტიკურ თავშესაფარს. ასეთი ადამიანები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან თუ მთავრობას შეატყობინებენ ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის დროს და მიზეზს. ოპონენტები აცხადებენ, რომ თუ ადამიანი აკრძალული გზით შევა აღნიშნულ ტერიტორიაზე ის დასჯილი არ უნდა იყოს სიხლის სამართლით, რადგან ეს არღვევს ე.წ „სახალხო დიპლომატიის“ პრინციპებს. საზღვრის უკანონო გადაკვეთა გულისხმობს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე. ოპონენტები ამბობენ, რომ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, სურვილის შემთხვევაში თავისუფლად უნდა გადადიოდნენ აღნიშნულ ტერიტორიებზე, თუმცა ეს არასამართლიანია და ჩვენ კა-

ნონძდებლობას ეწინააღმდეგება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ვინ შედის და გამოდის საკუთარ ქვეყანაში და ეს კანონი გვჭირდება იმისთვის, რომ ყველა ქვეყნის მოქალაქეს თუ იურიდიულ პირს შევახსენოთ, რომ აფხაზეთი თუ ცხინვალი წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს და ყველა კანონდარღვევაზე იქნება სათანადო რეაგირება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების წესი ნიშნავს შემდეგს: ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვაც დადგენილია იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და შესაბამისად ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კანონი ამ შეზღუდვასთან მიმართებაშიც არის ლიბერალური, როცა ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, თუ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება შეთანხმდება საქართველოს მთავრობასთან იგი მიიჩნევა კანონიერ საქმიანობად.

უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ წესები და აქ იგულისხმება შემდეგი: კანონი აცხადებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების უფლება დაცულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ეს წესი თავის მხრივ კიდევ ერთხელ გამოხატავს საქართველოს ლეგიტიმურ პრინციპს, რომ არ ვაღიარებთ სეპარატისტული და რუსული რეჟიმის პირობებში მიღებულ გადაწყვეტილებებს და თავის მხრივ ამ საშუალებით ჩვენ ვიცავთ იმ დევნილთა უფლებებსაც, რომლებსაც ქონება გააჩინათ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში.

ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო პროგრამებში რა ადგილი უკავია დეოკუპაციას საქართველოს ორი წამყვანი პოლიტიკური პარტიის, ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პროგრამებში.

გამოიკვეთა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა არის ქართული ოცნების შემთხვევაში მე-4, ხოლო ნაციონალური მოძრაობის შემთხვევეში და მე-11 ადგილზე პრიორიტეტების მიხედვით. ამ პრობლემას წინ უსწრებენ ძირითადად ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ეს ფაქტი გასაკვირი არც არის, თუმცა, სამწუხარო რეალობაა.

ახლა რაც შეეხება კონკრეტულად პარტიების დაპირებებს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის პრიორიტეტულია კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება. სამშვიდობო პოლიტიკის კუთხით ენმ ხელმძღვანელობს 2009 წელს შექმნილი სახელმწიფო სტრატეგიით ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ და შესაბამისი სამოქმედო გეგმით. სამშვიდობო პოლიტიკის კუთხით ნაციონალური მოძრაობა აყალიბებს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია:

- 1) ძალის არგამოყენება და მშვიდობიანი განვითარება;
- 2) რუსეთის, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს სტატუსის განმტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე;
- 3) პრაგმატული თანამშრომლობა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობასთან და გამყოფი ხაზების თანდათანობით გაქრობა;
- 4) საოკუპაციო ხაზის საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად მხარეს უსაფრთხოების გაზრდა;
- 5) თავისუფალი გადაადგილების მიღწევა იქნება ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის პრიორიტეტი;
- 6) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვა;
- 7) რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესაძლო ანექსის საწინააღმდეგო სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;

მოქმედ სახელისუფლებო პარტიას კი თავისი სტრატეგია აქვს. კერძოდ, პროგრამაში პირდაპირ წერია, რომ ქართული ოცნება:

- 1) მიმართავს ძალისხმევას მშვიდობის უზრუნველყოფის, უსაფრთხოების რისკებისა და შესაძლო პროვოკაციების განეიტრალების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი

კურსისა და ეკონომიკური განვითარების ვექტორის დაცვისაკენ, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი და წარმატებული მოგვარების წინაპირობაა;

2) გააგრძელებს დიპლომატიურ ძალისხმევას საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არა-ღიარების პოლიტიკის გატარებისთვის;

3) მიმართავს აქტიურ ძალისხმევას დეოკუპაციის ამოცანისკენ, რუსეთის მხრიდან ცეცხლის შენყვეტის შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების ამოქმედების როგორც რუსეთთან საერთაშორისო ფორმატში მოლაპარაკებების, ისე საერთაშორისო მხარდაჭერისა და ზენოლის მობილიზების გზით;

4) ხელს შეუწყობს პირდაპირ დიალოგს ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის;

5) წაახალისებს კონფლიქტით დაშორიშორებულ ხალხთაშორის კონტაქტებს, საერთო ინტერესებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას, რაც ხელოვნური გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარულ და პრაგმატულ საჭიროებებს, პროფესიული ჯგუფების თუ სხვა-დასხვა დარგის ექსპერტების (ეკოლოგების, კულტურის მოღვაწეების, ჟურნალისტების, მედიცინის მუშაკების და ა.შ.) თანამშრომლობის ინტერესებს უკავშირდება;

6) გააგრძელებს კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანებზე, მათ შორის დევნილებზე ზრუნვას;

7) გააგრძელებს და გაააქტიურებს ყველა შესაბამისი ფორმატის და ინსტრუმენტის გამოყენებას დევნილთა დაბრუნების განუყოფელი უფლების დაცვისა და ამ უფლების რეალიზებისთვის.

თუმცა სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაა და კონკრეტული ნაბიჯები ამ პრობლემის მოსაგვარებლად არ იდგმება. აუცილებელია საზოგადოების აქტიური ჩართულობა და იდეოლოგიური პოლიტიკის გატარება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური ხასიათის აქტივობებს. მაგალითად, კომერციულ რეკლამებს აფხაზეთის თემატიკით, მხატვრულ ფილმებს და ა.შ. ამის ნათელი მა-გალითია დოკუმენტური ფილმი „მე გადავცურე ენგური“, რომელიც რეალურ ამბავზეა დაფუძნებული და გადმოგვცემს 20 წლის გოგონას ისტორიას, თუ როგორ გადაცურა ენგური თავისი სახლის სანახავად. ჩვენ როგორც სტუდენტებს დიდი როლის შესრულება შეგვიძლია ამ საქმეში. ყველა მოძრაობა ხომ თბილისის დედა უნივერსიტეტიდან იწყებოდა. ამის საუკეთესო მაგალითია 1978 სტუდენტთა გამოსვლები დედაენის შესანარჩუნებლად. აგრეთვე, 9 აპრილსაც უამრავი სტუდენტი შეენირა ქვეყნის დამოუკიდებლობას. ახლაც აქტიურად უნდა მოხდეს სტუდენტების ჩართულობა ამ საკითხში, იქნება ეს მშვიდობიანი აქციები საზღვრისპირა რეგიონებში თუ სხვადასხვა სახის.

როცა ოკუპირებულ ხალხზე და ტერიტორიაზე ვიწყებთ საუბარს უნდა გვახსოვდეს, რომ ვსაუბრობთ საკუთარი ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც ელოდებიან ძლიერი საქართველოს ძლიერ ხმას და არა იმას, რომ კოლაბორაციული წესით დავიწყებთ მტერთან კუდის ქიცინს. ძლიერი ეკონომიკა, დალაგებული საერთაშორისო ურთიერთობები, ეს არის გარანტი იმის, რომ საქართველომ შეძლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ოჯახის გაერთიანება. როცა ოკუპირებულ ხალხს ესმის, რომ საქართველოში არ ვართ კონსოლიდირებული ბევრი მიმართულებით, ვერ ვამყარებთ ეროვნულ ვალუტას, დასავლური ტიპის პოლიტიკოსებს დევნიან და დაუსჯელი რჩებიან მსგავსი ტიპის კრიმინალები, ნურც ვიოცნებებთ გაერთიანებაზე ! თითოეულმა ოკუპირებულმა თანამოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ ეთნოსის საფრთხე დგას რუსი დამპყრობელის პირობებში და ერთადერთი ლირსეული გზა არის საქართველო.

თათია ბრეგვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგ ზარ თოდუა

სოციალური მადიაბარკატინგის შესაძლებლობები და გამოწვევები თანამაზროვან პიზნესში რეიტინგი (Facebook-ის მაგალითზე)

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და კონკურენციის ზრდის პირობებში თანამედროვე ბიზნესის წარმატება წარმოუდგენელია სოციალური მედიის გარეშე. ციფრული შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად მომხმარებლები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ სოციალურ ქსელებში და ინფორმაციის დიდ ნაწილს სწორედ მათი საშუალებით იღებენ. შესაბამისად სოციალური მედია გახდა მძლავრი იარაღი ბიზნესისათვის კლიენტთა მოსაზიდად, გაყიდვების გასაზრდელად და ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად.

სოციალური ქსელის მოხმარება არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ონლაინ საქმიანობა დღეისათვის 2,46 მილიარდი მომხმარებლით, მათი დიდი ინტერესითა და ზრდადი მობილური შესაძლებლობებით.⁵

სოციალური მედიასივრცის ზრდასთან ერთად, გაიზარდა მარკეტინგული შესაძლებლობებიც, ონლაინ სოციალური სივრცის შექმნამ მარკეტინგის ახალ მიმართულებას და სოციალური მედიამარკეტინგს დაუდო საფუძველი. სოციალური მედიამარკეტინგი არის ინტერნეტმარკეტინგის ფორმა, რომელიც იყენებს უამრავ სოციალურ ქსელს მომხმარებელთან მარკეტინგული კომუნიკაციის დასამყარებლად. სოციალური მედიამარკეტინგული ხერხების საშუალებით ხდება ინფორმაციის მიწოდება მიზნობრივ აუდიტორიასთან მინიმალური დანახარჯით. ამ შესაძლებლობას ბევრი წარმატებული კომპანია იყენებს. საქართველოც არ ჩამორჩება ტენდენციებს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედიამარკეტინგი არის მარკეტინგის ახალი მიმართულება და ხშირ შემთხვევაში, ქართული კომპანიების მხრიდან, დაუგეგმავ სტრატეგიას და არასწორ კამპანიას აქვს ადგილი, ეს კი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

სოციალურ ქსელში მარკეტინგულ საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბიზნესისათვის იმ სარგებლიდან გამომდინარე, რაც მას შეუძლია მოუტანოს. ეს ძირითადი სარგებელია:

1. ბრენდის ცნობადობის გაზრდა:

თუ მომხმარებელმა არ იცის რას წარმოადგენს ბრენდი, ბიზნესი წარუმეტებლობისთვის განწირულია. თუ მომხმარებლი ინფორმირებულია ბრენდის შესახებ და ახდენს ინტერაქციას სოციალურ სივრცეში, სავარაუდოა, რომ ის უფრო დიდი სიამოვნებით გაუწევს რეკომენდაციას მეგობრებს კომპანიის პროდუქციაზე. სოციალური მედია აადვილებს წვდომას პოტენციურ მომხმარებლებზე და ხდის ბრენდს უფრო „შინაურს“ და ცნობადს არსებული კლიენტებისთვის.

2. ბრენდის ლოიალობის გაზრდა:

⁵

<https://www.statista.com/statistics/278414/number-of-worldwide-social-network-users/>

რაც უფრო მეტ დროს გაატარებს მომხმარებელი კომპანიის გვერდზე, მით უფრო მეტია გაყიდვების ზრდის შესაძლებლობა. თუ ვიზიტორი მხოლოდ ერთხელ შემოვა კომპანიის გვერდზე, ეს არ იქნება სასურველი შედეგის მომტანი გრძელვადიან პერიოდში. ამიტომ საჭიროა გრძელვა-დიანი სოციალური მედიამარკეტინგის სტრატეგიის გაწერა ლოიალური მომხმარებლების შე-საქმნელად.

ტეხასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კვლევებით, ბრენდები, რომლებიც იყენებენ სო-ციალურ მედია არხებს და მათ შესაძლებლობებს, აღნევენ მომხმარებლების უფრო მაღალ ნდობასა და ლოიალობას. ამავეს გვიჩვენებს კვლევითი ორგანიზაცია „Convince & Convert“-ის შედეგები. ამერიკული კომპანიების 53% ზრდის ლოიალობას სოციალურ ქსელში განხორციელებული აქტი-ვობის შემდეგ.⁶

1. მომხმარებელთან უშუალო კონტაქტი და საუბრის შესაძლებლობა:

ბიზნესმენებმა უნდა გაიაზროს ის, რომ მომხმარებელთან უშუალო ურთიერთობას სოცი-ალური სივრცის მეშვეობით აქვს პირდაპირი კავშირი გაყიდვებთან. სოციალური მედია, არის ად-გილი, სადაც კომპანიები ისე იქცევიან, როგორც რიგითი ადამიანები და ეს იზიდავს მომხმარებელს. რაც უფრო მეტი ადამიანი ლაპარაკობს კომპანიის სოციალურ გვერდზე, მით უფრო მეტი ღი-რებული მომხმარებელი ეყოლება ბრენდს. მომხმარებელთან საუბრით სხვადასხვა თემებზე და მათ-თან მუდმივ ინტერაქციაში ყოფნით იქმნება კომპანიის აუდიენცია სოციალური მედიაში, რაც ვებ-გვერდის მონახულების რიცხვსაც ზრდის და დაინტერესებული კლიენტების რაოდენობასაც.

2. ვებგვერდის მნახველთა ზრდა:

ვებგვერდზე მნახველების დიდი რაოდენობა მნიშვნელოვანია ყველა ტიპის ბიზნესისთვის, განსაკუთრებით კი ონლაინ გაყიდვების მქონე კომპანიებისათვის.

გარდა გაყიდვების შესაძლებლობისა, რაც უფრო მეტი ხალხი დაათვალიერებს საიტს უფრო მეტი შანსია მომხმარებლები დაინტერესდნენ კონტენტით და შესაბამისად გააზიარონ კომპანიის საიტი. რაც უფრო მეტჯერ დააჭერს მომხმარებელი საიტს და მეტ გაზიარებას მისცემს, მით მეტი შანსია გაიზარდოს გაყიდვები.

3. მარკეტინგული ხარჯების შემცირება

სოციალური მედიამარკეტინგის ინდუსტრიის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, მარკეტოლო-გების 84% პროცენტს სულ ცოტა 6 საათი სჭირდებოდა ყოველდღე, იმისთვის რომ საიტზე შეექმნათ დამთვალიერებელთა „საცობი“, მაშინ როდესაც სოციალურ მედიაში დღეში 1 საათიც საკ-მარისია დაიხარჯოს კონტენტის გასავითარებლად და უკვე შედეგი სახეზეა. სოციალური მედიაზე განეული ხარჯი არის მინიმალური. გარდა გვერდის პოსტებისა, Facebook-ის რეკლამა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა ტიპის რეკლამა და შედეგი კი შთამბეჭდავი აქვს.⁷

4. მოხმარებლებზე მეტი ინფორმაციის შეგროვების საშუალება

სოციალური მედია საშუალებას იძლევა, რომ მომხმარებლებზე ღირებული ინფორმაცია იქნას მოპოვებული, იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან ისინი სოციალურ სივრცეში. მაგალითად: შესაძლებელია გაკონტროლდეს კომენტარები, ანუ როგორ ხედავენ ისინი ბიზნესს, გაეთდეს ანალიზი სასაუბრო პოსტებზე განხილვისას დაწერილ მოსაზრებებზე, გაკონტროლდეს რომელმა პოსტმა უფრო დიდი გამოხმაურება გამოიწვია და საბოლოოდ შეიქმნას კარგი კომპინაცია იმისთვის, რომ ფორმირდეს შემოსავალი.

⁶ <http://www.forbes.com/sites/jaysondemers/2014/08/11/the-top-10-benefits-of-social-media-marketing/#130eec3c2a4d>

⁷ MICHAEL A. STELZNER - How Marketers Are Using Social Media to Grow Their Businesses; 2014 SOCIAL MEDIA MARKETING INDUSTRY REPORT; 2014, Social Media Examiner P21

„გაქვთ კითხვები? – შეიარეთ მაღაზიაში, მომხმარებლებს აქვთ პასუხები“ – თქვა Walmart-ის დამფუძნებელმა სემ ვოლტონმა. დღეს მაღაზიის ნაცვლად შეგიძლიათ სოციალურ ქსელში „შეიაროთ“ და იქ უმოკლეს დროში მიიღოთ სასურველი უკუკავშირი მომხმარებლებისგან.

ასე, რომ რაც უფრო მეტად მოიცდის კომპანია სოციალურ სივრცეში აქტიურობისთვის, მით უფრო მეტს დაკარგავს. სოციალური მედიამარკეტინგი როდესაც სწორადაა გამოყენებული, იზიდავს მეტ მომხმარებელს, მეტ მნახველს და იწვევს ბრენდისადმი ლიოალობას.

სოციალური მედიაბაზარი მრავალფეროვანია, სადაც უამრავი ქსელი ფუნქციონირებს, თუმცა სოციალური მედიაბაზრის ლიდერი გახლავთ Facebook, პირველი სოციალური ქსელი, რომელმაც მიაღწია ერთ მილიარდ რეგისტრირებულ მომხმარებელს, ხოლო დღეისათვის მას ჰყავს 1.968 მილიარდი აქტიური მომხმარებელი ყოველთვიურად. შემდეგ მოდის WhatsApp 1,2 მილიარდი ყოველთვიური მომხმარებლით და მესამე ადგილზე გახლავთ Facebook Messenger 1,0 მილიარდი აქტიური მომხმარებლით, რომელიც ასევე კორპორაცია Facebook-ის საკუთრებაა და სოციალურ ქსელ Facebook-თან არის ინტეგრირებული. მათ მოჰყვება სხვა სოციალური ქსელები.⁸


სოციალური ქსელებიდან Facebook არის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ფუნქციურად დახვეწილი სოციალური ქსელი, რომელიც მოქნილობის, ანალიზური შესაძლებლობების, მომხმარებელთან ურთიერთობების გზების სიმრავლის, ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების სისტემების თვალსაზრისით მარკეტინგს უამრავ შესაძლებლობას აძლევს. ამასთან ეს არის ქსელი, რომლებსაც ყველაზე ხშირად მოიხმარს ქართველი მომხმარებელი.⁹ თუმცა რეალურად კომპანიებმა არ იციან რამხელა შესაძლებლობები აქვს facebook -ს ბიზნესი-სათვის, ხშირად არ იცნობენ ქართველი მომხმარებლების თავისებურებებს და სოციალური მარკეტინგული სტრატეგიების ცოდნაშიც მოიკოჭლებენ. სოციალური მედია მარკეტოლოგები ამბობენ, რომ Facebook უზრუნველყოფს ყველაზე მაღალ ინვესტიციების უკუგების მაჩვენებელს (ROI) და არის შეუცვლელი სოციალური მედიამარკეტინგის წარმატებულობის კუთხით. სამმა კვლევითმა ორგანიზაციამ Social Fresh, Firebrand Group და Simply Measured-მა მსოფლიოს მასშტაბით გამოიკითხეს 551 სოციალური მედიამარკეტერი და სთხოვეს დაესახელებინათ 3 პლატფორმა, რომელიც მათი აზრით საუკეთესო იყო როის ასამაღლებლად, 95,8% თქვა რომ ეს იყო Facebook.¹⁰

⁸ <https://www.statista.com/statistics/272014/global-social-networks-ranked-by-number-of-users/>

⁹ <http://www.newposts.ge/?l=G&id=70492>

%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90,%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%98,

¹⁰ <https://www.emarketer.com/Article/Social-Media-Marketers-Facebook-Produces-Best-ROI/1013918>



იმისათვის რომ Facebook-ზე განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებები იყოს ეფექტური, აუცილებელი კომპანია იცნობდეს საკუთარ მომხმარებელს, მათ სურვილებს, შეხედულებებს, თავისებურებებს და ისე დაგეგმოს საკომუნიკაციო სტრატეგია.

ქართულ ბაზარზე მომხმარებლის ზოგადი შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ Facebook-ზე მათ აქტივობასთან და კომპანიების აქტიურობასთან დაკავშირებით ჩავატარე პატარა კვლევა. გამოკითხულ იქნა 140 ქსელის მომხმარებელი, რომელთა 68% იყო მდედრობითი სქესის ნარმომადგენელი და 32% მამრობითი. აქედან 7% ნარმადგენდა 20 და ნაკლების ასაკის მომხმარებელს, 61% გახლდათ 21-30 წლამდე ასაკის, 19 პროცენტი 31-40 წლამდე, 13 % კი 41 წელს ზემოთ.

გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, სოციალური ქსელებიდან, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს Facebook, შემდგომ მას მოყვება Instagram, Linkedin, მეოთხე ადგილს იკავებს Twitter და მეხუთე ადგილზეა სოციალური ქსელი В kontakte. აღმოჩნდა, რომ სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსებისას დიდი ნაწილი თავს იკავებს ჰობისა და ინტერესების მითითებისაგან (28%) და არც იმას უარყოფს რომ ხშირად არასწორ ინფორმაციასაც ათავსებს. ეს კი გარკვეულ წილად ქართველ მომხმარებელთა ნაწილის თავისებურებაზე, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს კომპანიების მხრიდან სწორი მიზნობრივი აუდიტორიის შერჩევა და პოზიციონირება. გამოკითხულთა უმრავლესობას (54%) არ უყვარს რეკლამებისა და კომპანიის სარეკლამო პოსტების კითხვა და იშვიათად აქცევს მათ ყურადღებას, რის მიზანადაც მათ ინტერესებთან შეუსაბამო რეკლამების არსებობა დაასახელეს. ეს უკანასკნელი კი იმის მანიშნებელია, რომ კომპანიების ვერ ახდენენ სწორად მიზნობრივი აუდიტორიის შერჩევას, მათ რეკლამები შესაბამისი ინტერესების არ მქონე მომხმარებლებთან მიდის, რაც თავისთავად სარეკლამო კამპანიის არაეფექტურობას განაპირობებს.

Facebook რეკლამებიდან გამოკითხული მომხმარებლები ყველაზე მეტად ყურადღებას პოსტებს აქცევენ, რომლებიც მათ კედელზე ჩანს (42%) და ასევე დიდი ინტერესით სარგებლობს ვიდეო რეკლამები (26%). რაც შეეხება იმას თუ როგორი სახის პოსტები მოსწონთ ყველაზე მეტად 32%-ისთვის ეს არის მიმდინარე აქტუალურ თემასთან დაკავშირებული, 21% ისთვის ეს არის სასურველ პროდუქციასა და მომსახურებასთან დაკავშირებული, 19%-ისთვის საგანმანათლებლო პოსტებია ყურადღების მისაქცევი, 12% ს კი იუმორისტული სახის პოსტების კითხვა უყვარს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 50% იშვიათად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას კომპანიის პროდუქციისა თუ მომსახურების რეკლამასა და პოსტზე სოციალურ ქსელში. ესეც გარკვეულ

წილად ქართველი მომხმარებლის თავისებურებაზე მიუთითებს. ისინი ჯერ კიდევ ვერ იაზრებენ მათი აზრის დაფიქსირების მნიშვნელობას პროდუქციისა თუ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ასევე როგორც ჩანს სოციალურ ქსელში მომხმარებელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ პასიურობით გამოირჩევა, რაც ასევე უნდა გაითვალისწინონ კომპანიებმა აქტივობების დაგეგმვისას.

კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო გარკვეულიყო ის თუ, თუ რომელი ქართული კომპანიების Facebook გვერდებია მათთვის ყველაზე საყვარელი და რატომ. შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ხუთეული:

1. ნაბეღლავი და რადგან ძალიან კარგად იყენებენ გრაფიკას, იუმორს და მობილურები არიან გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, კრეატიული და პოზიტიური სტრატეგია აქვთ;

2. თიბისი ბანკი – რადგან ძალიან გემოვნებიანი და დახვეწილი გვერდია, როგორც ვიზუალურად ისე შინაარსობრივად;

3. მარკეტერი – რადგან არიან კრეატიულები და ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან;

4. კინოთეატრი Cavea რადგან გამოირჩევა საინტერესო და სახალისო იუმორისტული პოსტებით;

5. Adjaranet.com – რადგან საინტერესო ფილმებს დებენ და პოსტებიც საინტერესო აქვთ.

მართლაც, კვლევის პროცესში აქტიურად ვაკვირდებოდი აღნიშნულ გვერდებს და ეს სწორედ ის გვერდებია, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ და მომხმარებელთა აქტიურობას არ უჩივიან.

ვფიქრობ აღნიშნული სურათი ნათლად ასახავს ქართველი მომხმარებლის უპირატესობის მინტების პრინციპებს სოციალურ ქსელში კომპანიის რეკლამებთან მიმართებით, სიახლე და კრეატივი, ვიზუალური დახვეწა, იუმორი და მობილურობა მიმდინარე პროცესებთან, მომხმარებლის-თვის საინტერესო და პოზიტიური ინფორმაციის მიწოდება განაპირობებს კომპანიის წარმატებას.

ამასთან თავად მომხმარებლების მიერ დასახელებული რჩევები კომპანიების მიმართ ასე გამოიყურება:

- ✓ მეტი შემოქმედებითობა და კრეატივი;
- ✓ მეტი რეალურობა;
- ✓ გრაფიკის და იუმორის დახვეწა;
- ✓ უფრო აქტიური კონტაქტი მომხმარებლებთან;
- ✓ საკუთარი ახალი იდეები და არა მოპარული;
- ✓ მეტი ინფორმაციულობა და სიახლის შეთავაზება.

აღნიშნულ რჩევებში გარკვეულ წილად, სასარგებლო რჩევებთან ერთად გამოიკვეთა მომხმარებელთა პრეტენზიებიც კომპანიების მიმართ, რაც კომუნიკაციის და იდეების ნაკლებობაში გამოიხატება.

გარდა აღნიშნული გამოკითხვისა, ვესტუმრე რამდენიმე კომპანიის სოციალურ მედია მენეჯერს და დირექტორს (LEAVINGSTONE, Adjaranet.com და E-sports) მათი, დამოკიდებულებების, პრობლემების და სტრატეგიების გასაგებად, რათა სრულად დამეხატა სოციალურ დ მედია მარკეტინგის ბაზარზე არსებული მდგომარეობა.

კომპანია LEAVINGSTONE არის ციფრული კრეატიული სააგენტო, რომელიც ონლაინ მარკეტინგის სრულ სერვისს სთავაზობს კომპანიებს და უკვე 7 წელია წარმატებულად მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე. (მაგალითად მათი შემუშავებულია ძალიან პოპულარული Old Irish -ის და ნატახტარის – შეხედე მსუბუქად დ სარეკლამო კამპანიები). საქმიანობიდან გამომდინარე მათ აქვს შეხება, როგორც კომპანიებთან რომლებიც სერვისს უკვეთავენ, ისე სოციალური ქსელების მომხმარებლებთან და ბაზარზე ფუნქციონირების დიდი გამოცდილება დააგროვეს ამ დროისათვის. შესაბამისად კომპანიის თანადამფუძნებელთან და გენერალურ მენეჯერთან, გიორგი ბურჭულაძესთან ინტერვიუ საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა.

ბატონი გიორგის განცხადებით ერთიანი სოციალური მედია მარკეტინგული სტრატეგია არ არსებობს და არც ფორმულა, რომელიც ყველა კომპანიას მოუტანს წარმატებას ქართულ სოციალურ მედია სივრცეში. მთავარია, რომ კომპანია კარგად იცნობდეს თავის მომხმარებელს, ახდენდეს ზუსტად მიზნობრივ მომხმარებელზე გასვლას და ბრენდის იმიჯის შესაბამისობის უზრუნველყოფას საკონკურენციო სტრატეგიასთან. სწორედ ეს და სწორი სეგმენტირება, კომპანიის საქმიანობის შესაბამისად ბრენდის იმიჯის ფორმირება და მომხმარებლის თავისებურებებიდან გამომდინარე კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება არის მათი წარმატების განმსაზღვრელი. დაკვირვებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე ქართული კომპანიების პრობლემებად დღეს LEAVINGSTONE-ის მენეჯერი სოციალური მედია მარკეტინგის განხორციელების დროს მიიჩნევს შემდეგს:

1. ბრენდის კომუნიკაციის აცდენა ბრენდის შინაარსთან;
2. არასწორი სეგმენტირება;
3. ნაკლები კრეატიულობა და აქტივობების კოპირებები;
4. ერთფეროვნება;
5. სოციალური მედია მნიშვნელობის გაუაზრებლობა და ცოდნის დაბალი დონე.

ქართველი მომხმარებლის ერთ-ერთ თავისებურებად კი უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებისკენ სწრაფვას ასახელებს, რაც გარკვეულ წილად აფერხებს კომპანიის საქმიანობას სოციალურ ქსელში. გარდა ამისა ქართული სოციალური მედია ბაზრისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან თავისებურებად ასახელებს თაობებს შორის დიდი მენტალიტეტური სხვაობა თაობებს შორის, რაც ბალანსის დაცვას მოითხოვს კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელებისას და გამოწვევაა კომპანიებისთვის.

მომხმარებელთა ერთ-ერთ საყვარელი ფილმების ვებგვერდის Adjaranet.com-ის სოციალური მედია მენეჯერი ლუკა ქურდიანის აზრით, მათი წარმატებას განაპირობებს მომხმარებელთა თითოეული განსხვავებული ჯგუფისთვის შემუშავებული ოპტიმალური Facebook აქტივობების ნაკრები და ქართულად მაღალი ხარისხით გახმოვანებული ფილმები. დღისათვის მათი მიმდინარე აქტივობების, მიმართულებების ჩამონათვალი აცებორი ზე კი ასე გამოიყურება: 1) რას ვუყურო? 2) ლადაობ? 3) ქვიზი 4) უყურე ქართულად 5) გახმოვანებული. თითოეული მათგანი, სხვადასხვა ტიპის მომხმარებელზეა გათვლილი და, შესაბამისად, ეგზავნება მათ რეკლამები და პოსტები. აქედან გამომდინარე, სეგმენტაცია სწორად მიმდინარეობს და მუდმივი აქტიურობა მომხმარებელს მოდუნების საშუალებას არ აძლევს.

ძირითადი პრობლემები, რომლებსაც ბატონი ლუკა მომხმარებლებთან ურთიერთობისას ასახელებს გამოიყურება შემდეგნაირად:

1. ინტერესებს ხშირად არ უთითებენ მონაცემებში და რთულდება მიზნობრივ მომხმარებელზე გასვლა;
2. ხშირად იწონებენ გვერდებს, რომლებიც რეალურად არ აინტერესებთ, რაც ართულებს ასევე მიზნობრივ სეგმენტირებას;
3. პოსტის შინაარსს ხშირად არ კითხულობენ;
4. ხშირად სვამენ არაადეკვატურ შეკითხვებს.

ჩამოთვლილი პრობლემები მიუთითებს ქართველი მომხმარებლის მიერ ქსელის მოხმარების ჯერ კიდევ დაბალ დონეზე. რასაც ასევე აღნიშნავს ორგანიზაცია Esports-ის პროდუქტების განვითარების მენეჯერი და მრჩეველი ციფრულ მარკეტინგში ლუკა ბერიძე. ელექტრონული სპორტი საქართველოში ახალი მიმართულება რომლის განვითარებასაც აღნიშნული ორგანიზაცია აქტიურად ცდილობს. Esports ბაზარზე 6 თვეა რაც გამოჩნდა და აქტივობების ნაკლებობას არ განიცდის.

ბატონი ლუკას განცხადებით ყველა ბიზნესს სოციალურ ქსელში სხვადასხვა მარკეტინგული სტრატეგია სჭირდება საქმიანობიდან გამომდინარე. ელექტრონული სპორტი სპეციფიკური მიმართულებაა რომლის მიმდევრებიც განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევიან. თუმცა მისი სოციალურ მედიაში მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე (ბანკ რესპუბლიკის ყოფილი ციფრული მედია მენეჯერი) ქართველ სოციალური ქსელის მომხმარებლების ძირითად თავისებურებებად და პრობლემებად შემდეგი მიაჩნია:

1. ხარისხის აღქმის და გარჩევის უუნარობა;
2. დაბალი ხარისხის იუმორის სიყვარული;
3. ინფორმირებულობის დაბალი დონე;
4. ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებისკენ სწრაფვა.

როგორც ჩანს ნეგატიურ ინფორმაციის გავრცელების სიყვარული მართლაც არის ქართველ მომხმარებელში, რაც გარკვეულ ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე მიუთითებს. ასევე მისი განცხადებით და დაკვირვებით ამართლებს ნებისმიერი პოსტისა თუ რეკლამის ისეთი შიგთავსი, რომელიც უშუალოდ ეხება მომხმარებელს და არის ქართული.

სამივე რესპონდენტთან ინტერვიუსა და მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი გამოწვევები, რომლებიც დღეს ქართული კომპანიების წინაშე დგას. ესენია:

1. შეინარჩუნონ არსებული მომხმარებლები და გაზარდონ მათი კმაყოფილების დონე;
2. გაზარდონ ვებგვერდზე ტრაფიკი;
3. მოიზიდონ ახალი სეგმენტი;
4. იყვნენ მუდმივად საინტერესო და მრავალფეროვანი;
5. გაზარდონ ცნობადობა;
6. მუდმივად განვითარდნენ და არ ჩამორჩნენ ტენდენციებს.

ამასთან, ვფიქრობ კარგი იქნება თუ ქართული კომპანიები სოციალური მედიამარკეტინგის განხორციელებისას გაითვალისწინებენ შემდეგ რეკომენდაციებს:

- ✓ იცნობდნენ და კარგად შეისწავლონ საკუთარ მომხმარებლები;
- ✓ მოახდინონ დაგეგმვა – პირველ რიგში აუცილებელია კომპანიამ შეიმუშაოს სოციალური მე-დიამარკეტინგული გეგმა;
- ✓ არ დაავიწყდეთ, რომ ინფორმაციის შიგთავსი არის ძალიან მნიშვნელოვანი დ კომპანია უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ინფორმაცია რასაც მომხმარებელს სთავაზობს არის მათთვის საინტერესო;
- ✓ სწორად მოახდინონ სეგმენტირება;
- ✓ კომუნიკაციის სტრატეგია უნდა იყოს ბრენდის იმიჯთან შესაბამისი;
- ✓ მუდმივად იყვნენ მომხმარებელთან კონტაქტზე და გაითვალისწინონ მათი აზრები;
- ✓ თვალი ადევნოს კონკურენტებს;
- ✓ იყვნენ მუდამ ინოვაციურები და კრეატიულები.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაანალიზება იმისა, თუ რამდენად მზარდი და რამხელა შესაძლებლობების მქონეა სოციალური ქსელები, დაეხმარება ნებისმიერ კომპანიას იქონიოს მჭიდრო კავშირი მომხმარებელთან, მიაწოდოს მათ სასურველი ინფორმაცია და მიიღოს მყისიერი უკუკავშირი, რაც მომავალ მარკეტინგულ ღონისძიებებში უნდა იქნას გათვალისწინებული. ვფიქრობ სოციალური მედიამარკეტინგი არის ერთ-ერთ მძლავრი მარკეტინგული იარაღი თანამედროვე ბიზნესში და თითოეული დაკარგული წუთი მისი გამოყენებლობისა არის თითო დაკარგული მომხმარებელი კომპანიისთვის, რაც ესოდენ დიდია თანამედროვე მსოფლიო კონკურენციის პირობებში.

ბაზარზე 6 თვეერთაც გამოჩნდა და აქტივობების ნაკლებობას არ განიცდის.

ბატონი ლუკას განცხადებით ყველა ბიზნესს სოციალურ ქსელში სხვადასხვა მარკეტინგული სტრატეგია სჭირდება საქმიანობიდან გამომდინარე. ელექტრონული სპორტი სპეციფიკური მიმართულებაა რომლის მიმდევრებიც განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევიან. თუმცა მისი სოციალურ მედიაში მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე (ბანკ რესპუბლიკის ყოფილი ციფრული მედია მენეჯერი) ქართველ სოციალური ქსელის მომხმარებლების ძირითად თავისებურებებად და პრობლემებად შემდეგი მიაჩინა:

5. ხარისხის აღქმის და გარჩევის უუნარობა;
6. დაბალი ხარისხის იუმორის სიყვარული;
7. ინფორმირებულობის დაბალი დონე;

8. ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებისკენ სწრაფვა.

როგორც ჩანს ნეგატიურ ინფორმაციის გავრცელების სიყვარული მართლაც არის ქართველ მომხმარებელში, რაც გარკვეულ ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე მიუთითებს. ასევე მისი განცხადებით და დაკვირვებით ამართლებს ნებისმიერი პოსტისა თუ რეკლამის ისეთი შიგთავსი, რომელიც უშუალოდ ეხება მომხმარებელს და არის ქართული.

სამივე რესპონდენტთან ინტერვიუსა და მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი გამოწვევები, რომლებიც დღეს ქართული კომპანიების წინაშე დგას. ესენია:

7. შეინარჩუნონ არსებული მომხმარებლები და გაზარდონ მათი კმაყოფილების დონე;

8. გაზარდონ ვებგვერდზე ტრაფიკი;

9. მოიზიდონ ახალი სეგმენტი;

10. იყვნენ მუდმივად საინტერესო და მრავალფეროვანი;

11. გაზარდონ ცნობადობა;

12. მუდმივად განვითარდნენ და არ ჩამორჩნენ ტენდენციებს.

ამასთან, ვფიქრობ კარგი იქნება თუ ქართული კომპანიები სოციალური მედიამარკეტინგის განხორციელებისას გაითვალისწინებენ შემდეგ რეკომენდაციებს:

✓ იცნობდნენ და კარგად შეისწავლონ საკუთარ მომხმარებლები;

✓ მოახდინონ დაგეგმვა – პირველ რიგში აუცილებელია კომპანიამ შეიმუშაოს სოციალური მე-დიამარკეტინგული გეგმა;

✓ არ დაავიწყდეთ, რომ ინფორმაციის შიგთავსი არის ძალიან მნიშვნელოვანი და კომპანია უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ინფორმაცია რასაც მომხმარებელს სთავაზობს არის მათთვის საინტერესო;

✓ სწორად მოახდინონ სეგმენტირება;

✓ კომუნიკაციის სტრატეგია უნდა იყოს ბრენდის იმიჯთან შესაბამისი;

✓ მუდმივად იყვნენ მომხარებელთან კონტაქტზე და გაითვალისწინონ მათი აზრები;

✓ თვალი ადევნოს კონკურენტებს;

✓ იყვნენ მუდამ ინოვაციურები და კრეატიულები.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაანალიზება იმისა, თუ რამდენად მზარდი და რამხელა შესაძლებლობების მქონეა სოციალური ქსელები, დაეხმარება ნებისმიერ კომპანიას იქონიოს მჭიდრო კავშირი მომხმარებელთან, მიაწოდოს მათ სასურველი ინფორმაცია და მიიღოს მყისიერი უკუკავშირი, რაც მომავალ მარკეტინგულ ღონისძიებებში უნდა იქნას გათვალისწინებული. ვფიქრობ სოციალური მედიამარკეტინგი არის ერთ-ერთ მძლავრი მარკეტინგული იარაღი თანამედროვე ბიზნესში და თითოეული დაკარგული წუთი მისი გამოუყენებლობისა არის თითო დაკარგული მომხმარებელი კომპანიისთვის, რაც ესოდენ დიდია თანამედროვე მსოფლიო კონკურენციის პირობებში.

ლიტერატურა:

1. Robert E. Wilson, Samuel D. Gosling and Lindsay T. Graham- A Review of Facebook Research in the Social Sciences, Perspectives on Psychological Science; 2012, p. 203-204.
2. Sisira Neti-Social Media and Its Role In Marketing; International Journal of Enterprise Computing and Business Systems; July 2011; p. 4-5.
3. University of Twente, Faculty of Management and Governance- Foundations of Social Media Marketing; Procedia - Social and Behavioral Sciences, (2014) p. 40.
4. <http://www.forbes.com/sites/jaysondemers/2014/08/11/the-top-10-benefits-of-social-media-marketing/#130eec3c2a4d>
5. <http://www.wordstream.com/social-media-marketing>
6. <https://www.statista.com/statistics/272014/global-social-networks-ranked-by-number-of-users/>

7. <https://www.emarketer.com/Article/Social-Media-Marketers-Facebook-Produces-Best-ROI/1013918>
8. <https://www.statista.com/statistics/278414/number-of-worldwide-social-network-users/>
9. <http://www.socialmediaexaminer.com/report/>
10. <http://www.pewinternet.org/2016/11/11/social-media-update-2016/>
11. <https://www.elsevier.com/connect/free-research-papers-on-social-media-and-marketing>
12. <http://historycooperative.org/the-history-of-social-media/>
13. <https://www.statista.com/statistics/269615/social-network-penetration-by-region/>

ხათუნა თაბაგარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა. ხელმძღვანელები:

პროფესორები: ალექსანდრე თვალჭრელიძე, ავთანდილ სილაგაძე

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო გილსადაცების (არსებული და პერსპექტიული პროექტების) გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

საქართველოს ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია სხვადასხვა დარგის განვითარებაზე. თანამედროვე გამოწვევად ითვლება ნავთობისა და ბუნებრივი აირის ენერგეტიკული და ეკონომიკური მნიშვნელობა სახელმწიფო ასოციაციის. გეოპოლიტიკური მდებარეობა დიდ შესაძლებლობას აძლევს მას, რომ მისი სწორი და სტრატეგიული დაგეგმვით გაიზარდოს ეკონომიკური მაჩვენებლები.

მსოფლიოში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის ნავთობითა და ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა. ამჟამად, იგი მარაგდება რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკული რესურსით (ბუნებრივი აირი). ევროკავშირი ეძებს ალტერნატიულ წყაროს ენერგობაზარზე, რათა იგი გახდეს რუსული გაზის ძლიერი კონკურენტი და ნაკლები წნევი იტვირთოს ევროკავშირმა მომავალ პერიოდში ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლოა დამოკიდებული იყოს ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე, რომელიც არის ეკონომიკური და ენერგეტიკული თვალსაზრისით ძლიერი, მას, ასევე, გააჩნია პოლიტიკური მხარდაჭერა საერთაშორისო დიპლომატიურ სფეროში.

საქართველოს ტერიტორიაზე გადის ოთხი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დონის მიღსადენი: ბაქო-თბილისი-ჯეიპანის, ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ერზრუმისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის მიღსადენები. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველო-ირანის პერსპექტიული მიღსადენების, არსებულ და მომავალ მიღსადენებთან შედარებითი ეკონომიკური ანალიზი, აღნიშნული პროექტის განხორციელებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი და შესაძლო ეკონომიკური ზრდა. აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია, როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები.

ნავთობი და ბუნებრივი აირი წარმოადგენს მნიშვნელოვან ენერგეტიკულ რესურსებს მსოფლიოში. სახელმწიფოთა უმრავლესობა, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი რეზიუმე, ახორციელებენ მის იმპორტს. მისი ტრანსპორტირება შესაძლებელია სახმელეთო მიღსადენებისა და სპეციალური ტანკერების მეშვეობით.

მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე არსებობს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიღსადენთა სისტემა. ზოგიერთი მათგანი საერთაშორისო მნიშვნელობისაა. ჩრდილოეთ ამერიკის მიღსადენთა სისტემა ასე გამოიყურება:

1. ჩრდილოეთ ამერიკაში აშშ-ისა და კანადის მაგისტრალური ნავთობსადენები ურთიერთდაკავშირებულია;

2. კანადაში ძირითადი ნავთობის გამნაწილებელი ცენტრია ედმინისტრონი, ხოლო აშშ-ში – მიდლენდი და კაშინგი;

3. ძირითადი სანავთობები პორტები შესაბამისი ტერმინალებით ატლანტიკის აუზშია ჰიუსტონი, პორტ არტური, კორპუს კრისტი და პორტლენდი, ხოლო წყნარი ოკეანის აუზში და ვალდესი, პადჯეტ საუნდი, ლონგ ბიჩი სან ფრანცისკოში და ლოს ანჯელესში;

4. მექსიკაში ნაკლებად განვითარებული ნავთობსადენთა ქსელი აკავშირებს ნავთობის ოფშორულ ველებს ძირითად ქალაქებთან;

5. მექსიკაში ძირითადი საექსპორტო პორტია ნუევა ტეაპა (Tvalchrelidze, A.G. (2011)).

სამხრეთ ამერიკაში მაგისტრალური ნავთობსადენებთან შედარებით გაზსადენები უფრო მეტად არის განვითარებული. მაგისტრალური ნავთობსადენები არსებობს კოსტა რიკაში, პანამაში, კოლუმბიაში, ვენესუელაში, ეკვადორში, პერუში, ბოლივიაში, ჩილეში, არგენტინასა და ბრაზილიაში (იქვე). რაც შეეხება მაგისტრალურ გაზსადენებს, არსებობს კოლუმბიის გაზსადენი, რომელიც რამდენიმე ქალაქს, ქარხანასა და ობიექტს უკავშირდება. ზოგიერთი მაგისტრალური გაზსადენი ეკუთვნის ტრინიდადსა და ტობაგოს.

რაც შეეხება აფრიკას, საერთაშორისო დონის ნავთობსადენებს განეკუთვნება ნიგერიის, სუდანის, ზამბია-ტანზანიის, ალჟირისა და ლიბიის. გაზსადენები კი ძირითადად არსებობს ალჟირში, ნიგერიაში, ლიბიასა და ეგვიპტეში.

ავსტრალიაში ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული, როგორც ნავთობსადენები, ისე გაზსადენები.

ერაყში არსებული მილსადენებით ნავთობი ნაწილდება სირიას, ისრაელს, თურქეთსა და თავად ერაყს შორის. ირანში კარგად არის განვითარებული მილსადენთა სისტემა, რომლითაც რესურსი ტრანსპორტირდება მნიშვნელოვან ქალაქებში საექსპორტო ტერმინალებთან და ნავთობის ველებს აკავშირებს ერთმანეთთან. საუდის არაბეთში, ელ რიადისკენ მიმართული ნავთობსადენების პარალელურად მოქმედებს მძღვანილი პეტროლაინის ქსელი, რომელიც სპარსეთის ყურეს წითელ ზღვასთან აკავშირებს (იქვე). იემენი, როგორც ნახშირყალბადების ერთ-ერთი ექსპორტიორი ქვეყანა, მისი ტერმინალები უკავშირდებიან ნავთობსაბადოებს. არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში ნავთობის ექსპორტი თავს იყრის ძირითადად დუბაის პორტში და როგორც ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანა, იგი ახორციელებს მის მიწოდებას საერთაშორისო ბაზარზე ოფშორული ველებიდან.

აზერბაიჯანი ნავთობითა და ბუნებრივი აირით მდიდარი ქვეყანაა და ექსპორტს ახორციელებს ევროპის მიმართულებით ორი მილსადენის საშუალებით. ეს გახლავთ:

1. სუფსის ტერმინალთან საქართველოში ბაქო-სუფსის ნავთობსადენით, რომელიც ამუშავდა 1999 წელს და რომლის წლიური სიმძლავრეა 73 მილიონი ბარელი (15 მილიონი ტონა);

2. ბოტაშის ანუ ჯეიპანის ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენით, რომელიც ამუშავდა 2005 წელს და რომლის სიმძლავრეა 300 მილიონი ბარელი (50 მილიონი ტონა) წელიწადში (Tvalchrelidze, A.G. (2011)).

აზერბაიჯანისთვის ნავთობსა და ბუნებრივ აირს მთლიან ექსპორტში 95% უკავია. ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის აღნიშნული რესურსებიდან მიღებული შემოსავალი მშპ-ის 50%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩინეთს ნავთობით ამარაგებს ყაზახეთი, უზბეკეთი და რუსეთი. ამასთან ერთად არსებობს კონკურენტული მხოლოდ რუსული მილსადენი.

რაც შეეხება ევროპის მაგისტრალურ ნავთობსადენთა სისტემას, იგი ყველაზე მეტადაა დატვირთული სხვა კონტინენტებთან შედარებით. რუსეთი ნავთობისა და ბუნებრივი აირით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. მასზე გადის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მილსადენი დე.ნ. „დრუჟბა“ (6 000 კმ (Tvalchrelidze, A.G. (2011))). იგი ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

ევროპაში გამოირჩევა მილსადენები შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი (მათ შორის თათარსტანი, ბაშკირეთი), უკრაინა, პოლონეთი, გერმანია და ა.შ. რუსული მილსადენის საშუალებით ნავთობი მიეწოდებათ ლიტვას, ლატვიას, ჩეხეთს და ბელარუსს. ასევე, არსებობს რუსეთის მეორე მნიშვნელოვანი მილსადენი სახელწოდებით – ბალტიკა. ევროპაში ბუნებრივი აირის მიწოდება აგრეთვე მიმდინარეობს ჩრდილო ზღვის ოფშორული ნახშირწყალბადების ველებიდან.

ბუნებრივი აირის ევროპისთვის მიწოდება ძირითადად მიმდინარეობს რუსეთისგან. ევროსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით¹¹, რუსეთისგან ხორციელდება ევროკავშირის ბუნებრივი აირის მთლიანი მოთხოვნის 42%-ზე მეტის დაკმაყოფილება (რუსული გაზის იმპორტი უკრაინისა და ბელორუსის ტერიტორიებზე გამავალი მილსადენების ჩათვლით).

¹¹ http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Natural_gas_consumption_statistics.

ექსპორტიორ ქვეყნებს განეკუთვნებიან: რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ერაყი, უზბეკეთი, საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები და ა.შ. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება გარკვეულ დანახარჯებთან და მოგებასთან არის დაკავშირებული. თითოეული სახელმწიფოსთვის აღნიშნული რესურსი მეტ-ნაკლებად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

რუსეთისთვის ნავთობი და ბუნებრივი აირი შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა. იგი შეადგენს მშვ 50%-ზე მეტ წილს. ირანი, რუსეთის მსგავსად დამოკიდებულია აღნიშნულ რესურსებზე, თუმცა მაგალითად, ბუნებრივი აირის მარაგების მიხედვით, მას უფრო მეტის წარმოება შეუძლია (BP statistical review of world energy (2016). London: BP, 48 pp.).


სატრანზიტო ქვეყნებს წარმოადგენენ: უკრაინა, ბელორუსი, პოლონეთი და ა.შ. აქედან გამომდინარე, თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი ეკონომიკური სარგებელი და მნიშვნელობა საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, რუსეთი უკრაინის ტერიტორიის საშუალებით ევროპას აწვდის მთლიანად მის მიწოდებული გაზის 70%-ს, ხოლო ბელორუსის მეშვეობით – 30%-ს.

იმპორტიორი ქვეყნები, ძირითადად, არიან ნახშირწყალბადების მცირე მარაგებისა და მისი არმქონე ქვეყნები, მათ შორის თვალშისაცემია ევროპის ქვეყნები და ევროპული ენერგობაზარი.

საქართველო მდებარეობს მნიშვნელოვან ზონაში. იგი ევროპის კარიბჭეს წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით. ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად ითვლება ნავთობის და ბუნებრივი აირის მიწოდება და მისი სატრანზიტო ქვეყნად წარმოჩენა.

საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად ოთხი სტრატეგიული მნიშვნელობის მიღსადენი გადის. მათ შორის ორი ნავთობსადენია: ბაქო-თბილისი-ჯეიპანისა და ბაქო-სუფსის მიღსადენები. ხოლო დანარჩენი ორი გაზსადენი – ბაქო-თბილისი-ერზრუმისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალი.


ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენი სიგრძით მეორეა მსოფლიოში. მისი ამოქმედდა 2005 წელს. საქართველოში 1768 კმ-დან ხვდება მხოლოდ 229 კმ მონაკვეთი. აღნიშნული მიღსადენის სიმძლავრე 50 მილიონი ტონა ნავთობია. რაც შეეხება ბაქო-სუფსის ნავთობსადენს, მისი სიგრძეა 830 კმ. საქართველოში ასევე განთავსებულია 120 000 ტონა ტევადობის სუფსის ტერმინალი. ბაქო-სუფსის მიღსადენის სიმძლავრე 2 მილიონი ტონა ნავთობია.



(ნახაზი 1 <http://www.gogc.ge/ge/transporation-stats>): ნავთობის წლიური ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიაზე (მიღიონი ბარელი)


სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (ნახაზი 1), ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენით გაცილებით მეტი ნავთობის ტრანსპორტირება ხდება, ვიდრე ბაქო-სუფსიდან.

საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება ბუნებრივი აირის ტრანსპორტი ბაქო-თბილისი-ერზრუმისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის მეშვეობით.



ნახაზი 2 (<http://www.gogc.ge/ge/transporation-stats>): ბუნებრივი აირის წლიური ტრანსპორტირება (მლრდ.მ³)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით 2015 წელს შიდა მოხმარებამ შეადგინა 1 632,3 მლნ მ³ (<http://www.gogc.ge/ge/transporation-stats>). აქედან გამომდინარე 2015 წელს დაახლოებით 6 მლრდ მ³ გადაიზიდა თურქეთისა და სომხეთის მიმართულებით. რაც საკმაო შემოსავლის მომტანია და წინაპირობა საქართველოს ეკონომიკური ზრდის-თვის. ზოგადად, შაჰ-დენიზის წლიური გამტარობა 20 მლრდ მ³, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალისა კი - 12 მლრდ მ³.



ნახაზი: 1.10.2 (<http://www.imf.org/external/np/res/commod/index.aspx>): ბუნებრივი აირისა და ნავთობის ფასთა დამოკიდებულება

რადგან ნავთობისა და ბუნებრივი აირის ფასების კორელაცია 0,9 აღნევს და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აღნიშნული რესურსებიდან მიღებული სარგებელი ერთმანეთს შევადაროთ.

ბაქო-თბილისი ჯეიპანი არის 3 მილიარდი დოლარის ღირებულების სატრანსპორტო სისტემა (The Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program. (2005). Sweden: The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West, Inc., 150 pp.), მულტი-მილიარდობით უკუგება ჰქონიდა აღნიშნულ ჩანაფიქრს. აზერბაიჯანიდან ნედლი ნავთობის წარმოება და საქართველოს ტერიტორიამდე მოღწევისთვის დაახლოებით 13 მლნ დოლარი იყო საჭირო აზერბაიჯანული კომპანიისთვის.

აზერბაიჯანის ბუნებრივი აირის მარაგების ოდენობა არის 1,1 მლრდ მ³, ხოლო ნავთობის მარაგია 1 მლრდ ტონა 2016 წლისთვის.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანი თურქეთისთვის მნიშვნელოვანია ნავთობის გადაზიდვისთვის, რადგან უფრო ნაკლებ ფასში ახდენს ტრანსპორტირებას ტანკერების საშუალებით. ასევე, დასაწყისისთვის წელიწადში მას უნდა მიეღო 200 მლნ დოლარი, ხოლო დაახლოებით 17-დან 40 წლამდე მისი შემოსავალი ყოველწლიურად იქნება 290 მილიონი დოლარი (The Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program. (2005)). თურქეთმა, ასევე, ნახა სარგებელი შაჰდენიზის პროექტის განხორციელებით, ბუნებრივი აირის ნაკლებ ფასად მიღება.

საქართველოსთვის ყველაზე მეტად სასარგებლო პროექტი განხორციელდა (ბაქო-თბილისი-ჯეიპანი), რადგან მისი წლიური შემოსავალი არის დაახლოებით 50-60 მლნ დოლარი წელიწადში. ამასთან მან ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალის გაზსადენის ტრანსპორტირებით მიიღო 8 მილიონი დოლარი, დაახლოებით 40 წლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ საქართველომ მიიღო 2,5 მლრდ დოლარის შემოსავალი, რაც ყოველწლიურად 62,5 მილიონ დოლარს უთანაბრდება (The Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program. (2005)).

აზერბაიჯანისთვის ბაქო-თბილისი-ჯეიპანის, ბაქო-სუფსის და სხვა მილსადენების საშუალებით მიღებული შემოსავალი დაახლოებით 100 მლრდ დოლარს აჭარბებს (The Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program. (2005)).

დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, ევროკავშირს ესაჭიროება ბუნებრივი აირის მომნოდებელი ალტერნატიული წყარო. ამჟამად, ევროპის ენერგო ბაზარზე რუსული გაზი დომინირებს, რაც, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, საფრთხისშემცველ გარემოებას წარმოადგენს ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. რუსული ბუნებრივი აირის კონკურენტ ქვეყნად ირანის ისლამური სახელმწიფო მოიაზრება. იგი გაზის მარაგების მიხედვით პირველ ადგილზე იმყოფება 34 ტრილიონი მ³, ხოლო რუსეთი დ მეორე ადგილზე 32,3 ტრილიონი მ³-ით (BP statistical review of world energy (2016). London: BP, 48 pp), ამასთან, რუსული გაზი მომავალი 12-15 წლის განმავლობაში შესაძლებელია ამოინუროს. რუსეთი ევროპის პარალელურად ამარაგებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასაც. მისი მილსადენები არის გაუმართავი. ირანი რეზერვზე ორიენტირებული სახელმწიფოა, რუსეთისაგან განსხვავებით, მას საერთაშორისო მხარდაჭერა გააჩნია ევროკავშირის მხრიდან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანმა კარგი ურთიერთობები მაშინვე დაამყარა საქართველოსთან, რადგან იგი წარმოადგენს ირანისთვის კარიბჭეს ვაჭრობისა და, ზოგადად, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ირანს სურს საქართველოსთან თანამშრომლობა გაგრძელდეს ბუნებრივი აირის ბაზარზე. მას შესწევს უნარი გაზარდოს გაზის წარმოება და ექსპორტი ევროპის მიმართულებით.

ახალი მილსადენის საშუალებით შესაძლებელი იქნება დაახლოებით 25-30 მლრდ მ³ ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება, რაც საქართველოს განვითარების პერსპექტივას წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით. აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 5-ჯერ მეტია, ვიდრე 2015 წლისთვის ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის მოცულობა. იგი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საქართველოს ენერგო ბაზარზე. იგი ირანთან ერთად იქნება ბუნებრივი აირის საიმედო მიმწოდებელი ევროპისათვის.

დღევანდელი დღის პირობებში საქართველო-ირანის თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია აშშ-ის პრეზიდენტის - დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში. მოგეხსენებათ, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის ინტერესები გაიყო და საქართველოს შეუძლია ირანი დაუბრუნოს ცივილიზებულ სამყაროს.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუკი ირანიდან განხორციელდება ბუნებრივი აირის ექსპორტი საქართველოს გავლით ევროპის მიმართულებით, ეს გარდა იმისა, რომ ყველა ამ პროექტში მონაბილე ქვეყანას სარგებელს მოუტანს, საქართველოსთვის იქნება ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. შემოსავალი თუ კი მასზე გამავალი 4 მილსადენის ფარგლებში მერყეობს წელიწადში 62 მლნ დოლარამდე, რადგანაც მისი მარაგების აზრბაიჯანისას აღემატება თითქმის 34-ჯერ, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც უფრო მეტი შემოსავლის მიღების საფუძველი იქნება. გარდა ამისა, გაიზრდება საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა.

საქართველოს შეუძლია მიიღოს კიდევ უფრო მეტი სარგებელი მისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მასზე გადის 4 მილსადენი, მათ შორის 3 საერთაშორისო მნიშვნელობის. მხედველობაში გვაქვს ირანის რესურსების პოტენციალის გამოყენება, ვინაიდან ირანი ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში - იგი მდიდარია ნახშირწყალბადებით.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუკი ირანიდან განხორციელდება ბუნებრივი აირის ექსპორტი საქართველოს გავლით ევროკავშირისაკენ, ეს იქნება რუსული გაზის კონკურენტი გაზი. იგი იქნება თურქეთის შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელი. ირანი საქართველოსთან ერთად იქნება ენერგოუსაფრთხოების გარანტი, აღნიშნული მილსადენის საშუალებით, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის და სხვა მილსადენების პროექტების განხორციელებით მიღებულ სარგებელთან შედარებით, საქართველოს შემოსავალი მინიმუმ გასამმაგდება.

ლიტერატურა:

1. ა. თვალჭრელიძე, თ. ბერბერაშვილი და მ. ოთარაშვილი (2016). ნედლეულის ეკონომიკა. ნედლეულის როლი გლობალიზაციულ სამყაროში, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, გვ. 540.
2. Tvalchrelidze, A.G. (2011). Economics of commodities and commodity markets. New York: Nova Science Publishers, Inc., p. 906.
3. The Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program. (2005). Sweden: The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West, Inc., p. 150.
4. <http://www.gogc.ge/ge/transporation-stats>
5. <http://www.gogc.ge/ge/gas-transportation>
6. <http://www.gogc.ge/ge/oil-transportation>
7. http://geostat.ge/?action=page&&p_id=2287&lang=geo
8. BP statistical review of world energy (2016). London: BP, p. 48.
9. http://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php/Natural_gas_consumption_statistics
10. <https://www.balcanicaucaso.org/eng/Areas/Azerbaijan/Azerbaijan-s-oil-dependence-123328>

**ჰუმანიტარული მეცნიერებანი
ეთნოლოგია, ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა**

ქეთევან ციმინტია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი,
ხელმძღვანელი: პროფესორი **როლანდ თოფჩიშვილი**

**დამთავრებული გამოაშვარავებისა და სასჯელის ფორმების შესახებგაგრულ
ჩვეულებით სამართლალი**

საუკუნეების მანძილზე ქართველებმა მაღალი სამართლებრივი კულტურა შექმნეს. ამის დამადასტურებელია ის საკანონმდებლო ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს და წარმოადგენენ ქართული სამართლის მნიშვნელოვან წყაროს. თუმცა, საქართველოს ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების პარალელურად მოქმედებდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებიც. ასეთ მხარეთა შორის იყო სამეგრელოც.

სამეგრელოში ჩვეულებითი სამართლი მხარდაჭერილი იყო მთავრისა და მმართველი ფენის მხრიდან. შეა საუკუნეებში, უცხოელი მოგზაურების ჩანაწერებით, ვხედავთ სასჯელის ფორმებს, რომლებიც არსებობდა და აქტიურად მოქმედებდა. სასჯელის სიმძიმე დანაშაულზე იყო დამოკიდებული. ნაქურდალისთვის ხდებოდა ფასის გადახდევინება, ხელის ან ფეხის მოჭრა გახურებული ნაჯახით, თვალების ამონვა, ცხვირის მოჭრა და სხვა. აღსანიშნავია, რომ დამნაშავის გამოსააშკარავებლად ფართოდ გამოიყენებდნენ ადათობრივი სამართლისთვის დამასასიათებელ ორდალიებს (ადუღებულ წყალში ხელის ჩაყოფა, ცალი ხეზე ჩამოკიდება, ფიცი). გვიანი პერიოდისთვის ჩვეულებითმა სამართალმა ფორმა იცვალა და ხატზე გადაცემის (გინოჩამის) სახე მიიღო. მას ქრისტიანობის ელემენტებიც შეერწყა. სამეგრელოში დღემდე შემორჩენილია ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი ფორმა – „გინოჩამა“. ის ხალხურ წიაღში წარმოშობილი ქცევის წესია, რომელიც გარკვეული დანაშაულებრივი ქმედებისთვის დამნაშავის დასჯას უზრუნველყოფდა. მისი შესრულების პრაქტიკიდან ჩანს, რომ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს შერწყმული აქვს ქრისტიანული ელემენტები. ის, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს როგორც სინკრეტულ, ასევე პაგანიზებულ სახეს. ერთიანობაში კი ქმნის მთლიან სისტემას და მოქმედებს როგორც ხალხური სამართალი. „გინოჩამის“. ბოლო დრომდე შემორჩენა განპირობებული იყო ისტორიული ბედუკულმართობითა და სახელმწიფო სამართლის ფუნქციონირების შესუსტებით.

„გინოჩამა“ როგორც აღვნიშნე, ხდებოდა ეკლესიებში და ქრისტიანული ხატების (მატერიალურად არსებულის) წინაშე. ხალხი სამართალს წმინდანების ძალაში ეძებდა, განსაკუთრებული კი წმინდა გიორგი იყო. თუმცა „გინოჩამა“ ხდებოდა, ასევე ხეზე, სამჭედლოში, წყალზე, წისქვილში, ტაძრის კედლებზე, მინაზე და სხვა. „ეკლესიების ირგვლივ გაშენებულია მაღალი, მსხვილი ხეები და გარშემორტყმულია ქვის გალავნით ან მესერით. ამ ხეების ფესვები ხატებისთვის არის შენირული, ამიტომაც მათ არ ჭრიან და არც უბრალოდ ეხებიან, რათა ხატების რისხვა არ გამოიწვიო“ (შარდენი 1975: 148). სავარაუდოდ, ეს ხეები, რომელზეც შარდენი საუბრობს მუხა და ცაცხვია. ქართულ ხალხურ ყოფაში მუხა და ცაცხვი წმინდა ხეებია. ასევე, მეგრელთა რწმენით, ძალიან ძლიერია ტყის ბლის ხეზე ლურსმნის მიჭედება და ამდაგვარად გადაცემა დამნაშავისა.

სოფელ ჩქვალერში, ერთ-ერთი მთხოვნელის თქმით, ფიფიას გვარის წარმომადგენელს გადაუცია ცაცხვის ხეზე კაცი, შეუგროვებია ხალხი და ამ ხალხის თანდასწრებით ამოუჭრია ხეზე ჯვარი და თან უთქვამს გადამცემის ტექსტი. სოფ. ჩქვალერში, ლეშამგეს უბანში არის ძველი ეკლესია, „ლეშამგეს ქირსე-მანცხვარი“ აქ სცოდნიათ ხატზე გადაცემა და დაწყევლა. ეკლესიის ეზოში არის დიდი ცაცხვის ხე, რომელზედაც ხდებოდა „გინოჩამისას“ ლურსმნების მიჭედება, ან სხვა რაიმე მოქმედება. ხალხის რწმენით, ამ ეკლესიაზე თუ ეკლესიის ეზოში არსებულ ხეებზე ვინმე სამართლის საძიებლად გადასცემდა დამნაშავეს, ხატი აუცილებლად შეისმენდა და დაუყოვნებლივ

იპოვიდა სამართალს. „ხშირად ჯეგე და ქირსე გადაცემულ ადამიანს თავის ფეხით მიიყვანდა ეკლესიის კარებთანო. გადაცემულს ხატის კარებთან მიაბამდნენ. გადაცემის დროს მაწყევარი თუ იტყოდა: „ჩემი მავნებელი ჯეგე და ქირსე ისე ცუდად გახადე, რომ იგი აიძულე შენს კარზე თავისი ფეხით მოვიდეს და აქ მიაბანო“. ამის გამო გადაცემული ადამიანი თუ ცუდად გახდებოდა, ის მკითხავის რჩევით, მიდიოდა ქირსეს კარებთან და მას იქ დააბამდნენ. ამ ადამიანს დაიხსნიდა მისივე მოკეთე, რომელმაც მკითხავის მითითებით იცოდა, თუ რამდენი ფული უნდა მოეტანა ავადყოფის დასახსნელად. ხშირად ადამიანის სანაცვლოდ ცხენს ან ხარს მიაბამდნენ ხატის კარებთან და ამის შემდეგ ავადყოფი ახსნილად ითვლებოდა და ის იკურნებოდა“ (მაკალათია 1941: 368).

სოფელ ალერტში, ლეგოვის უბანში ერთ კაცს ღორი მოუპარავს. ბიჭს თურმე ღორივით ჯაგარი ამოსვლია სახეზე და მთელს სხეულზე. შველა მანამ არ ჰქონია, სანამ მაწყევარმა არ დალოცა. ყოფილა შემთხვევა, როცა მამაკაცს მოუპარავს ღორის დამარილებული ხორცი, ამის გამო გადაუციათ და დამნაშავის ოჯახში, ქალს სხეულზე მარილი გამოსვლია. მთხოველთა თქმით ღორის, ბატის და გოგრის ქურდი სასტიკად ისჯება „გინოჩამის“ გარეშეც. თავისით იწყევლებაო.

„გინოჩამის“, ხატზე გადაცემის მიზეზი, ძირითადად, ქურდობაა, ასევე სახლ-კარის გადაწვა, მკვლელობა თუ სხვა მძიმე დანაშაული. სოფელ ჩქვალერში ერთ-ერთ შეძლებული ფიფიასტვის ღარიბ ფიფიას სახლ-კარი გადაუწვია. გადამწვარ სახლში ყოფილა პატარძალი, რომელიც მზითვის გამოსატანად შესულა ცეცხლნაკიდებულ სახლში და შიგ ჩამწვარა. გამწარებულ ოჯახის უფროს ქალს (დედამთილს) ცეცხლის წამკიდებელი გადაუცია ილორში. მას ფურცელზე დაუწერია წყევლა და ბეჭედიც დაურტყამს.

ილორის ეკლესიას ჰქონია ბეჭედი, რომელიც, მთხოველთა თქმით, სამკუთხა ფორმის იყო. ამ ფურცელს სამეგრელოში ხვდებოდი საფლავის ქვებზე. ამ დრომდე ილორის ეკლესიაში „გინოჩამილი“ ფურცელი სოფელ ჭალის ერთ-ერთ სასაფლაოზე ყოფილა შემონახული. სამწუხაროდ დღეს ის ფურცელი აღარ არსებობს და ამიტომ ზუსტად ვერ შევძლი, გამეგო, თუ როგორი იყო ილორის ეკლესის ბეჭედი, რომელსაც წყევლის ფურცელზე არტყამდნენ.

სოფელ ჭალეში არის ადგილი „ოჭკეში“. აქ ყოფილა ქვა, რომელსაც მეგრელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. აქ ჭალედან გათხოვილი ქალები სალოცავად მოდიოდნენ. ამ ადგილზე სცოდნიათ „გინოჩამაც“.

სოფელ ობუჯში იყო „მიქელგარიო ქიაჩის“ ხატი. ამ ხატზე გამოსახული იყო წმინდა მიქელ და გაბრიელი. ხატზე აფიცებდნენ ქურდებს, ავაზაკებს და მათ მოწმეებს. დღებისა იმართებოდა 15 აგვისტოს და იკრიბებოდა დიდიალი ხალხი. განსაკუთრებით კი მოდიოდნენ ის ადამიანები, რომელებსაც ხატზე გადაცემა, წყევლა ან დაფიცება სურდათ (მაკალათია: 1941). ობუჯში იციან წყევლა „გეშაქიაჩედა“, რაც ნიშნავს ამოძირკულიყავი, „მოქიაჩელ სქან დუდუ“ (მოქიაჩელ შენი თავი). ლოცვა და „აგაშენათ ქიაჩია“.

კაკაჩიასა და შენგელაიების გვარს ერთმანეთი გადაცემული ჰყავთ ქიაჩის ხატზე. გადმოცემით, ქიაჩის ხატი კაკაჩიებს ეკუთვნოდათ. ისინი ჩუმად უვლიდნენ მას. კაკაჩიებს გვარში გამორევიათ ქურდი, რომელმაც შენგელაიების რძალს მზითვი მოპარა. ქურდის გამოაშკარავების მიუხედავად, მზითვი ვერ დაუბრუნეს კაკაჩიებმა შენგელაიებს და სანაცვლოდ ქიაჩის ხატი მოსთხოვეს. მას შემდეგ ხატი შენგელაიებს ეკუთვნოდათ და ისინი იცავდნენ. კაკაჩიებმა შენგელაიები დაწყევლეს და ობუჯში, ამ ორ გვარს შორის ქორწინება არ ხდება.

სოფელ მიქავაში, სამიქაოს უბანში ქონიათ სამრეკლო. აქ იყო წმინდა გიორგის ხატი დასვენებული. სამრეკლოსთან იკრიბებოდნენ სოფლის უხუცესები. მოსახლეობას კი ზარის რეკვით აგებინებდნენ, რომ შეკრება უნდა მომხდარიყო. ამ წმინდა გიორგის ხატთან ხდებოდა დამნაშავის გამოაშკარავება, დასჯა და სხვა. ერთ-ერთ ღვინჯილიას მოუპარავს თხა. სოფლის უხუცესებს ეჭვმიტანილი ღვინჯილია დაუბარებიათ წმინდა გიორგის ხატთან. მთელი სოფლის ნინაშე, ხატზე დაუფიცნია ღვინჯილიას, რომ სიმართლეს იტყოდა და დანაშაულიც უღიარებია. სოფლის უხუცესებს შეუნდვიათ ეს დანაშაული იმ პირობით, რომ აღარ ჩაიდენდა. ლექსიც არის ხალხური ამ დანაშაულზე: „ვაჟეია, ვაჟეია/ თხაშ მახინჯი მათეია/ თხა დინაფილ მათეია/ დღა დინაფილ მათეია“.

„გინოჩამა“ სცოდნიათ ნისქვილში, სამჭედლოში, მდინარეზე და ა.შ. „გინოჩამის“ რიტუალი მოიცავს ერთ-ერთ კომპონენტს და ეს არის „მორსხა“, „გინოჩამის“ შემთხვევაში წყევლისგან გათა-

ვისუფლების რიტუალი. თუმცა წყევლისგან გათავისუფლება-არგათავისუფლება დამოკიდებულია წყევლის ტექსტზე. შესაძლოა ადამიანი გათავისუფლების გამორიცხვითაა ხატზე გადაცემული.

„მორსხა“ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ხსნა, საშველი; ნასახი, ნატამალი რისიმე, უკიდურესი მდგომარეობიდან გამოსაყვანი საშუალება“ (ქობალია 2010: 475).

ყველაზე მძიმეა ხატზე გადაცემა „მორსხის“ გარეშე, ამ დროს წყევლა, როგორც სამეგრელოში სჯერათ, მაწყევარს უკან უბრუნდება, მიუხედავად იმისა, მაწყევარი სამართლიანად გადასცემს თუ არა წყევლას. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ძმის მკვლელობისთვის სამართალდამცავებს არ დაუსჯიათ მკვლელი. ოჯახის წევრებმა, ანუ მოკლულის დებმა დადეს გაუთხოვრობის აღთქმა და მდინარეში ჩავიდნენ, წყალში ჩამოივარცხნეს თმა და დაწყევლეს მკვლელი და მისი ოჯახის ყველა მამაკაცი. მთხოვნელთა რწმენით „გინოჩამამ“ სამართალი აღადგინა და ყველა მამაკაცი დამნაშავის ოჯახში გარდაიცვალა. დებმა კი გაუთხოვრობის აღთქმა დადეს, რათა შთამომავლები არ ჰყოლოდათ და წყევლა უკან არ დაბრუნებულიყო.

თავის მხრივ, მაწყევარი ატარებდა რიტუალს, რომელსაც „ერსხა“ ერქვა. ლექსიკონში „ერსხა“ განმარტებულია, როგორც: „ახსნა, დახსნა, აწყვეტა (დაბმულისა), ერთგვარი რიტუალი, რომელიც ხატზე გადამცემს ემართა. როდესაც ხატზე გადაცემული და დაწყევლილი ოჯახი ამონყდებოდა, წყევლის მობრუნების თავიდან ასაცილებლად მაწყევარი საკლავ-საწირით უნდა ხლებოდა ხატს, რათა შეწყალება და წყევლის გაბათილება ეთხოვა. ნაწილობრივ არსხებას ახდენდნენ ყოველთვის, როცა გადაცემული ოჯახის რომელიმე წევრი მოკვდებოდა, უპირატესად სწირავდნენ ცხვარს“ (ქობალია 2010: 40).

„ერსხა“ აუცილებლად უნდა შეესრულებინა მაწყევარს, რათა თავიდან აეცილებინა წყევლის უკან დაბრუნება. არის შემთხვევები, როცა ეს რიტუალი „ხვამად“ ქცეულა, ანუ ყოველწლიური დღეობის სახე მიუღია. მაგალითად, სოფ. მუჟავაში არქანიების გვარი ატარებს „განალინიშ ხვამას“, რომელიც ბავშვის დაბადებასთანაა დაკავშირებული. ოჯახის უფროსი ქალი ოჯახში ბავშვის დაბადებისას მუდმივად ასრულებს ამ რიტუალს.

ამრიგად, „გინოჩამა“ ხატზე გადაცემას ნიშნავს. ის მხოლოდ ხატზე, როგორც მატერიალურად არსებულ წმინდა საგანზე გადაცემას/დაწყევლას არ გულისხმობს. გადაცემა შეიძლება მოხდეს ხეზე, წისქვილში, ტაძრის კედელზე, მიწაზე, წყალზე და სხვა. ხალხის წარმოდგენით, ამ წესის შესრულებით, გარკვეული დანაშაულებრივი ქმედებისთვის, უზრუნველყოფდნენ დამნაშავის გამოაშკარავებასა და შემდეგ მის დასჯას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი წყევლა. მოიცავს მეტად საინტერესო ასპექტებს და მოითხოვს წესების ზედმინევნით დაცვას.

ლიტერატურა:

1. მაკალათია: 1941: მაკალათია სერგი, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1941.
2. მაკალათია: 1938: მაკალათია სერგი, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში. თბილისი, 1938.
3. სახოკია: 1985: სახოკია თედო, მოგზაურობანი. ბათუმი, 1985.
4. აბაკელია: 1997: აბაკელია ნინო, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი, 1997.
5. ქობალია: 2010: ქობალია ალიო, მეგრული ლექსიკონი. თბილისი, 2010.
6. გუჯეჯიანი: 2010: გუჯეჯიანი როზეტა, ჩვეულებითი სამართალი, კრ. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თბილისი, 2010.
7. ნადარეიშვილი: 1990: ნადარეიშვილი გიორგი, ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტი – „ცოდვის მოკიდება“, კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი 2. თბილისი, 1990.
8. დოლიძე: 1960: დოლიძე ისიდორე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბილისი, 1960.
9. შარდენი: 1975: უკან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თბილისი, 1975.
10. ლამბერტი: 1938: არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1982.
11. ანტიოქიელი: 1982: მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არმალანი. თბილისი 1982.

თეონა კვანჭიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, მაგისტრატურა,
ხელმძღვანელი: პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი

ერთი ხალხური დღესასწაულის შესახებ სვანეთიდან გიგილირებულ ეკონომიკური შორის

სვანეთის ტრადიციულ ყოფაში ბოსლობის დღესასწაული ატარებს ორ სახელწოდებას; ლენ-ტეხში „ბოსლობასაც“ უწოდებენ და „ბექმბლუსაც“ ლაშეთ-ჩოლურში კი „მექმბლუს“. დღესასწაული აღინიშნება მოძრავი გრაფიკით. აღდგომის დღესასწაულის წინა პერიოდში, ხორციელის დასრულების წინა შაბათს იმართება თვალების ტკივილის სანინააღმდეგოდ დაუქმებული დღეობა „მეისარობა“. მეისარობის შემდეგ შაბათ დღეს კი აღინიშნება „ბოსლობა“ // „ბექმბლუ“-ს დღესასწაული. ქვემო სვანეთში არსებული ამ დღესასწაულის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის მკვლევარი არსენ ონიანი, რომლის მიხედვითაც ეს დღე ქვემო სვანეთში საერთო უქმებელი დღე ყოფილა ყველასთვის. ლოცვა და სხვადასხვა პროცესები სრულდება მხოლოდ შედამების შემდეგ, ე.ი. ვახშიმის დროს. იმ საღამოსთვის გამოცხვება „ტაბლა“ (შესაწირი პურის ერთი ნაირსახეობის სახელწოდება სვანეთში) ტაბლები დაინყობა საცერზე. დაიჭერს მათ ოჯახის უფროსი ხელში და მივა შსხვილფეხა საქონელთან. აღაპყრობს საცერში ჩაწყობილ ტაბლებს მაღლა და საქონლის ბატონ პატრონ და გამჩენ ღმერთებს შესთხოვს მათ გამრავლებას. ლოცვის დროს ამბობენ ამ სიტყვებს: ვანარ-ფურალ ხვაიუ გვირი, მიჩა მეჭემ მააროლ, მიჩა დაბ ი ლააროლ // ხარები და ძროხები ბევრი გვყავდეს, მათი მომყოლი ადამიანი, მათი ყანები და მინდვრები. ამ ლოცვის თქმა იციან ლენტების თემში, ხოლო ლაშეთის თემში კი აი ასე: „ბექმბლულა ჭარინდულა ხვაიუ გვირი ჭანარ ი ფურალ მიჩა მეჭემ მააროლ, მიჩა დაბ ი ლააროლ - მი ჰი ჰი ჰი! // ბამბლულა აჩინდულა ბევრი გვყავდეს ხარები და ძროხები, მისი მომყოლი ადამიანები, მისი ყანა და მინდვრები - მი ჰი ჰი ჰი! ამ ლოცვების თქმის დროს ოჯახის სხვა წევრები ამავე ლოცვის სიტყვებს იმეორებენ, ზურგზე ჰყავთ აკიდებული ბავშვები ან ოჯახის მომცრო ტანის მქონე სხვა წევრები და დაიარებიან საქონლის წინ, რომლებსაც თავი გამოყოფილი აქვთ წინისკენ. მათ წინ არის ბლომად დაყრილი თივა ისე, რომ ლოცვის შესრულების დროს და ლოცვის სიტყვების გამეორებისას საქონელი ამ პროცესს უყურებდეს მის წინ დაყრილი თივის ჭამა კი არ შეეძლოს მანამ სანამ პროცესი არ დამთავრდება.

ამ ლამის შესახებ არსენ ონიანისთვის სოფელ შეგედში მცხოვრებ სემირან გაბიანს უამბნია: სოფელ ორბელში ამ ლამეს შუაცეცხლის კერიას, ოთხ ფეხზე დაჩოქილი დედაკაცი გარს შემოუვლის და თან გაიძახის: „კოტ მოზვერა დ კოტ მოზვერა“ ხოლო მისი ქმარი ისიც ოთხ ფეხზე მდგომი მოს-დევს მის დედაკაცს უკან და საპასუხოდ იმის სიტყვებისა ეუბნება: „მე ვარ შენი ხარ-მოზვერა, მე ვარ შენი ხარ-მოზვერა“ და ასე სამჯერ შემოუვლიან ცეცხლს ირგვლივ. ჩამნერის ვარაუდით ეს წინაათ ხდებოდა, რადგან მას მსგავსი რამ სხვაგან არსად არ გაუგონია.

გარდა ამისა, არსენ ონიანი გვაწვდის კიდევ ერთ საინტერესო ცნობას, ამ დღესასწაულის ერთ სარიტუალო ვარიაციის შესახებ. ზემო სვანეთში სოფელ ჭელიში, ამ დღესასწაულის ლამეს დაესეოდნენ თავისი ქმრები ცოლებს და რაც უფრო მეტჯერ შეასრულებდნენ სქესობრივ აქტს იმდენ-ჯერ მეტი საქონლის გამრავლებას მოელოდნენ. ჩამნერი დასძენს, რომ აღნიშნული მხოლოდ სხვა-თაგან გაუგონია და უშუალოდ ამ სოფელში კი არ გადაუმონებია (ა. ონიანი, საარქივო მასალა, 1934 წ.).

თანამედროვე ვითარებით მიგრირებულთა შორის ბოსლობის აღნიშვნის ტრადიცია თითქმის უცვლელი ფორმითაა შემონახული. ოჯახის დიასახლისი დილიდანვე იწყებს მზადებას და შეღამების უამს კი დაინყებს პურების, ხაჭაპურების, კარტოფილიანებისა და ლობიანების გამოცხობას. სვა-

ნეთში ამ პურებს „ტაბლებად“ აცხობდნენ აქ კი აღარ. დაალაგებს გამომცხვარ პურთა ნაირსახეობებს საცერზე, წავა ბოსელში იქ ერთ სუფთა ადგილს შეარჩევს, დააფენს თივას და ვიდრე მასზე დაყრიდეს ამ პურებს დაილოცება და უფალს შესთხოვს ადამიანებისა და საქონლის გამრავლებას. შემდეგ დაყრის საცერზე მოთავსებულ პურებს თივაზე, რომელსაც იქ მყოფი ბავშვები მისცვივდებიან და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი პური შეიხვედრონ. ბავშთაგან უფროსები მათზე პატარა ბავშვებს ზურგზე წამოიკიდებენ და თან გაიძახიან: „ბამბლუნა ქაციმბულა ბანარ ფურალ ხვაიუ გვაყა, ეჯიარე მიმარიდ ბოფშარი ჩუუ არის ი ხომაალი მაგ“ // „ბამბლუნა ქაციმბულა ხარები და ძროხები ბევრი გვყავდეს, მათ გამომყენებლად ბავშვები და დიდები კველა“. მიგრირებულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ახალ გარემოში ამ პურების დაყრა ბოსლის წაცვლად ძირითადად სახლში ხდება ღუმელის წინ.

ტრადიციულ ქართულ ყოფაში ტერმინ „ბოსლობის“ რამდენიმე ვარიაცია დასტურდება. მათ შორის დიდი ადგილი ეჭირა ბოსლობის ტრადიციას ქართულ საახალწლო რიტუალებში. ამ შემთხვევაში გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ საახალწლო რიტუალებში არსებული „ბასილობა“ // „ბოსლობა“ წმინდა ბასილი დიდის სახელს უკავშირდება, რადგანაც ცნობილია, საეკლესიო მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით 1(14) იანვარი არის წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და წმინდა ბასილი დიდის ხსენების დღე. შესაძლოა, წმინდა ბასილი დიდის სახელი ჩაენაცვლა არქაულ სარწმუნოებრივ სისტემაში არსებულ წაყოფიერების კულტს, რომელსაც, შესაძლოა, ფესვები უძველესი დროიდანვე ჰქონდა გადგმული ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, სადაც ის თავდაპირველად გაიგივებული იყო საქონლის მფარველ ღვთაებასთან, რომელიც ერთ-ერთი უძველესთაგანია ქართულ წარმართულ პანთეონში (თ. კვანჭიანი 2014). ბასილი დიდის კულტი მკვლევარმა ვერა ბარდაველიძემ, დაუკავშირა მის მიერვე გამოვლენილ ზოგადქართულ ითიფალურ ღვთაებას – ბოსელს (ბომბლას). ვერა ბარდაველიძის აზრით, ბოსელი საქონლის ქართული წარმართული ღვთაებაა და იგი საქონლის, განსაკუთრებით ღორის, გამრავლებისა და მოვლა-პატრონობის მფარველ ღვთაებად მოიაზრებოდა (ვ. ბარდაველიძე 1939).

ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ბობსლობის//ბემბლუს ტრადიციას ეჭვგარეშეა, რომ არქაული ფესვებიდან იღებდეს სათავეს და დაკავშირებულია საქონლისა მფარველ უძველეს ღვთაებასთან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არავითარი კავშირი დღეობას და მის შემადგენელ რიტუალს არ აქვს ქრისტიანი წმინდანის ბასილი დიდის სახელთან. ა. სოხაძის დასკვნით „ბოსლობა“ მიწათმოქმედებასთან შერწყმულ მსხვილფეხა საქონლის მეურნეობის ამსახველ უძველეს დღეობას წარმოადგენს და იგი ასევე ავლენს კავშირს ქართველთა წარმართული რელიგიის საწყისებთან დ მზის, ცეცხლის, მთვარის წყლისა და დედამიწის კულტებთან მასში მრავლადაა მაგიური ელემენტებიც (ა. სოხაძე 1964).

ლიტერატურა:

1. აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე: 1991: აბაკელია ნინო, ალავერდაშვილი ქეთევან, ღამბაშიძე ნინო, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი, 1991.
2. ბარდაველიძე: 1939: ბარდაველიძე ვერა, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი, 1939.
3. კვანჭიანი: 2014: კვანჭიანი თეონა, ბასილობის ტრადიცია საახალწლო რიტუალებში, მერმისი II , 2014.
4. ონიანი: 1934: ონიანი არსენ, საარქივო მასალა ქვემო სვანათის მითოლოგიისათვის, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 1934.
5. სოხაძე: 1964: სოხაძე აკაკი. ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან. თბილისი, 1964.

მაია კობიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტურა,
ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო შინდიაშვილი

„ცისფარყანიალები“ 1936-1937 წლების ქართულ პრესაში

თანამედროვე ლიტერატურის ისტორიისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული მწერლობის გენეზისის კვლევა, რამეთუ აღნიშნული პერიოდის მწერლობა თავისი ნაირფეროვნებით დღესაც აქტუალურია და საჭიროებს შესწავლას, ახლიდან გადახედვას და ჩაღრმავებას როგორც თემატიკის, ასევე პოლიტიკური და სუბიექტური დამოკიდებულებების განხილვის თვალსაზრისით.

ყველა და ყველაფერი შეცვალა 1925 წლის 25-მა თებერვალმა. სერგო ორჯონივიძემ ლენინსა და სტალინს დეპეშით ამცნო: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“. ქართული მწერლობა ერთგვარი ალტერნატივის წინაშე დადგა: მემარცხენეობა თუ მემარჯვენეობა.

საბჭოთა მწერლობამ უარყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და ყოველგვარი დეკადენტური მიმდინარეობანი. 1925 წელს მან მიიღო ცნობილი რეზოლუცია „მხატვრულ ლიტერატურაში პარტიის პოლიტიკის შესახებ“ (1,28) მთავარი იერიში კი „ცისფერყანისათვის“ დაჯგუფებაზე, მის ლიტერატურულ ტრადიციებზე მიიტანა და მისი ხელყოფის ხარჯზე აღაზევა და გააფეტიშა პროლეტარული მწერლობა. საბჭოთა ქართველ მწერლებს პარტიული კრიტიკულებით აფასებდა.

დეკადენტიზმი, კერძოდ, მოდერნიზმი იმპერიალიზმის პირმშოა. „ცისფერყანისათვის“ უპირობოდ მიაჩნდათ საქართველოს გადარჩენის გზად ევროპეიზმი, მაგრამ ტოტალიტარულმა მანქანამ ისინიც ქვეშ მოყოლა. ყანწელებმა მალევე აუდეს ალღო ახალ ვითარებას. ვ გაფრინდაშვილი 1937 წელს თავისი ლექსების წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „ახლანდელი ჩემი გზა არის სოციალისტური რეალიზმის გზა. მე მეკუთვნის ლოზუნგი „დაბრუნება მიწასთან“, რომლითაც მე მოვუწოდებდი ჩემს ლიტერატურულ თანამოღვანეებს... მე ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისგან“ (1,28). თუმცა, ცხადია, ეს „გათავისუფლება“ საინტერესო და გრძელი პროცესი აღმოჩნდა ყველა „ცისფერყანისათვის“.

რამდენადაც უმძიმესი იყო ე.წ. რეპრესიების წლები (1936-1938), მით უფრო საგულისხმო და ანგარიშგასაწევია იმ პერიოდი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები, როგორც „ნივთმტკიცება“ ვითარების, მწერლებისა და კრიტიკოსების შესაფასებლად.

წერილი „საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს“, იწყება მიმართვით:

„ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ამხ. სტალინ!

საბჭოთა საქართველოს 15 წლის თავის საყვარელთაო, სახალხო დღესასწაულის დღეს ჩვენი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სასიხარულო, გულწრფელი გრძნობები მოპყრობილია შენსკენ. დიდო ბელადო, ბრძენო მასწავლებელო, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობარო“ და ა.შ. წერილის ავტორის განწყობა აშკარად პათეტიკური, რაც, შესაძლოა, არ გამორიცხავდეს ირონიას, ძალდატანებას, თვითგადარჩენის ინსტინქტს. აქ ხაზგასასმელია თარიღი - 1936 წელი, რადგან მძიმე რეპრესიები კარსაა მომდგარი, ამიტომაც წააგავს სიცოცხლის, გადარჩენის წყურვილით ნაკარნახევ შინაგან მდგომარეობას.“

„ძალა პროლეტარიატის, არ მოკვდება, არც მომკვდარა,
ისევ ბრძოლა, მაინც ბრძოლა, ყოველ წუთში, ყოველგვარად...
ხალხი გნამდა, ხალხმაც გიცნო, ბელადათ და წინამდლვარად.“

აქვე ვკითხულობთ:

„თვითმპყრობელი იმპერია მოკვდა, ველარ გაიბრძოლოს, ამოვარდეს მისი ხსოვნა, უფსკრულებმი ჩაიქოლოს, და ჯილაგიც მენშევიზმის მისმა კუბომ ჩაიყოლოს“.

ავტორთა ჯგუფი, რომელიც აქვეყნებს გალექსილ წერილს, ამგვარად განმარტავს თავის ახლო წარსულის განწყობას:

„...საქართველოს დაეუფლა მენშევიკი, ჩვენმა ოდნავ შეყოვნებამ და განაცოცხლა თითქოს იგი, თავადი და აზნაური, ვაჭარი და ღვდელთა ხროვა, საქართველოს კარ-მიდამო, გადახრა და გადასძოვა... ვინ წაშალოს შავი ლაქა, ვინ შეაშროს სისხლი ხელებს...“

ავტორები აღიარებენ საქართველოს წინსვლას, ბეჭნიერ მომავალს წინასწარმეტყველებენ, აღიარებენ, რომ „თხუთმეტ წელში საქართველო საარაკოდ სახეს იცვლის, ჭეშმარიტად ახლა მოხდა აყვავება ჩვენი მიწის.“ გაზეთის ფურცელზე ვკითხულობთ, რომ „ახალ სიტყვას“ ბევრი ახალ-გაზრდა მწერალი და პოეტი სქედავს, მხატვრული სიტყვით ემსახურება ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს და იქვე ჩამოთვლილია მათი გვარები: გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ე. გაბაშვილი, ან. ხოშტარია, დ. მეგრელი, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, პ. იაშვილი, ნ. იწიშვილი, კ. გამსახურდია, ა. აბაშელი, ს. ეული, ი. გრიშაშვილი და სხვები.

წერილის მომდევნო აბზაცი კი აქვეყნებს ახალგაზრდა საბჭოთა პოეტების სიას: ს. ჩიქოვანი, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, ა. ქუთათელი, ა. მაშაშვილი, პ. ჩხიკვაძე, დ. შენგელაია, ი. მოსაშვილი, „რომლებიც თავის ნაწარმოებებში ოსტატურად ასახავენ ჩვენი დროის ჰეროიკას“.

გაისმის წყევლაც:

„შენი საქმის მოღალატე სამშობლოდან გაირიყოს, შენ იცოცხლე, შენი მტრები საფლავებმა დაირიგოს. ოქტომბერმა გაგვამთელა, აუხილა ერებს თვალი, უშიშარმა რუსმა ხალხმა, გამარჯვებას მისცა კვალი.“

...და ხოტბაც:

„გაუმარჯოს დიდ სამშობლოს შეურყეველ სადარაჯოს, საბჭოთის დიდ მთავრობას და მოლოტოვს გაუმარჯოს!.. ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგე...“

მიძღვნაში დახატულია სტალინის სახე-ტიპი, მას უმაღლეს შეფასებას აძლევენ ქართველი პოეტები.

„გაუმარჯოს ნებით მტკიცეს, გულით დიადს, საქმით მართალს, ჩვენს დიდ სტალინს გაუმარჯოს, ქვეყნის ბელადს, ხალხთა სარდალს“.

საქართველოს მშრომელთა ღია წერილი ლექსად გამოთქვეს ქართველმა პოეტებმა: პაოლო იაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ნიკოლოზ მიწიშვილმა. რუსული თარგმანი კი ეკუთვნის ვალერიან გაფრინდაშვილს, ალექსანდრე ყანჩელს, გიორგი ცაგარელს. (3, 3)

15 წლის იუბილესთან დაკავშირებით გ. ტაბიძე აქვეყნებს ლექსს „დიდი, სახალხო“, სადაც ის ეტრფის სტალინის დროშის ფერს, ფერს „სახალხო დღესასწაულის“.

ბ. უდენტი წერილში შეფასებას აძლევს მიხეილ ჯავახიშვილს: „პროლეტარულ რევოლუციამდე პროფესიონალ მწერლად მას არავინ თვლიდა... თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფიგურა... საბჭოთა ატმოსფერომ შექმნა. „ჯაყოს ხიზნები“, „მართალი აბდულაპ“, „ლამბა-

ლო და ყაშა“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და „არსენა მარაბდელი“. ამ ნაწარმოებთა მეტი ნაწილი „განთიადში“ დაბეჭდა ავტორმა, ამ კონკრეტული ფაქტით კი ერთი რამის თქმა შეგვიძლია, რომ მიხ. ჯავახიშვილს საბჭოთა მწერლად მიიჩნევდა არსებული დროება.

ნიკო ლორთქიფანიძე ბესო ულენტის განმარტებით, საბჭოთა მწერალია, სწორედ ამ დროს შექმნა მან ისტორიულ-რევოლუციური წარსული მასალებზე „ლიანდაგიდან ბილიკებამდე“ და ახლა ხელი მიჰყო სოციალისტურ სინამდვილეში აღზრდილი ახალი ადამიანების მხატვრული სახეების შექმნას.

შალვა დადიანმა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში ჰპოვა შემოქმედებითი შესაძლებლობათა ნამდვილი გასაქანი“. ასახელებს მის რომანს „ურდუმი“ და შეფასებას აძლევს, როგორც თანამედროვეობის თვალთახედვის გამომხატველს.

სანდრო შანდიაშვილმა რადიკალურად იცვალა შემოქმედებითი კურსი. თავი დაალწია დეკადენტურ მწერლობას, ნაციონალიზმისა და მისტიციზმის გამოხატვას თავი დაანება და ახლა, უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე, მისი შემოქმედება, კერძოდ, „ანზორ“, „არსენა“, „ჰერეთის გმირები“ რევულუციური იდეებითაა გაჯერებული.

ლეო ქიაჩელი ისტროიული-რევოლუციური განწყობის თემაზე ქმნის „ჰაკი აძბას“, რომელიც მთლიანად ეფუძნება სოციალისტურ აღმშენებლობის იდეას.

კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც „გამოირჩეოდა აშკარად გამოხატული პროლეტარიატისათვის უცხო და მიუღებელი იდეური პოზიციით, უკანასკნელ პერიოდში წერს რომანს „მთვარის მოტაცებას“, რომელშიც ავტორი ხატავს „ზედმეტ ადამიანთა“ განწირულებას, გვიჩვენებს სოფლად არსებულ კლასობრივი ბრძოლის სიმძაფრეს.“

წერილის ავტორი იუწყება, რომ ძველი გზა მიატოვეს და საბჭოთა ლიტერატურის შექმნას მიჰყვეს ხელი ალ. აბაშელმა, ი. გრიშაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, პ. კაკაბაძემ, დ. სულიაშვილმა, ლ. მეტრეველმა. ავტორი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს გიორგი ქუჩიშვილის მისამართით, რომელიც სრულად უკავშირებს საკუთარ შემოქმედებას პროლეტარიატის იდეებს.

გალაკტიონ ტაბიძე „საბჭოთა საქართველოს პირობებში ამეტყველდა სრულიად ახალ შემოქმედებითი სიცოცხლით და გადაიქცა რევოლუციური სინამდვილის ნამდვილ შთაგონებულ მომღერლად და ამსახველად“.

პაოლო იაშვილი სინამდვილის და რევოლუციური განცდით წერს უამრავ ლექსს, პოემას „გაფრენა“. ნაწარმოები ასახავს სოციალისტურ სინამდვილეს.

ნიკოლოზ მინიშვილმა დაძლია მერყეობა და ლექსების ციკლით „სამშობლოს გული“ საბჭოთა პოეტის სახელი დაიმსახურა.

ტიციან ტაბიძემ, რომელიც დეკადენტურ-მისტიკური, ნაციონალისტური განწყობის ლექსებით გაიცნო მკითხველმა, უკანასკნელ წლებში შექმნა სოციალისტური სინამდვილის ამსახველი ლექსების ციკლი: „რიონ პორტი“, „ახალი სომხეთი“, „ორდენოსანი სამშობლოსათვის“ და სხვ.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსებში კვლავაც შეინიშნება სიმბოლისტური პოეზიის რეფლექსები, მაგრამ მის ლექსებში სიმბოლისტური სკოლის კვალი მხოლოდ მხატვრულ ხერხებში ვლინდება. ის ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ყალიბდება ახალ პოეტად.

გიორგი ლეონიძესთანაც რჩება ესთეტიზმით გატაცების საფრთხე, „მაგრამ სამაგიეროდ უკანასკნელ ხანებში მან შექმნა რევოლუციური პათოსით და ჯანსაღი გრძნობებით ამღერებული ლექსების ციკლიც.“

სერგო კლდიაშვილი საბჭოთა ბელეტრისტიკაში თვალსაჩინო მწერალია. მისი „ფერფლი“ საუკეთესო ნაწარმოებად შეაფასა არსებულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ.

რაედენ გვეტაძემ „საბჭოთა საქართველოს არსებობის პერიოდს“ საუკეთესოდ უმღერა თავისი ლექსებით. მას თავისი შემოქმედებით სოციალური ძვრები შეაქვს ადამიანთა ცხოვრებაში. („მერკვილაძის დები“)

საბჭოთა ლიტერატურა გამოკვეთს **კოლაუ ნადირაძეს, შალვა აფხაიძეს.** აღნიშნავს, რომ ისინიც თანდათან უერთდებიან საბჭოთა მწერლობის რიგებს. **დემნა შენგელაიამ** რომანით „სანა-

ვარდო“ დიდი სიტყვა თქვა მწერლობაში, თუმცა რომანით „ბათა ქექია“ ყურადღება დაიმსახურა თანამედროვე საზოგადოებისან.

ალ. ქუთათელის მოთხოვა „პირისპირ“, ლექსი „ბელადის დედისადმი“ ნამდვილად იგებს საბჭოთა კრიტიკოსების გულს.

ილო მოსაშვილის, მიუხედავად იმისა რომ „არიფიონელია“, უკანასკნელ ხანს წერს რევოლუციური ხასიათის ლექსებს, პოემას „კოფა ჩოხელი“ და ა.შ.

ალიო მაშაშვილის შემოქმედება კმაყოფილებით განაწყობს პროლეტარ მკითხველს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე წერილში მოხსენიებულია, როგორც ქართული საბჭოთა ბელეტრისტიკის „მძლავრი შემოქმედებითი ფიგურა“. მისი „ძირის სიმინდის რესპუბლიკა“ აღნიერს საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ ნაბიჯებს.

ირაკლი აბაშიძე ბესო უდენტმა წერილში მოიხსენია „საბჭოთა პოეზიის მამოძრავებელ მონინავე კადრად“.

წერილი „დამაიმედებელი“ პერსპექტივით მთავრდება: „საქართველოს საბჭოთა მწერლობა მჭიდროდ დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ კიდევ მეტი შემოქმედებითი ენერგიით გაშლის ბრძოლას და მუშაობას ლიტერატურიდან კლასობრივად უცხო გავლენების უკანასკნელი ნაშთების აღმოსაფხვრელად, გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქის შესაფერი ლიტერატურის შესაქმნელად“ (4, 3.).

ბესო უდენტის წერილი ფოტოგრაფიული ხასიათისაა და იძლევა ეპოქის კონიუნქტურით აღქმულ სურათს. არ იქნება საფუძველს მოკლებული ეჭვი, რომ საბჭოთა კრიტიკა ხედავდა იმას, რისი დანახვაც სურდა, რაც მას აწყობდა.

ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ **მიხეილ ჯავახიშვილის** ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს „ხუთმეტი ათჯერ უნდა გამრავლდეს“. ავტორი განმარტავს რა უკანასკნელ 15 წელიწადში საქართველოს წინსვლის მახასიათებლებს, მრეწველობის გაჩენას, კერძო საკუთრების მოსპობას, კოლექტივიზაციის გაჩაღებას, ის მიაწერს „სტალინელობის“ დაიდ შედეგებს, ემადლიერება საბჭოთა კავშირს, რომ მნიშვნელოვნად წინ წიგნების ბეჭდვის საქმე, რომ „15 წლის წინ კალამი არცერთ მწერალს არ აცხოვრებდა, ახლა კი ეს პროფესია მრავალ მწერალს აცხოვრებს... მწერლობაში უდიდესი ცვლილება მოხდა. გაქრა შხამიანი დეკადანსი, პირქუში მისტიკა, კულტი ზეკაცური ინდივიდუალიზმისა. გაჩენდა ახალი თემა... ამ ხანაში ქართულმა მწერლობამ განუზომელი გზა განვლო, რომელსაც სავსებით და ახლანდელზე უფრო მომავალი შეაფასებს... მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, გენიალური სტალინი და ლავრენტი ბერია მოითხოვენ, რომ ნაბიჯს ვუმატოთ, ჩვენს ბრწყინვალე მომავალს სიხარულით და პირნათლად დავუხვდეთ“. მწერლის განმარტებით მსოფლიო ფაშიზმის შემუსვრისთვის მხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთი მორალური იარაღთაგანია (5, 3.).

ალექსანდრე აბაშელი (ჩოჩია) თითქოს ნანობს ქართველი ხალხის იმ რეაქციას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის ქუხილს მოჰყვა. ქართველები „ამ მოვლენას პირჯვრის წერით შეეგებნენ: ღმერთო ააცილე ჩვენს ქვეყანას ეს განსაცდელიო“ მათი გაგებით, (ცხადია, ჯანსაღად აზროვნებდა!) პროლეტარიატს ეკისრა ბურუჟუაზიული ბელადის მეჯინიბის „დამამცირებელი“ როლი. აბაშელი ასე წარმოაჩენს ამ როლს: „მას (პროლეტარიატს) უნდა გამოეყვანა ცეცხლმოდებულ თავლიდან ძალაუფლების რაში და ზედ ლიბერალების „ბელადი“ დაესვა. თვითონ პროლეტარიატი ხელცარიელი რჩებოდა, უკეთ რომ ვთქვათ, მას ხელში უტოვებდნენ მათრახს: თუ „ბელადის“ ცხენი ოჩნობას დაიწყებდა, პროლეტარიატს მათრახი უნდა შემოეკრა მისთვის და ამგვარად „წინ წაეწია“ ის... ახლა მე რომ ვკითხულობ სტალინის ნამდვილ წერილებს, სადაც გასაგები ენითაა მოცემული რევოლუციის ანალიზი, მიკვირს, რატომ ვერ ვხედავდით ჩვენ იმ დროს რევოლუციის ამ ფართო გზას. სამწუხაროდ, ჩვენთვის ეს გზა მხოლოდ მაშინ გამოჩენდა, როცა „დემოკრატიული ურემი“ გადაბრუნდა... პროლეტარიატის დიქტატურამ გამოიჩინა განსაცვიფრებელი სიმძლავრე და მის ფოლადის მკერდს შეეღება კონტრრევოლუციის ცოფიანი ტალღები“ (6.3).

ცხადია, ავტორის განწყობაში შეიმჩნევა ფანატიზმის ელემენტები, თუმცა აღ. აპაშელის შემოქმედებითი ინტერესები გვიბიძგებს დასკვნისკენ, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ მისი გულწრფელობა.

„ლიტერატურული საქართველოს“ მარტის ნომერში დაბეჭდილია ლავრენტი ბერიას მიმართვა, გაფრთხილება მწერლების მისამართით (ტ. ტაბიძის, ლ. ქაჩელის, დ. შენგელაიას, პ. ჩხიკვაძის), რომ ნუ მოერიდებიან თვითკრიტიკას, ღიად ისაუბრონ როგორც სხვის, ასევე საკუთარ ნაკლოვანებებზე: „მოვუნიდებთ ყოველ საბჭოთა მწერალს, ვინც კი გულწრფელად დაინტერესებულია ჩვენი სოციალისტური დღევანდელობითა და მომავლით“ (7, 1936).

ბერიას პასუხად შეიძლება მივიჩნიოთ ტიციანის ნერილი „ეს ამბავი ყველას გვეხება“, რომელშიც ვკითხულობთ: „დარწმუნებული ვარ, ყველა პატიოსანი საბჭოთა მწერალი გულწრფელად აღიარებს თავის დანაშაულს, შეცდომას და ცოდვასაც, რათა აღმზრდელობითი კრიტიკითა და ხელმძღვანელის ამხანაგური დახმარებით მისცენ საშუალება მწერლებს, რომ მათ გარდაქმნან თავიანთი შემოქმედება“, როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური რეალობა (8, 4).

„ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, ვწეროთ მასებისათვის“ – ამ სათაურით დაიბეჭდა პატარა წერილი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, მასში გარკვევით ხაზგასმულია მოთხოვნა, რომელიც ეპოქის მწერალთა წინაშე იდგა. მთავარი მოთხოვნა იყო ხალხურობა და სისადავე დაეცვათ მწერლებს, რადგან „ფორმალიზმი, რომელიც წარმოიშვა ბურჟუაზიული დეკადანსის წიაღში, ხალხს სთიშავს სინამდვილისგან“. ამ ტრადიციებს საფუძვლიანად ჯერაც ვერ გაემიჯნენ სიმბოლისტი პოეტები – ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი. გაზეთში ატებილი ეს განგაში აჩენს კითხვებს, თუ რა განწყობის მატარებელი არიან აქ ჩამოთვლილი პოეტები, იმ ნარატივის გათვალისწინებით, რაც აღნიშნულ დისკუსიას წინ უძლოდა (9,2).

ეს მაშინ, როცა „რესპუბლიკის სახალხო პოეტები გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და ალიო მაშაშვილი დაჯილოებული არიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოებით (10, 11). ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „მისალმება“ დაიბეჭდა 1936 წლის „ლიტერატურულ საქართველოს“ ივნისის ნომერში. ლექსში პოეტი „მაღალ ვარსკვლავად“ სახავს „დიდ“ საბჭოთა კავშირს, გამოთქვამს სურვილს, რომ „კომუნიზმის დროშამ დაფაროს, ყოველი სახლი, ყოველი ქუჩა“. ეთაყვანება „კომუნისტურ მანიფესტს“, თუ ისევ ირონია უნდა ვეძიოთ მის ლექსში, კვლევა გვიჩვენებს. იმავე ლოგიკას უნდა დავუქვემდებაროთ ივლისის ქრონიკაში გამოქვეყნებული წერილის ავტორის, კონსტანტინე გამსახურდიას მრნამსის გულწრფელობა: „შრომითა და ბრძოლით გავაძლიეროთ საბჭოთა საქართველო, რომელსაც წინ მიუძღვის ჩვენი ძვირფასი, დიდი სტალინის გენია და მისი უწარჩინებულესი მოწაფის, ქართული კულტურის დიდი მეგობრის, ლავრენტი ბერიას ვაჟკაცური მარჯვენა“ (11, 2), ხოლო აღ. აპაშელი წერილში „საამაყო საბჭოთა მოქალაქეობა“ წერს: „ჭეშმარიტად საამაყოა საბჭოთა მოქალაქეობა, ვინაიდან ჩვენ განვახორციელეთ მშრომელთა ნამდვილი თავისუფლება და შევქმნით კონსტიტუცია“ (12,2). „ლიტერატურულ საქართველოს“ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული „სამი სიმღერა სტალინზე“ ეკუთვნის პაოლო იაშვილს, გიორგი ლეონიძესა და სიმონ ჩიქოვანს. პაოლოს სახოტბო ხასიათის ლექსში ვკითხულობთ: „ქვეყანამ დილის განთიადს, დაარქვა შენი სახელი“ (პ.ი); „შენი სახელი ქვეყანამ იცის, არცერთ საზღვარს არ შეუზღუდია...“ (გ,ლ); „უბრძნესი და უთბილესი ჩვენ ცხოვრება გვითავაზე“ (ს.ჩ).

ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულია შალვა აფხაძის ლექსი „როგორც სიმღერა, ამოსული ლერწმის ლეროდან“, სადაც პოეტი რუსთველის კალმის ღირსად სახავს სტალინს:

„გვათბობს სინათლე, სიბრძნე შენი დ გულთამპყრობელის,
...სტალინ დ რუსთველის კალმით შესამკობელი“.

დეკემბერში შალვა აფხაძე ასევე აქვეყნებს სტალინისადმი სახოტბო ლექსს, ლექსში აღნერილია გრძნობა, რომელიც ერთად განუცდიათ სანდრო სანშიაშვილსა და შალვას:

„ჩვენ მეგობრები ბრწყინვალე ხვედრით
ასეთ დიდებას მწამს კიდევ ვნახავთ“.

დავაკვირდეთ მწერალთა დამოკიდებულებას 1937 წლის „ლიტერატურულ საქართველოში“.

იანვრის ნომერში პირველივე გვერდზე განთავსებულია ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის პოემიდან „ბელადის ბავშვობა“. ტიციანის „გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“, მადლიერებას გამოხატავს „მეორე ახალგაზრდობა“ რომ განაცდევინა ახალმა დრომ, საბჭოთა ბელადმა.

მაისის თვის ნომერში იონა ვაკელი, პროლეტარი პოეტი აქვეყნებს ლექსს „სიმღერა სტალინზე“:

„შენ დიდი დღე ხარ, დიდი მზე ხარ ქვეყნიერების,
დიდო მშობელო სიკეთის და ბედნიერების“.

გაზეთის 28 მაისის ნომერში სანდრო ეული სიამაყით აცხადებს, რომ არის სტალინური ეპოქის მწერალი. ამ განცდამ თვითმაყოფილებასა და უდარდელობაში არ უნდა ჩაგვაგდოს..ჩვენ მეტი ყურადღებით შევისწავლით პარტიის დადგენილებებს და ბელადის მითითებებს, ჩვენ თავიდან ავიცდენთ მარცხს, როგორიც იყო მავნებელთა მუშაობა ჩვენ კავშირში“ (13, 2). „ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ის, რაც ამხ. ლავრენტი ბერიამ გვითხრა: „საბჭოთა მწერალი უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინის, სტალინის პარტიის ერთ-გული ადამიანი... იგი უნდა გულწრფელი და მართლის მთქმელი იყოს ხალხის წინაშე“.

ლიტერატურული საქართველოს 5 ნოემბრის ნომერში ვალერიან გაფრინდაშვილი ჯერაც უმღერის „დიდ ოქტომბერს“: ლექსი მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისადმი. მასში ბელადი ხოტბაშესხმულია:

„ჩვენ უდიდესი სიყვარულით ვადიდებთ ბელადს,
ამხანაგ სტალინს, ვინც ოქტომბრის სახეა სრული.“

გაზეთის ამავე გვერდზე გიორგი ლეონიძის ქება-დიდებას ვკითხულობთ ლექსში „სტალინს“:

„შენ გაგვიხსენი წინ შეერული გზა,
ბორკილი გასჭერ გათანგულისა“.
(14, 2)

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ ეპოქაში, კონკრეტულად 1935-1937 წლებში, პათოსით „ყანწელი“ პოეტები არ ჩამოუვარდებიან ჭეშმარიტად პროლეტარი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებით პათოსს. ცხადია, მკითხველი, რომელიც აშკარად მოაკლდა ნამდვილ შემოქმედებას, ჭეშმარიტ ხელოვნებას, დარჩა საბჭოური სახოტბო შემოქმედების ამარა, დაიჯერებდა, ირწმუნებდა, რომ ბელადი „მზედ იდგა“ საქართველოსი.

საინტერესოა კ.გამსახურდიას მიერ დაანონსებული ინფორმაცია: „პირადად მე ვწერ და 1938 წელს გამოვაქვეყნებ ბიოგრაფიულ რომანს „სტალინი“.

10 დეკემბერს, სავარაუდოთ, დახვრიტეს ტიციან ტაბიძე, პალომ უკვე მოიკლა თავი, „ლიტერატურული საქართველო“ კი არ იუწყება არანაირ ცნობას. ეს არის დრო, როცა არჩევნები უნდა გაიმართოს 1937 წლის 12 დეკემბერს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა. პროლეტარული მწერლობის მეხოტბე ირ. ა ბაშიძე აქვეყნებს ლექსს: „ხმას ვაძლევ“: „ეს ხმა – კაცობის პირველ გაზაფხულს, მე მისახსოვრა დიდმა ბელადმა“ (15,12).

ამგვარად, ლიტერატურული მოვლენები და ფაქტები წარმოადგენს სარკეს, რომელმაც მკვლევარებს გზიდან აცდენის საფრთხე უნდა ააცილოს. ამ საფრთხისგან გადარჩენის კიდევ ერთ

შუქურას წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები, კერძოდ, მნერალთა კავშირის სხდომათა ოქმები, სადაც აშკარად იკვეთება მნერლების ორმაგი სახე, საეჭვიო და შესწავლის ღირსი ფენომენი. რომ „აკლდათ სიფხიზლე“ ერთი საკითხია, „პადხალიმური დამოკიდებულება“ – მეორე, „ჯაშუშური ურთიერთობა“ – მესამე. ეს ყველა გამონათქვამი მიემართება ტი-ციანს, პაოლოს, მიწიშვილს, მათ კრიტიკა „პოლიტიკურ მლიქვნელებს“ უწოდებს.

ერთი შეხედვით მარტივია, მათ შარავანდედს რომ არ მიადგეს ჩრდილი, ეპოქის სიმძიმეს ავკიდოთ მთელი ეს ბრალდებათა სერია, თუმცა ფრთხილად, ისე, რომ არც მათი დიდება დადგეს ეჭვეჭვეშ, სათქმელი უნდა ვთქვათ, რომ ნებით თუ ძალით ეს ადამიანები საბჭოთს ემსახურებოდნენ, ალბათ ძირგამომთხრელ კავშირებსა და საქმეებსაც ენეოდნენ, მაგრამ ამის დამამტკიცებლი დოკუმენტი, გარდა ბრალდებისა, გაცილებით ნაკლები მოიპოვება, ვიდრე მათი ე.წ. მტკიცებით-აღიარებითი გამოსვლები. ისინი საბჭოთს უმდერიან, ეთაყვანებიან და პირობასაც უდებენ, რომ შეცდომებს დააღწევენ თავს [ფონდი 8; აღწ. 2; 29; ფურც. 61; 1937]. ამ პირობის დადებიდან ერთი თველა აშორებს პაოლოს 22 ივლისს, ტიციანს, ჯავახიშვილსა და მიწიშვილს 3-4 თვე.

სამწუხაროა, რომ რეაბილიტაციის დროს და ვერც შემდგომ ვერსად იქნა მიყვლეული მათი, როგორც კონტრრევოლუციონერობის, ჯაშუშობისა და „მტრობის“ დამადასტურებელი მტკიცებულებანი. გვრჩება მხოლოდ მათი თავის მმართლებელი გამოსვლები და ჩანაწერები, მოარული ჭორები და შემოქმედება, რომელიც სავსეა საბჭოთა პროპაგა

ლიტერატურა:

1. ჭილაძა ს.; „ოცნლეული“; თბ. 1986.
2. ლიტერატურული საქართველო; (საქართველოს საბჭოთა მნერლობის ათდღიური ორგანო); 3; თებერვალი. 1936.
3. ლიტერატურული საქართველო; 3; თებერვალი., 1936.
4. ჯავახიშვილი მ.; „ლიტერატურული საქართველო“; „ხუთმეტი ათჯერ უნდა გამრავლდეს“; 3; თებერვალი, 1936.
5. აბაშელი ალ.; „სოციალისტური შემოქმედების ფერხულში“; „ლიტერატურული საქართველო“; 3; თებერვალი, 1936.
6. ბერია ლ.; „თვითკრიტიკის მახვილით“; „ლიტერატურული საქართველო“; მარტის 28, 1936.
7. ტაბიძე ტ.; „ეს ამბავი ყველას გვეხება“; „ლიტერატურული საქართველო“; მარტის 28, 1936.
8. „ლიტერატურული საქართველო“; აპრილის 20, 1936.
9. „ორდენსან მნერლებს“; „ლიტერატურული საქართველო“; მარტის 20, 1936.
10. გამსახურდია კ.; „ხორცსხმული მისწრაფებანი“; „ლიტ. საქართველო“; ივლისი, 1936.
11. აბაშელი ალ; „საამაყო საბჭოთა მოქალაქეობა“; „ლიტერატურული საქართველო“; ივლისი, 1936.
12. ეული ს.; „გავაძლიეროთ პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობა მნერლებში“;
13. „ლიტერატურული საქართველო“; 28 მაისი, 1937.
14. „ლიტერატურული საქართველო“; 5 ნოემბერი, 1937.
15. „ლიტერატურული საქართველო“; 10 დეკემბერი, 1937.

მარი ტოტიკაშვილი, ნანული ეცადაშვილი, ციური მეზვრიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი,
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოგოლაძე

მუსიკაში აზრის გული ქართველი პოეტები

მუსიკა არის ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, რომელსაც ემოციური ზემოქმედების ძალით ბა-დალი არ ჰყავს ხელოვნების სხვა დარგებს შორის. ცხადია, ე.წ მუსიკას არ ძალუდს კონკრეტული მასალის შემცველი ინორმაციის მიწოდება მსმენელისათვის, ამის გამო, კომპოზიტორები ხშირად მიმართავენ მუსიკის სინთეზს ხელოვნების სხვა დარგებთან. მას შეუძლია იარსებოს: პოეტურ, პრო-ზაულ ტექსტსა და სცენურ მოქმედებასთან ერთად. მუსიკის შერწყმა პოეტურ ტექსტთან ქმნის ვო-კალურ ხელოვნებას. ამიტომაც, პოეზიის გავლენა მუსიკაზე საკმაოდ დიდია. ქართველ პოეტთა შე-მოქმდებაში საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა მუსიკას. ჩვენში საერო მუსიკის აღმოცენებაში დიდი რო-ლი მიუძღვით გამოჩენილ პოეტებსა და მომღერლებს – ბესიერა და საიათონოვას. განსაკუთრებით დიდი იყო მუსიკის გავლენა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ „ცისფერ-ყანწელთა“ შემოქმედებში შერევა მოხდა ხელოვნების სხვადასხვა დარგისა (პოეზია, მუსიკა, ფერ-წერა). ასევე ჩვენი ყურადღება წინამდებარე ნაშრომში შეჩერდება ი. გრიშაშვილისა და ი.ნონეშვი-ლის კავშირზეც მუსიკასთან. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხებზე ვერ მივაკვლიერ სათანადო ხე-ლოვნებათმცოდნეობით თუ ლიტერატურათმცოდნეობით გამოკვლევებს, ამიტომ წარმოგიდგენთ ჩვენეულ გააზრებას პრობლემისა მუსიკაში აუღერებული ქართველი პოეტები.

როგორც მუსიკათმცოდნე პავლე ხუჭუა აღნიშნავს: „პირველი ეროვნული მუსიკალური ნა-წარმოებები წარმოადგენენ სიმღერა-რომანსებს და საგუნდო პიესებს. ეს ბუნებრივია, ვინაიდან მშობლიური ენა, ორგანულად დაკავშირებული გასაგებ, ადვილმისაწვდომ მელოდიასთან, იოლად გაიკაფავდა გზას ქართველთა გულისა და გონიერისაკენ. მართლაც, 80-იანი წლებიდან მოყვლებული 1917 წლამდე, პირველ ყოვლისა, შეიქმნა ქართული სიმღერა-რომანსისა და საგუნდო ნაწარმოებთა ადრინდელი ნიმუშები“ (ხუჭუა 1961: 16-17).

ერთ-ერთი „ცისფერყანწელი“ სანდრო ცირეკიძე თვლიდა, რომ წინადადებაში სიტყვების თა-ვისებური დალაგებით შეიძლება შექმნილიყო სათუთი, გრძელი რიტმი. სანდრო ცირეკიძის შემოქ-მედებაში მუსიკასთან ერთად, ფერებიცაა. ეს არის დანისლული, ძირითადად ლრუბლიანი დღის ფე-რები. იგი ერთმანეთისაგან გამოარჩევდა ხმოვნებისაგან შექმნილ რიტმს. ამ უკანასკნელს კი რთულად და ბევრისათვის ხელმიუნვდომად მიიჩნევდა. ერთი ინტენსივობისა და მსგავსი ტონალობის ბევრები ხვდებიან ერთმანეთის მეზობლობის აღმართ-დაღმართებში და სუ-ლის მდგომარეობას გადმოსცემენ მუსიკის ლაიტმონტივით. სანდრო ცირეკიძე უდიდეს მნიშვნელო-ბას ანიჭებდა სიტყვის მუსიკალურობასა და ფერწერულობას, როგორც სხვა „ცისფერყანწელები“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ცისფერყანწელები“ ხშირად მიმართვდნენ საკუთარ პოეტურ ქმნილებებში მუსიკას, ემოციებისა და გრძნობების გადმოსაცემად. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ემოციები იყო დადებითი და მკითხველს დადებითი მუხტით აღავსებდა, ხშირად კი ავტორის პირად გულისტკივილსა და სევდას გადმოსცემდა. განსაკუთრებით ხშირად ახსენებს მუსიკას საკუთარ შემოქმედებაში პაოლო იაშვილი („მაგიდად ჩემი პარნასი“, „საკუთარ თავს“, „უკრაინელი ქალის სიმღერა“, „მიმართვა კოლხიდას“, „წერილი დედას“ და სხვანი) და ტიციან ტაბიძე („ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე“, „გელის კოლხიდა ახალ ორფეოს“, „ბალდათის ზეცა“, „ორი არაგვი“, „ახდა ოცნება პოეტებისა“, „ლექსი წელკავი“ და სხვა).

ყოველი მხატვრული სახე ერთგვარი კოდია. ამგვარ დაშიფრულ პოეზიას ქმნიდნენ „ცისფერ-ყანწელები“, რომელთა შემოქმედების შესწავლაც კარგად წარმოაჩენს მათ შინაგად სამყაროს. მათ შემოქმედებაში, ესთეტიკური მრნამსის შესაბამისად, (აზრის, მუსიკის, ფერის, სურნელის ერთიანობაში წარმოდგენა) ერთმანეთს გადაეწნა და დაშიფრულ მხატვრულ სახედ წარმოჩნდა მხატვრობა და მუსიკა. მათ კარგად ესმოდათ, რომ მუსიკაში ხდება ყველაზე მეტი მიახლოება სულის სილრ-მეებთან და რომ მუსიკა იდეალურად გამოხატავს სიმბოლოებს.

„ცისფერყანწელებთან“ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ი. გრიშაშვილს, რაც განსაკუთრებით აისახა მისი ლექსების მუსიკალურ ენაზე აუდერებაში. იოსებ გრიშაშვილი XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული 50-იან წლებამდე საქართველოში საოცრად პოპულარული პოეტი იყო. თავად მისი ლექსის წაკითხვის მანერაც, როგორც იგი შემოგვინახა ჩანაწერებმა, საოცრად მუსიკალური და რიტმული იყო. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე იოსებ გრიშაშვილის შემოქმედება დიდი ინტერესის საგანი გახდა. მისი პოეზია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითაა გამსჭვალული. რევოლუციის დამარცხებით შეძრნუნებული სიცოცხლის, სილამაზისა და სიყვარულის ქურუმად იქცა. ამ პერიოდის (1909-1917წწ.) იოსებ გრიშაშვილის ლექსებში არ წყდება ბგერა იმ მაჟორული აკორდისა, რომელიც გაისმა პოეტის პირველივე ლექსებში და რომლებმაც აკაკი წერეთლის ყურადღებაც მიიპყრო. გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკაში ისე მჭიდროდაა გადაჯაჭვული სიყვარულისა და სილამაზის თემა, რომ ძნელი იმის თქმა სილამაზის სიყვარულს უღერის პოეტი, თუ სიყვარულის სილამაზეს.

განსაკუთრებით ხაზგასმულია გრიშაშვილის პოეზიაში მუსიკალობის საკითხი. პოეტი აზრს გამოთქვამს არა მარტო სიტყვით, არამედ ლექსის მუსიკითაც. გრიშაშვილის ბევრი ლექსი მუსიკა-ლურად ბევრად უფრო ნატიფია და მელოდიური. მუსიკალური მელოდიურობის მისაღწევად იგი გამორჩეულად ზრუნავს რითმების კეთილხმოვანებასა და რიტმული ინტონაციების აუდერებაზე. შემთხვევითი არაა ის, რომ დიდი ნაწილი ავტორის ლექსებისა სასიმღერო რიტმიკას ეფუძნება. „გრიშაშვილის ლირიკის ვერსიფიკაცია ხშირად ისეთ სალექსო საზომებს ეყრდნობა, რომელთა სტრუქტურაში მუსიკალური მელოდიის ხვედრითი წილი წამყვან ადგილს იჭერს“ (ნიკოლეიშვილი 1: 334).

ი. გრიშაშვილს ჰქონია ხელნაწერი, რომელიც ინახება მის მუზეუმში სახელწოდებით „მე-მუ-სიკაში“.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობს მკვლევარი თამარ ცინცაძე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მის ლექსებზე შექმნილ რომანსებზე.

აღიარებულია, რომ გრიშაშვილის შემოქმედებაში განსაზღვრული ადგილი უჭირავს ინტიმურ-სატრფიალო თემატიკას. პირველი ლექსი, რომელიც ამ მოტივის მხატვრული გააზრების თვალსაზრისით გამოირჩევა, არის „გარეუბნელი ბიჭის სიმღერებიდან“ (1907წ.). ლექსის ამღერებული ინტონაცია, ქალისადმი ტრფობა ნაწარმოების ეფექტური ზემოქმედების ძირითადი ნიშანია. ლექსის ენობრივ მხარეს სპეციფიკურ უდერადობას სძენს ქალაქური უარგონიდან მოტანილი ფრაზეოლოგიზმების მიზანმიმართული გამოყენება:

„რა კარგია, კაკლის ხის ქვეშ
ვქეიფობდეთ, წვიმაც სცრიდეს,
მე გავიხდი, შენ ჩაგაცმევ
ბაკაკაჯან, არ შეგცივდეს...“

(ნიკოლეიშვილი 2: 336)

ი. გრიშაშვილის ათიანი წლების ლირიკაში დიდი ადგილი დაიკავა ორიგინალურმა, შინაგანი მელოდიით აღბეჭდილმა მაღალი შაირის სალექსო საზომმა. მანამდელ მის ლექსებში კი რიტმულ-ვერსიფიკაციული ძიებანი უფრო მრავალფეროვანი იყო.

ამაზე კარგად მეტყველებს მისი ლექსიდან მოყვანილი ეს სტრიქონი: „რიტმისაგან ლექსი დავ-წან, რითმად ლექსი გამოვჩარხე და ოცნება უხილავი შიგ ჩავმარხე... შიგ ჩავმარხე...“

მისი ლექსები ფაქიზადაა შემკობილი სხვცადასხვა მხატვრული სამკაულებით. „მუსიკალური მელოდიურობის პრინციპით შექმნილი მისი პოეზია ადამიანის სულის უნაზესი თრთოლვით“ სუნთქავს, ყოველი სტრიქონი ოსტატის ნატიფი და ფაქიზი ხელითაა ცას მოქნილი. (ნიკოლეიშვილი 3: 338).

გრიშაშვილის შემოქმედებაში ასახულია 1917 წლის რევოლუციური მოვლენები, რომლებსაც დაუკავშირა ოცნება სამშობლოს თავისუფლებასა და ხალხის ბედნიერებაზე. ამ თვალსაზრით ძალიან საინტერესოა ლექსი „1917 წელი“, რომელსაც ავტორმა ახალი „მარსელიოზას“ ჰანგზე დაწერილი სიმღერა უწოდა.

„და ჰა, მოისპო, რაც მოსასპობი
იყო წინათვე, ადრე თუ მაღე!..
და შენ, მაშვრალო, სხვა რაღა გინდა?
გასწორდი წელში, გამოიცვალე.
მოვხედოთ მამულს გაპარტახებულს..“
(ნიკოლეიშვილი 4: 340)

გრიშაშვილი ნათლად ავლენს იმ იდეებს და ეროვნულ მისწრაფებს, როლებსაც ქართველები მაშინდელი მეფის ხელისუფლების დამხობას უკავშირებდნენ.

პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა პირველმა შეაღო „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჟემის“ კარი და მისი ეშხით დაგვანახა – „მწვადის ბოლით დანისლული“ თბილისი, ორთაჭალის ბალებში თუ სარდაფებში აშუშხუნებული სურნელოვანი ქართული ღვინო და ხალხის წიაღიდან გადმოღვრილი სევდანარევი ჰანგები...

გრიშაშვილის შემოქმედებაში ლექსის ემოციური ზემოქმედების ეფექტს პოეტური ოსტატობის მაღალი დონე განსაზღვრავს. მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებიდან განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს ბერით-მუსიკალური კეთილხმოვანებით გამორჩეული რიტმები. „ლექსის საშემსრულებლო კულტურის მაღალ დონეს მნიშვნელოვანნილად პოეტის მიერ მახვილ-გონივრულად მიგებული კეთილხმოვანი რიტმები განსაზღვრავენ“ (ნიკოლეიშვილი 3:346).

გრიშაშვილის შემოქმედება იქცა სიყვარულის, ბედნიერების, კეთილშობილებისა და თავდადებულობის უშრეტ წყაროდ. ამიტომ შეიყვარა ხალხმა მისი პოეზია და მის ლექსებზე ბევრი სიმღერა ააჟღერა.

იოსებ გრიშაშვილმა მონაწილეობა მიიღო ვიქტორ დოლიძის ოპერის „ქეთო და კოტეს“ ლიბ-რეტოს ლიტერატურულ გამართვაში. ოპერის პრემიერა გაიმართა თბილისში 1919 წლის 11 დეკემბერს. იგი დაინერა კომედიოგრაფის, დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის (1857-1902) პიესის „ხანუმას“ (1882) მიხედვით.

ავქსენტი ცაგარელის პიესის სიუჟეტზე ოპერის შექმნის იდეა ვიქტორ დოლიძეს კიევიდან დაბრუნების შემდეგ დაებადა. კომპოზიტორის ერთი წლის მუშაობის შემდეგ დასრულებული პირველი ოპერა ძალზე წარმატებული აღმოჩნდა. ლიბრეტო პიესის საფუძველზე თავად კომპოზიტორმა შექმნა, თუმცა, ის გარკვეულ კორექტირებას საჭიროებდა ლიტერატურული გამართულობის თვალსაზრისით, ლიბრეტოს რედაქტირება ითავა თბილისური ყოფის ბრწყინვალე მცოდნემ, ცნობილმა ქართველმა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა. მას ეკუთვნის ასევე სიკოს და საქოს კუპლეტების ტექსტი.

„ქეთო და კოტე“ ვიქტორ დოლიძის ყველაზე პოპულარულ და, ამავე დროს, მხატვრული თვალსაზრისით მეტად ფასეულ ნაწარმოებს წარმოადგენს. მუსიკალური ელვარების, თეატრალური სისხარტის, მოხდენილი სცენური დრამატურგიის მეოხებით ქართული მუსიკის ისტორიაში მან სამართლიანად დაიმკვიდრა ეროვნული კომიური ოპერის უანრის კლასიკური შედევრის ადგილი. სტილური თვალსაზრისით ოპერა დაკავშირებულია თბილისის ქალაქურ ფოლკლორთან და იტალიური საოპერო სკოლის ტრადიციებთან, რაც ეფექტურ მუსიკალურ სახეებსა და მელოდიებში ვლინდება.

ოპერას გამორჩეული სცენური ისტორია აქვს. სხვადასხვა წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერის რამდენიმე დადგმა განხორციელდა.

1920 წლის 10 ივნისს, თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი საღამო, რომელშიც ვანო სარაჯიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. მან ჩვეული უფაქიზესი მუსიკალური გრძნობით შეასრულა რომანსი გრიშაშვილის ტექსტზე და „ლერნამი ხარ!“, რომლის მუსიკა ახალგაზრდა კომპოზიტორის თამარ შავერზაშვილს ეკუთვნის. ხალხით გაჭედილ დარბაზში ქარიშხალი ატყდა. ვანომ კომპოზიტორი და აკომპანიმენტის ავტორი ძალით გაიყვანა სცენაზე და ტაშის გრიალში, მდაბლად დაუხარეს თავი აღფრთოვანებულ საზოგადოებას.

როგორც თამარ ცინცაძე აღნიშნავს: „იოსებ გრიშაშვილის ლექსებზე რომანსები დაწერეს: დიმიტრი არაყიშვილმა: „მინდოდა ცრემლი დამეპატიმრა“, „ლერნამი იყავ“; ზაქარია ფალიაშვილმა: სამი რომანის: „ნუ თვალთმაქცობ“, „სინანული“, „მიყვარდა“; სანდრო მირიანაშვილმა: „ჩემთან მოდი“ (მღერის ბათუ კრავეიშვილი კინოფილმ „ჭირვეულ მეზობლებში“); კონსტანტინე მელვინეთუხუცესმა: „მოგიახლოვდი“; ტარიელ ბაქრაძემ: „მე შენზე ლექსი არ მომწყინდება“; ნიკოლოზ გუდიაშვილმა: „მე ხომ გრილის ენითა მღერას არ ვარ ჩვეული“; ალექსანდრე ბუკიამ: „რა კარგი ხარ, რა კარგი“; ვალერიან გოკიელმა: „სევდა“; გუგული თორაძემ – ლირიკული რომანსები: „გულნაზს“, „სინიორინა“, „მეზღვაურის სიმღერები“ (ასრულებდა ბათუ კრავეიშვილი); გრიგოლ კილაძემ: „შენ ხარ ღვთაება“ (მღერიან „ქეთო და კოტეში“); მარიამ მაჭავარიანმა: „ჩემი აღმართი“, „ია და ყაყაჩი“, „დავბერდი, არა?!“; იონა ტუსკიამ: „მიმღერე, ტურფა“, „ტოკავდა მკერდი“; ოთარ თევდორაძემ: „ქალწული ყვავილი“ (ასრულებდა მერი შილდელი), „გენაცვალე“ (ნეაპოლურ ჰანგზე ვანო სარაჯიშვილმა შეასრულა 1913 წელს, ნოტები დაიბჭდა 1913- 1925- 1940- წწ.); თამარ შავერზაშვილმა: „ლერნამი ხარ“, „ყურთბალიში“ (ასრულებდა მერი ნაკაშიძე) (ლექსთმცოდნეობა 2013: 255-256).

თავად იოსებ ნონეშვილი საკმაოდ მუსიკალური ადამიანი იყო. ეს კარგად იკვეთება მის შემოქმედებაშიც, სადაც ერთ მთლიან დანაშრევად მოჩანს ხან ღრუბლებში ამაღლებული და ხან ვეება მდინარესავით მდორედ მავალი, ამკარად გამოკვეთილი, ხმიერი, მუღერი, მაჟორული ნოტა - იგი გარემოს საყვირი, ბუკი და ნალარა გახლდათ.

თავად პოეტის ლექსებში ხშირად ვხვდებით ქართულ თუ არაქართულ მუსიკალურ საკრავებს. ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი ლექსები: „არის ასეთი ქვეყანა“:

„ძირში დარწეული აკვანი,
სალამურის საამური კვნესა“.
(ი. ნონეშვილი, 1968: 268)

მოცემულ სტრიქონში, პოეტისთვის სალამური საამურ კვნესასთან ასოცირდება, რომლითაც ოდითგანვე ირწეოდა აკვანი, ვაზის ძირში მდგარი.

ლექსში „ალაზნის არხთან“ ვკითხულობთ:
„ბოლოს, როდესაც დაჟურეს დაფდაფი
გადაწვა არხი კახეთის გულზე“.
(ი. ნონეშვილი, 1968: 12)

ან კიდევ ლექსში „საახალწლო“:
„თქვენ ქორნილშიც იღუდუნებს
მხიარული ჭიანური“.
(ი. ნონეშვილი, 1968: 81)

ამ მხრივ ასევე საინტერესოა ლექსი „ჩემო კარგო წინაპარო“:
„რას სტიროდა შენი ქნარი
აღსდექ, გვარქვი ტკბილ ქართულით“.

ზემოთ მოყვანილ ლექსებში კარგად ჩანს თუ რა დიდი ადგილი უკავია ნონეშვილის შემოქმედებაში მუსიკალურ საკრავებს, თუმცა მხოლოდ ეს ლექსები არ არის.

გარდა მუსიკალური საკრავებისა, მის ლექსებში ვხვდებით სხვადასხვა ქართულ ხალხური სიმღერების დასახელებასაც, ეს კი მეტყველებს პოეტის მისწრაფებაზე სიმღერის ხელოვნებისადმი. ამ მხრივ საყურადღებოა „არის ასეთი ქვეყანა“:

„თვალტანადი ქალ-ვაჟების ნათქვამი
იავნანა, ურმული და რერო“.
(ი. ნონეშვილი, 1968: 81)

ან კიდევ ლექსში „დედა“:

„ჩემს აკვანს, ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი, „ნანას“, „მზე შინას“
რამდენი ღამე არ გძინებია
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა“.

(ი. ნონეშვილი, 1968: 294)

იოსებ ნონეშვილის ლექსებზე შექმნილი სიმღერები პოპულარობით სარგებლობდნენ, რამდენიმე მათგანი ქართულ კინოფილმებშიც იქნა გამოყენებული. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „ყელსაბამი“, რომელიც არჩილ კერესელიძემ ააჟღერა. ეს სიმღერა იქნა გამოყენებულა ნიკოლოზ სანიშვილის ფილმში „ბედნიერი შეხვედრა“.

საკამაოდ პოპულარულია იოსებ ნონეშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერა „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა“. იოსებ ნონეშვილის ვაჟი, სანდრო ნონეშვილი, იხსენებს, რომ როდესაც მამაჩემს ვეკითხებოდი, თუ ვის მიუძღვნა ეს ლექსი, ხან ერთ ქალბატონზე მეუბნებოდა, ხან მეორეზე. დედაჩემმა კი ეს საკითხი გადაწყვიტა და თქვა: ეს ლექსი მე მეძღვნებაო (რადიოგადაცემიდან „რეტრო“).

მარეს გოძიაშვილმა აამღერა ლექსი კონსტანტინე პევზნერის მიერ შექმნილი ნაწარმოები „გამიგონია მთვარიან ღამეს“. პოეტის ლექსზე შეიქმნა „ო რერო, რერო“, რომელსაც ანსამბლი „ორერა“ და ქ-ნი ნანი ბრეგვაძე ასრულებენ. ამავე ლექსზე შექმნა ვაჟა აზარაშვილმა ლირიკული ვალსი. ეს სიმღერა აუდერდა ქართულ კინოფილმში „შეხვედრა მთაში“. სანდრო ნონეშვილი იხსენებს, რომ ამ სიმღერის ავტორი პეტრე გრუზინსკი ეგონათ, რის გამოც უხერხული სიტუაცია შექმნილა. ეს კაცი მოვიდა მამაჩემთან და ბოდიში მოუხადა, მამაჩემმა კი უთხრა: რა ბოდიშს იხდი, ეხლა ჰონორარი მოგივა და ერთი კაი პურ-მარილი გიშველისონ და, მართლაც, ეს პურ-მარილი ორი-სამი დღე გაგრძელდა და კარგადაც მოილხინესო.

რევაზ ლალიძემ ნონეშვილის ტექსტზე შექმნა სიმღერა „ჰიმნი ქუთაისს“, რომელსაც დავით გამრეკელი ასრულებდა. ეს ლექსი გალაკტიონის ეგონათო იხსენებდა სანდრო ნონეშვილი.

კიდევ ბევრი სიმღერა აუდერებულა იოსებ ნონეშვილის ლექსზე. ესენია: რევაზ ლალიძის „სიმღერა ვაზზე“, „სიყვარულის საგალობელი“, რომელსაც „ცისფერი ტრიო“ ასრულებს, შოთა მილორავას „მას საქართველო ჰქვია“, ნუნუ დუღაშვილის „გიყვარდეს საქართველო“. ტექსტზე „ცივ გომბორიდან“ შეიქმნა სიმღერა „კახეთო, ჩემო კახეთო“. აღსანიშნავია ცნობილი სიმღერა „მასწავლებელი“, რომელზედაც შოთა მილორავამ შექმნა მუსიკა. ამ სიმღერას ასრულებდნენ თამარ ჭოხონელიძე და მაია ჯაბუა. ამ ტექსტს თავისი ისტორია ახლავს: იოსებ ნონეშვილი ადრე დაობლებულა, მარტოდ დარჩენილი მისი აღზრდა მასწავლებლებს აუღიათ საკუთარ თავზე, განსაკუთრებით დიდი

წვლილი კი მიუძღვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ვარო ვარდიაშვილს, რომელსაც მიუძღვნა ეს ლექსი. როდესაც იოსები გამოცდებს აბარებდა უნივერსიტეტში, სხვებს გარეთ თუ მშობლები ელოდებოდათ, იოსებს ქ-ნი ვარო უცდიდა თურმე (რადიოგადაცემიდან „რეტრო“).

სიმღერები შეიქმნა აგრეთვე მის შემდეგ ლექსებზე: „შემოდგომა თბილისში“, „სად არ ვიყავ, სად არა“, „ეგ სახე მყინვართა სარკეში მინახავს“, „შენ არა გაქვს მეფის გვარი, ფრთაფართატა თოლია“ და სხვ.

იოსებ ნონეშვილი თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებს ისეთ სიტყვებს, რომლებიც სიმღერასთან, მღერასთან თუ მუსიკალურ საერავებთან ასოცირდება, რის გამოც მისი ლექსები მეტად სასიამოვნო, ჰარმონიული და მუღლერადია.

მოყვანილი ლექსებით დასტურდება, რომ იოსებ ნონეშვილის შემოქმედება ერთგვარად მუღლერი და მუსიკალურია. მას ეს მუსიკა, რითმა, ჰანგები გულის სიღრმიდან ამოსდიოდა და ლექსების სახით მოჰკონდა ჩვენამდე, მკითხველამდე. იგი იყო თავისი „ღვთაებრივი საქართველოს“ მეტრფე, თავგადაკლული მიჯნური ქართული ჰანგისა, მგოსანი სრულიად საქართველოსი.

XX საუკუნეში ქართული პოეზიის მუსიკის ენაზე აუღერების ისტორიის ზოგიერთ მომენტზე ყურადღების გამახვილებამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე: 1. ქართველმა სიმბოლისტებმა ახალი რითმების შემოტანასთან ერთად გაამდიდრეს ლექსი მხატვრული სახეებით, რამაც საოცარი მუსიკალობა შესძინა მათ შემოქმედებას; 2. საოცრად პოპულარულად იქცა თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ი. გრიშაშვილის უაღრესად მელოდიური ლექსი, რამაც მრავალ კომპოზიტორს გაუჩინა სურვილი მისი მუსიკალურ ნაწარმოებად ქცევისა; 3. ი. ნონეშვილის პოეზია, ლექსის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მიესადაგა მუსიკის ენას

ლიტერატურა:

1. ი. ნონეშვილი, ერთტომეული, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968.
2. თ. გიორგაძე, „ქართული მწერლობა და მუსიკა“, თბილისი, 2003.
3. ავ. ნიკოლეიშვილი, „ქართული ლიტერატურა III“, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2009.
4. ვ. ცისკარიძე, „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“, თსუ, თბილისი, 1984.,
5. პ. ხუჭუა, ქართული სამუსიკო კულტურა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961;
6. თ. ცინცაძე, „იოსებ გრიშაშვილის რომანსები“ წიგნიდან ლექსითმცოდნეობა, თბილისი, 2013.
7. <http://radio1.ge/ge/videos/view/136823.html>

ვაჟა სანთელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი,
ხელმძღვანელი: პროფესორი მიხეილ ბახტაძე

ისტორიული ცენტები და ლიგანდები იოანე პრეზიტერის შესახებ

ლეგენდები და თქმულებები უძველესი დროიდან იქცევს საზოგადოების ყურადღებას მათი შინაარსისა და ინტერესიდან გამომდინარე. დიდი ხანია რაც ევროპელ, რუს, ქართველ და სხვა მეცნიერთა შესწავლის საგანი გახდა XII საუკუნის თქმულება იოანე პრეზიტერის შესახებ.

ამ თქმულების პირველი წერილობითი ცნობები გვხდება გერმანელი მემატიანის ოტო ფრაინგის (Otto von Freizing) ქრონიკაში. მისი გადმოცემით 1145 წელს რომის პაპ ევგენი III-ს სირიის ქალაქ გაბალას ეპისკოპოსმა დახმარება სთხოვა ევროპის ქვეყნების მეფეებთან ელჩობისთვის, რათა სირიაში მყოფ ჯვაროსნებს კვლავ დაებრუნებინათ 1144 წელს მოსულის ათაბაგის მიერ წართმეული ედესა. ამასთანავე, როგორც მემატიანე გადმოგცემს, ეპისკოპოსმა ძალზედ საინტერესო ამბავი ამცნო ევროპელებს. „რამოდენიმე წლის წინ მეფე და მღვდელთმთავარი იოანე, რომელიც სპარსეთისა და სომხეთის მიღმა უკიდურეს აღმოსავლეთში ცხოვრობდა და რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების, ნესტორიანული ეკლესიის აღმსარებელი იყო, შეებრძოლა სპარსეთისა და მიდიის მეფე-ძმებს, შამიარდოდ წინდებულებს, დაიპყრო მათი სატახტო ქალაქი ეკატანა. ეს მეფე-ები თავისი სპარსული, მიდიური და ასირიული ჯარებით შეებრძოლნენ მონინააღმდევეს. სამი დღის განმავლობაში გაუწიეს მათ წინააღმდეგობა, რადგან ორივე მხარეს სიკვდილი ერჩია გაქცევას. საბოლოოდ პრესბიტერმა (presbyter) იოანემ აიძულა სპარსელები გაქცეულიყვნენ და გამარჯვებული დარჩა“. როგორც ეპისკოპოსი მოგვითხრობს, ამ გამარჯვების შემდეგ იოანეს უნდოდა იერუსალიმის ეკლესიის დახმარებ, მაგრამ ჯარმა სამგზავრო საშუალებების უქონლობის გამო ტიგროსზე გადასვლა ვერ შეძლო. ის ჩრთილოეთისაკენ გაემართა, რადგან მას მოახსენეს, რომ მდინარე იქ გაყინული იყო. მაშინ მან აქ რამდენიმე წელი დაპყო, ელოდა რა ყინვების დადგომას, მაგრამ ამინდი მისი გეგმებისათვის არახელსაყრელი აღმოჩნდა. ამასობაში შეუჩვეველმა კლიმატმა მისი ბევრი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა. ასე რომ, მეფე იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო თავის სამშობლოში. „მეფე იოანე პრესბიტერი სახარებაში მოხსენიებული მოგვების ჩამომავალია და იმავე ხალხზე მპრანებლობდა რომლებზეც თავის დროზე მოგვები მეფობდნენ. მისი დიდება და სიმდიდრე ისეთი დიდი ყოფილა, რომ იგი ერთი ზურმუხტის სკიპტრით სარგებლობდა. თავისი წინაპრების მაგალითმა, რომლებიც გზას გაუდგნენ, რათა აკვანში მყოფი ქრისტესთვის თაყვანი ეცათ, უბიძგა მას გაელაშქრა იერუსალიმზე, მაგრამ შექმნილი გარემოება ამ ყოველივეს ხელს უშლიდა“.

XII ს. შუა ხანებში მძიმე მდგომარეობაში იყვნენ მცირე აზიში მყოფი ჯვაროსნები. სირიის ეპისკოპოსის ელჩობა რომის პაპთან მიზნად ისახავდა ახალი ჯვაროსნული მოძრაობის წამოწყებას, ედესის დაბრუნებასა და ახალი მიწების დაკავებას. ეპისკოპოსის მიერ ჩატანილმა ცნობამ, ქრისტიანი მეფე პრესვიტერისა და მისი მოსალოდნელი დახმარების შესახებ დიდად დააინტერესე და აღაფრთოვანა ევროპელები, მაგრამ მოსალოდნელი დახმარების მიუხედავად არსაიდან არ ჩანდა იოანე პრესვიტერის ძლევამოსილი არმია.

იოანე პრესვიტერის შესახებ რეალურ თუ არარეალურ ისტორიას, რომელიც გავრცელდა XII-ის შუა ხანებში, შემდგომ კიდევ ბევრი ზღაპრული ამბავი დაემატა. ბერი ალბერიხის ქრონიკებში ჩვენამდე მოაღწია წერილმა, (რომელიც იოანე პრესვიტერის ეპისტოლეთია (ცნობილი) სადაც აღნიშნულია, რომ 1165 წელს მან ეს წერილები გაუგზავნა სხვადასხვა ქრისტიანული ქვეყნების მმართველებს. ჩვენამდე მოაღწია ბიზანტიის კეისარისადმი გაგზავნილმა ეპისტოლემ. მკვლევართა აზრით, ეს წერილი ნაყალბევია, მაგრამ მას ამ ისტორიის კვლევისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა

აქვს. ამ წერილის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს რომის პაპის ალექსანდრე III-ის წერილი, რომელიც მან 1177 წელს თავის პირად ექიმს გაატანა იოანე პრესვიტერთან, სადაც ეს უკანასკნელი მოხსენიებულია უწმინდეს მღვდლად და ინდოეთის დიდებულ მეფედ, მაგრამ მის მიერ გაგზავნილი ელჩობის ბედი უცნობია.

იოანე პრესვიტერის შესახებ ლეგენდის გავრცელება კვლავ იწყება XIII საუკუნეში როდესაც გამოჩნდნენ მონღოლები. ევროპაში გაჩნდა იმედი რომ სწორედ მონღოლები იყვნენ იოანე პრესვიტერის ძლევამოსილი არმია. მათზე არასაკმარისი ცოდნის გამო ისინი ერთი შეხედვით ქრისტიანები ეგონათ, რომლებიც მუსულმანთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ იმედით ევროპის უმაღლესი ქვეყნები და რომის პაპები აღმოსავლეთში გზავნიდნენ მისიებს, რათა მათ შეესწავლათ მონღოლები და გაეგოდ შეძლებდნენ თუ არა ამ უდიდესი ძალის გამოყენებას თავიანთი მიზნებისთვის. ამას-თანავე მათ დავალებული ჰქონდათ რომ ეპოვათ იოანე პრესვიტერის სამეფო. სწორედ ამგვარი დავალების შესრულება მოუხდათ იმ დროის ცნობილ მოგზაურებს: პლანო კარპინის, გიორგ რუბრუკის, მარკო პოლოს, იოანე მონტეკორვინოს და სხვებს.

მოგზაურთა გადმოცემით ინდოეთი სამ ნაწილად იყოფოდა: ეთიოპიად, მიდიად და აღმოსავლეთის უკიდურეს მხარედ.

პლანო კარპინის მონათხრობი ძალიან ჰგავს სხვა მოგზაურების ისტორიას, იგი ეხება ჩინგიზ ხანს და მის ლაშქრობებს. ამავე დროს გვაწვდის ცალკე ცნობას იოანე პრესვიტერზე. მონღოლთა ჯარები შეებრძოლნენ ქრისტიანებს დიდი ინდოეთში. მათ წინააღმდეგ გამოვიდა ამ ქვეყნის მეფე იოანე პრესვიტერი, რომელმაც აიძულა თათრები გაქცეულიყვნენ. იგი ინდოეთს ასახელებს იმ ქვეყნებთან ერთად, რომლების დაპყრობაც თათრებმა ვერ შეძლეს.

გიორგ რუბრუკის ყარაკიტაელებზე საუბრისას მოგვითხრობს, რომ როდესაც ფრანკებმა ალყა შემოარტყეს ანტიოქიას, თურქებმა თხოვნით მიმართეს კონ-ხანს. როგორც გ. ოპერტი აღნიშნავს რუბრუკისის ცნობაში ჩანს ყარაკიტაის მმართველის კორ-ხანის ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ რუბრუკისის ამბავს იმეორებს როჯერ ბეკონი, რომელიც აღნერს კორ-ხანის, იოანე პრესვიტერის, მისია ძმის იუნკისა და ჩინგიზ-ხანის ბრძოლებს. კორ-ხანის სიკვდილის შემდეგ ნესტორიანელმა იოანემ მეფობა მიისაკუთრა. მას ბევრ ისტორიას მიაწერდნენ ვიდრე სინამდვილეში იყო. მისი ძმა, უნკი, მთებში ცხოვრობდა და პატარა ქალაქს ფლობდა. იოანეს სიკვდილის შემდეგ უკვე უნკსა და ჩინგიზს შორის დაპირისპირება მოხდა ძალაუფლებისათვის, სადაც უნკი დამარცხდა.

მარკო პოლო გადმოგვცემს ისტორიას იოანე პრესვიტერისა და ჩინგიზ ხანის ბრძოლის შესახებ, რომელშიც ჩინგიზ ხანმა დაამარცხა იოანე.

XIII საუკუნეში ლეგენდა დაუკავშირეს ვინმე დავით მეფეს. რუდოლფ კოგაშელეს, სიმონ დე სენ კავენტინისა და ჟაკ დე-ვიტრის გადმოცემით ვიცით, რომ 1221 წელს ვინმე დავით მეფე აღმოსავლეთიდან მიიწევდა წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად და წმინდა სამეფოს აღსაღენად. ვინცენტიუსი და სხვა მემატიანები დავითს იოანეს შვილად მიიჩნევენ.

მარკო პოლო იოანე პრესვიტერს ეთიოპელად ასახელებს. შუა ინდოეთში არის აბასია. მისი თქმით, ამ მხარეში ყველაზე დიდი მეფე ქრისტიანია. აქ განისვენებს წმინდა თომას ნეშტი, რომელიც აქ მოღვანეობდა. იგი გამოგვცემს ამბავს ადენის სულთნისა და იოანე პრესვიტერის ბრძოლის შესახებ, რომელიც მოხდა იოანეს მოციქულის დაჩაგვრის გამო, სადაც იოანემ გაიმარჯვა. ეს ისტორია გავს ოტო ფრაიზენინგის მიერ გადმოცემულს. იოანეს ეთიოპელობა განსაკუთრებით პოპულარული იყო პორტუგალიაში. XV საუკუნიდან მას ექებდნენ აფრიკაშიც. მოგზაურთა და დესპანთა დიდი კვლევა-ძების მიუხედავად მაინც არ გაგვაჩნია ამ პიროვნების და მისი სამეფოს ზუსტი ადგილსამყოფელი და ისტორიული სინამდვილე.

ამ ამბის დიდი მკვლევარი გ. ოპერტი საკითხის შესწავლისას იყენებს იმ მოგზაურთა ცნობებს სადაც აღნერილია ყარა-ხატაეთის მმართველის კორხანის ისტორია. იგი ეხება იოანეს ზედწოდებას, რომელიც პირველად ოტო ფრაიზენგმა ახსენა. მისი აზრით, ფრაიზენგის მიერ ნახსენები პრესვიტერი 1141 წელს სამარყანდთან სპარსეთის სულთნის სანჯარის დამმარცხებელი გიურხანი-იურხანია. მაგრამ სამწუხაროდ მას დასავლეთისკენ აღარ უნარმოებია ბრძოლები. იგი ასევე აღნიშნავს, რომ იურხანი ლათინურად წარმოითქმება როგორც იოანე, იოპანე. ოპერტმა ამ ამბავზე არაპირდა-პირი მინიშნებები ამოიკითხა ზინბადის მოგზაურობაში. მისი აზრით, სწორედ ზინდბადის მოგზაურობის წიგნში დაცული წერილი შეადგენს იოანე პრესვიტერის ეპისტოლეს საფუძველს.

გ. ოპერტის გაუჩნდნენ თანამოაზრები: ფრ. ცარნკე, რ. ჰენიგი, ლ. ოლშკი და სხვანი. ისინი ოპერტს ეთანხმებიან და იოანე პრესვიტერის პროტოტიპად მიიჩნევენ 1141 წელს სამარყანდის ბრძოლაში გამარჯვებულ იელუიდაშ-იურხანს. ამასთანავე მეტად საინტერესო და ყურადსალებია მათი გამოკვლევებიც. ფრ. ცარნკე და ლ. ოლშკი მიიჩნევენ, რომ იოანე პრესვიტერის ლეგენდის წინაპირობა 1122 წელს რომის პაპ კალიქტუს III-თან ჩასული პატრიარქ იოანეს ელჩობა უნდა გამხდარიყო. ეს ამბავი გადმოცემულია აბატ დონ ფონ რამეს ჩანაწერებში სადაც საუბარია ინდოეთში არსებულ ქრისტიანულ სამეფოზე, მის დედაქალაქსა და მდინარე ფისონზე, რომელიც მოედინებოდა სამოთხიდან. ლ. ოლშკის აზრით, 1165 წელს შედგენილი იოანეს ეპისტოლე არის უტოპია და მიწიერი სამოთხის პანეგირიკა.

ასევე საინტერესოა რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებული გამოკვლევები ამ საკითხთან დაკავშირებით. ვ. ბარტოლდი და ლ.გუმილოვი ფიქრობენ, რომ ლეგენდას საფუძვლად უდევს 1141 წლის სამარყანდის ბრძოლის ისტორია. ბარტოლდი ყურადღებას ამახვილებს ნესტორიანელობის გავრცელებაზე მონღლოლურ ტომებში და წმინდა თომას მოაღვანეობაზე ინდოეთში. ლ. გუმილოვი მოგვითხრობს იელუიდაშის ანუ იგივე იოანეს შესახებ და იბნ-ალასირის ცნობებზე დაყრდნობით აგვილწერს იმ გრანდიოზულ ბრძოლას, რომლის მსგავსი მაჟმადიანებს ჯვაროსნებთანაც არ უნარ-მოებიათ. ამასთანავე ყურადსალებია ვ. მატუზოვის მსჯელობაც, იგი იზიარებს სხვა ისტორიკოსთა მოსაზრებებს და გვაძლევს ამ ლეგენდის სამ თეორიას: პირველი აზიური დ იოანე-იელუიდაში ყარაკიტას იმპერიის დამარსებელია; მეორე, აფრიკული დ იოანე აბისიანის მეფე იყო, რომლის ქვეყანა IV საუკუნეში მოექცა ქრისტიანობაზე; მესამე – ამ ამბავს არ გააჩნია ისტორიული საწყისები და არ ჰყავს პროტოტიპი. იგი შეთხულია კათოლიკე სასულიერო პირის მიერ.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიკოსთა ვარაუდით ძირითადად იოანე პრესვიტერის ლეგენდას საფუძვლად დაედო 1141 წლის ამბები. გიურხანი, იურხანი, იელიუდაში, ქუხანი - იოანე პრესვიტერის პროტოტიპია.

გ. ოპერტისა და მის მიმდევრებს მრავლად ჰყავს კრიტიკოსები. ფ. ბრაუნმა თავის ნაშრომში წამოაყენა თეორია, რომლითაც იგი ამ ლეგენდარული მეფის პროტოტიპს XII საუკუნის საქართველოში ეძებს. მისი აზრით, ლეგენდა შეიქმნა და ჩამოყალიბდა დავით IV-ის ამირსპარსალარის, იოანე ორბელის მიერ 1124 წელს ძმები იბრაჰიმ და აჰმედის კოალიციური ლაშქრობის დამარცხებისა და მათი მოკავშირე სულთანის მელიქ-თორლულის დედაქალაქის განძის აღების, ასევე 1138-39 წლებში დემეტრე I-ის მიერ განძის აღებისა და დარბევის, 1161 წელს გიორგი III-ის ამირსპარსალარის, იოანე ორბელის მიერ ხლათის სულთანის სუქმან II-ის განადგურებისა და ანისის დაკავების შედეგად. ამ ამბების გაერთიანების შედეგად ჯვაროსანთა წარმოდგენებში მივიღეთ ამბავი იოანე პრესვიტერის შესახებ. იგი, ასევე 1165 წლის იოანეს ეპისტოლეს მიხედვით, სამეფოს ლოკალიზაციას ახდენს კავკასიაში, კერძოდ საქართველოში. ამ საკითხზე აღ. თვარაძემ მონოგრაფიაში „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში“ ფ. ბრაუნის მსგავსად, ძირითადი დასკვნები დააფუძნა შუა საუკუნეებსის ევროპულ კარტოგრაფიულ მასალებზე, სადაც კავკასიის მხარე კასპიის კარით გოგისა და მაგოგის ხალხებით, ბიბლიური მდინარეებით ერთ გეოგრაფიულ არეალშია მოთავსებული. ეს ტერიტორია ზუსტად ჯდება იოანე პრესვიტერის ეპისტოლეს მიხედვით მისი სამეფოს არეალში.

ქართველი ისტორიკოსები (ზ. ავალიშვილი, ალ. ნიკურაძე, დ. ნინიძე, შ. ბადრიაძე, შ. რევიშვილი) მიიჩნევენ, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიული სახე იოანე პრესვიტერის ლეგენდაში აისახა. მკვლევარი ანა დოროთეა ფონ ბრინკენი არ გამორიცხავს, რომ იოანეს თქმულებაში დავითის სახე-ლის გაჩენა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობასთან კავშირშია.

ზ. ავალიშვილი ნაშრომში „ჯვაროსანთა დროიდან“ ამ საკითხზე მსჯელობისას ძირითადად ეყრდნობა მეცამეტე საუკუნეში გავრცელებულ ამბავს, სადაც იოანე პრესვიტერის მემკვიდრედ გამოყვანილია მეფე დავითი. მისი აზრით, შესაძლოა, დავითის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ მოხდა იოანესა და დავითის სახეების გაერთიანება. აქვე გამოთქმულია მოსაზრება იოანე ორბელისა და იოანე პრესვიტერის იგივეობის შესახებ.

დ. ნინიძე ლაშა-გიორგის პიროვნებას ლეგენდარულ იოანე პრესვიტერად მიიჩნევს.

შ. ბადრიაძემ ამ ლეგენდის კვლევას განსაკუთრებული ყურადღება დაუტმო. მის ძირითად წყაროს ოტო ფრაიზინგის მიერ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს. მან პარალელი გაავლოდიდგორის ბრძოლასა და იოანე პრესვიტერის ბრძოლას შორის. ასევე ისტორიულ-გეოგრაფიული

კუთხითაც, იოანე პრესვიტერის სამშობლო მდებარეობდა „არმენიისა და სპარსეთის მიღმა უკიდურეს აღმოსავლეთში“. ბადრიძის აზრით, საუბარი რომ ყოფილიყო შუა აზის აღმოსავლეთ მხარეზე მაშინ ეს ლოკალიზებული არ იქნებოდა არმენიაზე მითითებით. შ. ბადრიძე და თ. ბრუნი ამასთანავე, პრესვიტერის სახეს უკავშირებენ დემეტრე I-ის მმართველობის ხანას. ბადრიძის მოსაზრება გაიზიარა შ. რევიშვლიმაც. იგი ამ საკითხს შეეხო მითოლოგიური ხალხების ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილსამყოფელის იდენტიფიკაციისას და ეთნიკური კუთვლინების პრობლემაზე მსჯელობისას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას რომ არა მხოლოდ ქართველი ისტორიკოსთა ნაწილი უკავშირებს იოანე პრესვიტერს XII-XIII საუკუნეების საქართველოში მცხოვრებ მეფეებსა და დიდებულებს და მათ მოღვაწეობას. თუმცა ეს მოსაზრებები დიდ სიფრთხილეს, ყურადღებასა და კვლევას საჭიროებს, რადგან თავად ლეგენდა და ეპისტოლე ბევრ უპასუხო კითხვას ბადებს.

ამ ლეგენდის ერთ-ერთი მკვლევარი ანდრო გოგოლაძე, რომელიც სხვადასხვა კუთხით იკვლევს თემას, ფიქრობს რომ ისტორიულის გარდა ლეგენდას ბიბლიური საფუძველი უდევს. კერძოდ იოანე მოციქულის გამოცხადება და აპოკალიფსი, სასჯელი ლვთისა დედამიწაზე არსებული ყოველი უწმინდური ძალისა და მისი მიმდევრების მიმართ. ამას მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ ხალხთა წარმოდგენაში იოანე პრესვიტერი არ ბერდება, არ კვდება, ცოცხლობს საუკუნეების განმავლობაში. სახარების მეცხრამეტე თავში სწორედ აპოკალიფსურ გამოცხადებაზეა საუბარი: „და ვიხილენ ცანი განხუმულნი. და აპა ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა ენოდებოდა სარწმუნო და ჭეშმარიტი, და სიმართლით შჯის და იბრძის“ აღსანიშნავია, რომ იოანე პრესვიტერის ეპისტოლეში მრავლადაა ბიბლიური ალუზია, ასევე პარალელები სხვადასხვა ბიბლიურ სიუჟეტებთან. ასევე გვხვდება მინიშნება წმინდა გრაალზე. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ თქმულებას გააჩნია სახარებისეული აპოკალიფსის საფუძვლები. საგულისხმოა ანდრო გოგოლძის კიდევ ერთი დასკვნა, რომლის მიხედვითაც იოანე პრესვიტერის სამშობლოს დაკავშირებას საქართველოსთან გამორიცხავს ის, რომ ევროპელებისთვის საქართველო იმ დროს საკმაოდ ნაცნობი იყო, იოანე პრესვიტერზე და მის სამფლობელოებზე კი არაფერი იცოდნენ.

რეალურ ისტორიაზე დაფუძნებული თუ შეთხზული ლეგენდა იოანე პრესვიტერის შესახებ დიდხანს ცოცხლობდა შუა საუკუნეების ხალხთა ცნობიერებაში. მისმა ამბავს თუ ეპისტოლემ ბევრი მკვლევარი აალაპარაკა და წლების მანძილზე იმედი მისცა ევროპაში მყოფ ჯვაროსნებს. თუმცა, დღემდე სადაო და დასაზუსტებელია, ეფუძნება თუ არა იოანე პრესვიტერის ლეგენდა რეალურ ისტორიას თუ უბრალოდ გამონაგონია.

ჩემი აზრით, ლეგენდას იოანე პრესვიტერის შესახებ ნამდვილად უნდა ჰქონოდა საფუძვლად რეალური ისტორია და ვფიქრობ, ეს ამბავი სწორედ 1141 წელს მომხდარი ბრძოლაა. იმ დროის ზოგიერთ მოგზაურთა დასკვნებიც და ევროპელ და რუს მეცნიერთა ნაწილიც სწორედ ამ ფაქტს ასახელებს ლეგენდის საწყისად. მათი მსჯელობები და დასკვნები სრულიად საფუძვლიანად და სწორად მიმაჩნია. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ ამბავმა განიცადა ტრანსფორმაცია და საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებდა ევროპელ ჯვაროსნებს და არამარტო მათ. ეს ბუნებრივიცაა რადგან 1141 წელს მომხდარი ამბის შემდეგ მრავალი რამ მოხდა რასაც სრულიად საფუძვლიანად შეიძლება დაუკავშირდეს ეს ლეგენდა. ვეთანხმები იმ მკვლევარებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ იოანეს ეპისტოლე ნაყალბევია. მასში ასახულია ბიბლიური ალუზიები და მასში აღწერილი სამეფო არ შეესაბამება რელობას. რადგან ჯვაროსნებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო მდიდარი და ძლიერი მოკავშირე. ქართველი ისტორიკოსების გამოთქმული ვარაუდით შესაძლებელია მართლაც დაეკავშირებინათ ევროპელებს დავით აღმაშენებელი იოანესთან დროის გარკვეულ მომენტში გარკვეული მიზეზების გამო. მაგრამ ვფიქრობ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა არ იყო ის ძირი და საფუძველი საიდანაც ლეგენდა მომდინარეობს.

ვფიქრობ ამ ლეგენდის გარშემო ჩატარებული კვლევა არ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად და აზრთა სხვადასხვაობა იძლევა იმის საფუძველს, რომ შესასწავლი და საძიებელი კიდევ ბევრია.

ლიტერატურა:

1. ავალიშვილი, ზურაბ. კვაროსანთა დროიდან. თბილისი, 1989.
2. ბადრიძე, შოთა. კვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტომი 125. თბილისი, 1968.
3. გოგოლაძე, ანდრო. იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. გამომცემლობა მერიდიანი თბილისი, 2005.
4. გოგოლაძე, ანდრო. სტატია: მეფე-ხუცესის ლეგენდის მონლოლური რემინისცენციები ქართულ წყაროებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV. თბილისი, 2011.
5. თინიკაშვილი, დავით და კაზარიანი, იოანე. სტატია: კვაროსნები და ქართველები: კრიტიკული მიდგომა ქართული ისტორიოგრაფიისადმი.
6. <http://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/article/viewFile/191/173>

კლარა გელაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა,
ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მინდიაშვილი

ომის პარადიგმა ქართულ მთალობაში – ომის თაოა რსურ ლიტერატურაში

ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა პერიოდის ნაციონალური პოლიტიკის პრინციპთა დანერგვის კიდევ ერთი შედეგი, „ქართულ-ოსური კონფლიქტი“-ს სახით წარმოჩნდა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამ ქართველი ხალხის ინტერესები შეზღუდა, რაც ორივე მხარისთვის მეტად სავალალო შედეგით დასრულდა. ოსი სეპარატისტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ზეიად გამსახურდიას მიმართვა სამხრეთ ოსეთის ოსი მოსახლეობისადმი, სადაც მათ კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებდა. არ გაითვალისწინეს და შედეგმაც არ დააყოვნა დ მოხდა ის, რაც შესაძლებელი იყო, თავიდან აგვეცილებინა! დამპალი ძაფივით დაწყდა და დაიშალა საუკუნეების მანძილზე შედუღაბებული ურთიერთობები. ოსებს არ ავინყდებათ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ, 1990 წ. ოქტომბერში ზ. გამსახურდიას ტელევიზიით გამოსვლა, სადაც იგი მათ ხელშეუხებლობას ჰპირდებოდა: „ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ არ მოვითხოვთ არაქართველთა გასახლებას საქართველოდან, როგორც ამას ზოგიერთი მოგვანერს. არ მოვითხოვთ მათ დისკრიმინაციას, დევნას. ჩვენ მოვითხოვთ თანასწორუფლებიანობას...“ⁱ

არ ავინყდებათ, რადგან ამ დაპირების პარალელურად, ინტენსიურად მიმდინარეობდა ეთნიკური ოსების შევიწროება-განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან. რატომ? - კითხვას სვამენ ისინი. ეს იმიტომ, რომ ოსი სეპარატისტები არ წყვეტდნენ ანტიქართულ მოქმედებებს, რადგან მათ, ზურგს ყოველთვის რუსეთი უმაგრებდა და იცავდა. ქართულ-ოსური ურთიერთობების დაძაბვა, განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. თითქოს, ამ ორი ერის მეხსიერებაში, წინარე საბჭოური დამოკიდებულებები და დაპირისპირებები ამოტივტივებულიყო... ჯერ კიდევ „1295 წელს როცა ქართლში უმეფობის პერიოდი იყო და ქვეყანას მხოლოდ ერისთავი და აზნაურები მართავდნენ, უამთააღმნერელის სიტყვით პირველად იწყეს ოსებმა აოხრება, ხოცვა და რბევა ქართლისა. მათ დაიკავეს ქალაქი გორი და იქიდან წასვლას არ აპირებდნენ. მათ მიმართ გადამწყვეტი ომები აწარმოა გიორგი მეუთე ბრწყინვალემ, რომელმაც ისინი სამწლიანი დაუღალავი ბრძოლის შემდგომ განდევნა გორიდან.“ⁱⁱ

მემატიანეს არც ის ფაქტები დაუკარგავს, სადაც ოსები ქართველებს ეხმარებიან მტრის მოგერიებასა და განდევნაში, ცდილობენ ერთგულება დაუმტკიცონ ქართველებს, მაგრამ: „1918 წლის მარტში სამხრეთ ოსეთში აჯანყდნენ ოსები. ეს აჯანყება საქართველოს სახალხო გვარდიამ ჩაახსო. ამ აჯანყებით ქართულმა საზოგადოებამ იგრძნო ისებისაგან მოსალოდნელი საფრთხე თუმცა ამას უკვე ვეღარაფერი უშველიდა.“ⁱⁱⁱ

არსებული კონფლიქტის განახლების ძირითადი მოტივი ქართულ-ოსური ეთნონაციონალური დაპირისპირებაა. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმებას ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საბჭოეთის მხრიდან პროვოკაციებისა და შანტაჟების კომპანიამ, რომელიც მ. გორბაჩოვის ზ. გამსახურდიასადმი მუქარით „დაგვირგვინდა“: „საქართველოს საბჭოთა კავშირიდან შეუძლია გავიდეს, მაგრამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე-ო“.

მიუხედავად უამრავი მცდელობისა, გონის მოსულიყვნენ და შეეცვალათ დამოკიდებულება, „მოსკოვის მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტები აგრძელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებას, რასაც მოჰყვა იძულებითი ნაბიჯი ქვეყნის ტერიტორი-

ული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით და მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი დ „სამხერეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ და დადგენილება დ „ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.“^v (1990 წლის 1 დეკემბერი).

90-იანი წლების კონფლიქტის იარები ჯერ კიდევ ღრმად აჩნდა ორი ერის ურთიერთობას, რომ თავი იჩინა ახალმა, ბევრად უფრო მტკიცნეულმა კონფლიქტმა, რომელიც შედეგებზეც თრივე მხარეა პასუხისმგებელი.

„2008 წლის აგვისტოს ომი, ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო...ომი, რომელმაც სამუდამო დაღი დაასვა საქართველოს... ომი, რომლის გამეორების საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს.“^{vii}

2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებამ, პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით სამხედრო ოპერაცია დაიწყო ქალაქ ცხინვალის ასაღებად, რადგან ოსი სეპარატისტების მიერ პირველი აგვისტოდან განუწყვეტლივ მიმდინარეობდა საარტილერიო სროლები. მომდევნო დღეს რუსეთმა, რომელსაც რეგიონში სამშვიდობოები ჰყავდა, ქართველთა იერიშის საპასუხოდ ცხინვალის რეგიონში საკუთარი ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა მასობრივად შეიყვანა. პარალელურად, რუსეთმა საქართველოს სხვა რეგიონების საპატიო დაბომბვაც დაიწყო. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით. ბრძოლა ხუთ დღეს გაგრძელდა. ქართული ჯარი გამოდევნილი იქნა ცხინვალის რეგიონიდან. საქართველომ დაკარგა ტერიტორიები, ათასობით ადამიანი იქცა ლტოლვილად. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ასახვას ჰქოვებდა რა, ქვეყნის, როგორც პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე თავის ადგილს ჰქოვებდა ლიტერატურაშიც. ლიტერატურის სახით გადმოცემული სურათი წიაღისეულად ასახავს ყველა იმ განცდასა და მოვლენას, რაც წარუშლელ კვალს სტოვებს როგორც პიროვნებაში, ასევე ნათელი სურათია იმ ერისა, რომლის ისტორიაც ნაწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა.

ეს იყო მოკლე ისტორიული დისკურსი იმის შესახებ, თუ რა უძლოდა წინ ქართველებსა და ოსებს შორის არსებულ დაპირისპირებას. მიუხედავად ამისა, მაინც ძნელია იპოვნო ჭეშმარიტების მარცვალი იქ, სადაც სისხლია. არ აქვს მნიშვნელობა ვისია ეს სისხლი-სისხლი, სისხლია!

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 9 წელი გავიდა, მაგრამ დღემდე არავის დაეკისრა პასუხისმგებლობა. პასუხგაუცემელია კითხვები, დაულაგებელია ურთიერთობები, რაც ოს და ქართველ მოსახლეობას ერთმანეთთან აკავშირებდა.

პოსტკოლონიალური სივრცის ლიტერატურას ახალმა ტალღამ გადაუარა. როგორც ქართულ, ასევე ოსურ ლიტერატურაშიც მკვეთრად აისახა ამ ორ ერს შორის XIX საუკუნის ბოლო პერიოდისა და XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული, რუსეთისაგან მართული მოვლენები. ოსი ავტორებისაგან განსხვავებით, ქართველ ავტორთა შემოქმედებაში, ომის თემა თვითკრიტიკული და მიუკერძოებელია. ომით გამოწვეულ შედეგებთან ერთად, ხმამაღლი საუბარია გამომწვევ მიზეზებზეც. ქართული ლიტერატურა გაუღენთილია ტკივილით-მესამე ძალამ დააპირისპირა და ერთმანეთის სისხლი დააღვრევინა გუშინდელ ძმებს. საქართველომ არ უნდა დაკარგოს ტერიტორია, არც კეთილგანწყობა ასებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. გელაშვილი ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი უარყოფითად შემფასებელია, კეთილგონიერებას უნუნებს ასებს. „დერთი შემიძლია ახლავე ვთქვა, რომ თუ ცხინვალმა საქართველოსგან გამოყოფა აიკვიატა, თავს დაიღუპავს. იმიტომ, რომ ეს უსამართლობა.“^{viii}

სულ სხვაგვარი კუთხითაა წარმოჩენილი 2008 წლის ომი ოს ავტორთა შემოქმედებაში. თითქმის ჩვენს მიერ მოძიებულ ყველა ნაწარმოებში, გამონაკლისის გარდა, ქართველები მათვის ფაშისტებთან ასოცირდებიან.

1888-89 წლების საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყებამ ბევრი ცვლილება გამოიწვია. უკვე დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11დეკემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. „1991წლის მარტში, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას განკარგულებით, ცხინვალში შევიდა საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილი. მალე მათ სხვა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებები დაემატა. დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტი“.^{vii}

აღნიშნული პერიოდის კონფლიქტს ეხება ოსი ავტორის, ტამერლან ტადტაევის მოთხოვნა „-- ტ---“^{viii} ომია. ოსი მოხალისები ბარიკადებზე დგანან. ომში კარგი იარაღია საჭირო. ეს ყველას არ აქვს. ალანის გვერდით ერთი მებრძოლი დაიჭრა. მას რომ კარაბინი უჭირავს, ალანი სწორედ ასეთ იარაღზე ოცნებობს. ის ჯერ კიდევ ცოცხალია და ალანი ცდილობს იარაღი გამოწინებოს. თან შიშობს:

„А что, если он остался жив? Тогда он будет преследовать меня наяву Для верности надо было раскроить ему череп прикладом. Так, может, вернуться назад и доделать дельце? Нет, лучше не надо.“^{xix}

მოდის ამბავი-ცხინვალის მოედანი უკვე ქართველებმა დაიკავეს!.. ალანი გარბის თავის ნათესავთან-არსენთან, რომელსაც ყოველთვის აღმერთებდა და ბაძავდა, რადგან თვითონ სულ ავადმყოფობდა. ახლა, რაც ომი დაიწყო, ალარ ავადმყოფობს, ომმა გამოაკეთა. არსენი სთავაზობს გაქცევას, რადგან უკვე ყველგან ქართველები არიან. ალანი არ გარბის. ოთახშია, ესმის ფეხის ხმა, ფიქრობს, რომ ისინი მოვიდნენ, ისვრის მაღლა და ელოდება: „он наверняка караулит меня и застрелит, как только пошевельнусь.“^{xi} ცოტა ხანში ალანი ხედავს, როგორ ეცემა იატაკს ნითელი წვეთები...

ამავე, 90-იანი წლების რუსეთისაგან ინსპირირებულ ოსურ-ქართული კონფლიქტის პერიოდს ეხება ტამერლან ტადტაევის კიდევ ერთი მოთხოვნა „Отступник“.

ოჯახი, რომელიც ომის კონფლიქტის დაწყებამდე საცხოვრებლად შუა აზიაში გადადის, ფულის დაგროვებისთანავე ბრუნდება ცხინვალში მიზნით-შეიძინოს ორსართულიანი სახლი და სამუდამოდ დამკვიდრდეს აქ. მაგრამ მათი ჩამოსვლისთანავე სიტუაცია იძაბება. ომის დასაწყისში, ისე, როგორც ყველა, ამ ოჯახის მამაც თვლის, „Что это недоразумение скоро закончится, и он доведет до конца начатое. Но потом понял, что это всерьез и надолго.“^x

ომში უიარაღოდ ყოფნა არყოფნას უდრის. ამიტომ ბიჭი იძულებული ხდება, იარაღის შესაძნად, დანაზოგი მამის დაუკითხავად აიღოს. მამა უარს ამბობს შვილზე, დედა ბარიკადებზე მიდის და შინ დაბრუნებას სთხოვს. ძმასთან გარიგებას სდებს-სიკვდილის შემთხვევაში იარაღი მას რჩება. უკვე იარაღიანი ახალგაზრდა ცხოვრების პირისპირ დგება და რეალობასთან თვალის გასწორება უწევს-ხედავს როგორ მარადიორობენ თვითონ თები და ღამ-ღამობით დაუცველ ოჯახებს ძარცვავენ... ახალგაზრდა ბიჭები ქუჩაში საბურავებს წვავენ და იცინიან. მათვის ომი რაღაც თამაშს გავს, სადაც დაუღალავად თამაშობენ. „Только грузином никто не хочет быть. Лучше быть фашистом.“^{xii} მათ იციან, რომ იმ ქართველების მამები, რომლებიც მერხზე მათ გვერდით ისხდნენ, ახლა მათ ძმებს და მამებს ხოცავენ. სიკდილმა უკვე შეაბიჯა ამ ბავშვების ოჯახებში. მოზრდილი ბიჭები იარაღის პოვნაზე ოცნებობენ, რომ შური იძოონ...ვიღაცა იარაღის წართმევას ცდილობს, რომ გაყიდოს და აქედან წავიდეს „- Я хочу свалить отсюда в Москву. Война не по мне. Я понял это, как только приехал сюда.“^{xiii} ბარიკადებისკენ, მოპირდაპირე მხარის იკარუსიდან ერთი მილიციონერი მათკენ ხელების ქნევით მოემართება. ანიშნებს, რომ უიარაღოა. იგი ტირილით მიდის მათთან და ეკითხება-რისთვისაა ეს ომი საჭირო?! „Мы же люди! Неужели не понимаете? Мы стреляем друг в друга, убиваем! Ради чего, а? Это просто невыносимо! Я не могу больше этого терпеть! Не хочу стрелять в вас! Не хочу, чтоб вы стреляли в нас! Мы же не звери, а? Посмотрите на солнце, на небо, разве мы не можем просто жить и радоваться, глядя на эту красоту?“^{xiv}

„— Мы защищаем нашу землю, — сказал ковбой, обращаясь к милиционеру. Не мы к вам пришли свойной, а вы.“^{xiv} ქართველი მილიციონერის სიტყვებმა თანაგრძნობა გამოიწვია. ამასობაში მათკენისევ ორი მილიციონერი განიარაღებულთა უესტიკულაციით გამოემართა. ისინი თავიანთი მეგობრის ნასაყვანად მოდიოდნენ. „— Эти, наверное, из личной охраны самого Гамсахурдия, — заметил кто-то из ребят. — Не надо упускать такого случая. Убьем их, а?“ ოსებმა გადაწყვიტეს ესროლათ იმ ორისთვის, რომლებსაც ომის უარმყოფელი მილიციონერი ძალით მიჰყავდათ. ბიჭმა ძმის მზერა იგრძნო. უსიტყვოდ გრძნობდა კითხვას. მან ძმას თვალებში ჩახედა „В спину я не буду стрелять. Нет.“^{xv}

მილიციონერი ძალით აიყვანეს იკარუსში. „Наступила зловещая тишина. Все смотрели на красный, весь в пробоинах „Икарус“ и чего-то ждали...“^{xvi}

ბუნებრივია, ომში ადამიანი ინდივიდუალურია. ავტორის ობიექტური ხედვაც მისასალმებელი. მას არ დაუმალავს ოსი და რუსი ეროვნების მარადიორების მიერ ცხინვალის მოსახლეობის დაყაჩალების ფაქტები. არც ქართველი მილიციონერის შიში და წუხილი უაზრო ომში სიკვდილის გამო. ეს ყო 90-იან წლების ცხინვალში ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ წევრების მიერ ანტიქართული მოძრაობის ერთ-ერთი შედეგი.

„აფხაზეთისგან განსხვავებით, 1989-92 წლებში ოსეთთან ომს ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა არ მოჰყოლია. შესაბამისად, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის ურთიერთობების ნორმალიზება უფრო სწრაფად დაიწყო. იმ დროისთვის, როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე განსაკუთრებულ სერიოზულ სამშვიდობო ინიციატივებს ადგილი არ ჰქონია და სეპარატისტული რესპუბლიკა ოფიციალურად ბლოკადაში იყო მოქცეული, ქართველებს და ოსებს შორის ყოფით დონეზე ყოველდღიური ურთიერთობები უკვე დარეგულირებული იყო.“^{xvii} ომმა, სადაც განუკითხაობა ბატონობდა, ძირფესვიანად შეცვალა მშვიდობიანი მოსახლეობის ცხოვრება. გააორა და რწმენა შეურყია თაობას, რომლის-თვისაც წარმოუდგენელი იყო ასეთი გათიშვა. არ ენახათ ომი, სისხლი, რბევა და ცეცხლი. ვერ გაარკვიეს, რა მოხდა, რატომ იქცნენ მტრებად ის ადამიანები, რომლებიც გუშინ გულში იკრავდნენ და ეფერებოდნენ. რატომ გაიმტეს მათი მამები და ძმები თანაკლასელების მამებმა და ძმებმა. გუშინდელი მოყვარე მტრად იქცა-გკლავს, გარბევს, გწვავს, მაგრამ მათ ხომ ყავთ მხსნელი. მეათე კლასელი ოსის გოგონა თავის ჩანახატში აღწერს იმ საშინელ დღეებს, როდესაც თავზე დაექცათ ყველაფერი. სარდაფუში თავშეფარებულები შიშით ძრნიან, არადა, რა კარგად უმზერდა ძმასთან ერთად ოლიმპიადას! ოცნებობდა მომავალ არდადეგებზე, სოფელში წასვლაზე, ბინის გარემონტებაზე, სასიამოვნო თავგადასავლებზე და, უცებ, სროლები, ხმაური, ცის გახსნა და ერთადერთი გზა გადარჩენისა- სასწრაფოდ დატოვონ ქალაქი!.. ახალგაზრდა გოგონას თავზარს სცემს ახალ-ახალი ცნობები: „Когда мы услышали, что агрессоры заняли наши посты, погибли наши парни, я потеряла сознание.“ გოგონას წარმოდგენაც კი არ შეუძლია იმისა, რომ მათ, ყველას დახოცავენ, რომ „Южная Осетия, будет принадлежать этим зверям, которые не щдили детей, стариков и беременных женщин.“ ეს არ მოხდება, რადგან რუსეთი განსაცდელში არ დატოვს თავის მოქალაქეებს! ერთადერთი სასიხარულო ცნობა, თუ შეიძლებოდა იმ მდგომარეობაში სიხარულად რამე ჩათვლილიყო, ისე იყო ცნობა რუსის ჯარის გამოჩენისა: „Росийские воиска уже здесь! Все стали радоваться б ктото плакал...“^{xviii}

მოვიდნენ ჩვენი მხსნელი რუსებით, ამბობს პატარა გოგონა, რადგან არ იცის, რომ სწორედ მათი „წყალობით“ ჩახედა სიკვდილს თვალებში, მათი მიზეზით დაკარგა უახლოესი მეგობრები და რწმენა, რომელიც, ვიმედოვნებ, ადრე თუ გვიან, სიმართლის შეცნობასთან ერთად, მაინც დაუბრუნდება.

რუსებმა, ცხინვალიდან, ჯავის მიმართულები გაიყვანეს მოსახლეობა. ბავშვებმა ყველა იარაღის სახელი ისნავლეს. ისხდნენ და საუბრობდნენ ომზე. ორი კვირის შემდეგ დაბრუნდნენ, დახვდათ დანგრეული ცხინვალი და შიში იმისა, თუ სად უნდა ეცხოვრათ. დასრულებული ომი არ

Боშнаვს მშვიდობას. დაბრუნებას არ მოაქვს სიმშვიდე: „Приехав я не почувствовала ничего: ни страха, ни боли, ни радости, что вернулас дамой. В моей душе было пусто, никаких чувств, ощущений.“^{xix}

მოდის პირველი სექტემბერი, ბუნებრივია უხარია თანაკლასელების ნახვა, ულოცავებ ერთ-მანეთს სიცოცხლეს, მაგრამ რატომდაც, პატარა გოგონა არაფერს წერს იმ ქართველ მეგობრებზე, რომლებიც მათ გვერდით უნდა მსხდარიყვნენ...

ქართველებისადმი მტრული განწყობითაა ეს წერილი გაქლენთილი. თუმცა, ბევრად უფრო ასაკოვანი ადამიანებიც ასე თვლიან და სჯერათ, რომ ქართველმა ერმა გენოციდი მოუწყო. ასეთი იყო მისი ცხოვრების ყველაზე უსაშინლესი ზაფხული, რომელიც ზოგისთვის უკანასკნელიც აღმოჩნდა. „Пуст все дети знают о войне только по книгам истории, а для тех, кто пережили эту войну, пусть вся последующая жизнь будет светлой и мирной.“^{xx}

ასეთი სურვილებით ასრულებს თავის წერილს მეათე კლასელი გოგონა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ქართველებზე საშიში მტერი, მათვის, არ არსებობს!

ომით მიღებულ სულიერ ტრამვაზე ლექსით გვესაუბრება მეცხრე კლასელი გოგონა ლიზა ტა-სოევა. მისთვის ასეთი საშინელება უცხოა. ინვის ქალაქი, ეჩვენება, რომ დედამიწა კანკალებს, დაუნდობელი ადამიანების ხელით იღუპებიან მისი თანამოქალაქები. მხოლოდ ერთადერთი იმედი რჩება-რუსები იხსნიან და აი, ისინიც გამოჩნდნენ: „Россия привыла на помощь Вздохнула родина-земля“.^{xxi}

რაოდენ მტკიცნეული მოსასმენიც არ უნდა იყოს, მაინც გვესმის ლექსიდან სიტყვა „ფაშისტი“. „Фашисты смились очень быстро и люди вышли из тьмы...“^{xxii} ომის ბინძური პოლიტიკის შედეგი სახეზეა: პატარა გოგონამ იცის, რომ ომია. მის ახლობლებს ავიწროებენ და კლავენ ქართველები! მაშრა სახელი მოუძებნოს, მან სხვა არაფერი იცის, პოლიტიკა მისთვის არაფერია! მან მხოლოდ ის იცის, რომ მისი რწმენა და სიმშვიდე ქართველების ხელით დასამარდა.

„ომი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემაა. ნებისმიერი დონის პოლიტიკის ყველაზე დიდი მარცხი გამოიხატება მის უუნარობაში, თავიდან აიცილოს სხვადასხვა ფორმის შეიარაღებული კონფლიქტი.“^{xxiii}

ვერ აიცილეს, უსისხლოდ ვერ მოგვარდა, ევროპეიზაციისკენ ლტოლვამ ვერ გაათავისუფლა ქვეყანა ომის აგონიისაგან. და ვინ ვართ ჩვენ, როგორ ავუსხნათ მეცხრე კლასელ გოგონას, რომ ომი ბინძური პოლიტიკის შედეგია და ჩვენ კი, ორივე მხარე, ამ ომით დაზარალებული, საზარბაზნე ხორცად გამოყენებული ადამიანები. „как много молодых погибло от рук жестокого врага..“^{xxiv} ბოლოს, ლანა მედეევას და ყველა იმ ადამიანების მსგავსად, ვინც მეტ-ნაკლებად განიცადა ომის საშინელება, ლიზასაც ერთადერთი სურვილი აქვს: „Дай Бог, чтоб больше никогда не повторилась та война.“^{xxv}

„პირველი ადამიანი, რომელმაც შემოლობა მინის ნაკვეთი, გონებაში ჩაიბეჭდა რომ ეს მისია და იპოვა ადამიანები, რომელებიც იმდენად სულელები აღმოჩნდნენ, რომ ეს დაიჯერეს, იყო სამოქალაქო საზოგადოების ჭეშმარიტი ფუძემდებელი. რამდენ დანაშაულს, ომს, მკვლელობასა და საშინელებას ასცდებოდა კაცობრიობა, ვინმეს რომ დაეყვირა: ნუ უსმენთ ამ მატყუარას, ინა-ნებთ, თუ დაივიწყებთ, რომ ნაყოფი ყველასია, ხოლო მინა – საერთო.“^{xxvi} ოსი ავტორების შემოქმედების გაცნობისას, რომელიც ომის თემატიკაზე შექმნილი, ჩნდება სურვილი, ხმამაღლა იყვირო – არ შეცდეთ! ჩვენ არ ვართ ფაშისტები! ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან! – რწმენა, ენა, რომელიც მშობლიურივით გქონდათ გათავისებული, მინა, რომელზეც თქვენი არსებობით არავინ შეწუხებულა, შვილები, რომლებიც ოსთა და ქართველთა შეუღლების ნაყოფს წარმოადგენენ და მაშ, რაღა გვქონია გასაყოფი?! ხელისუფლების მხრიდან გონიერებისა და დიპლომატიის დეფიციტმა ჩაამტკვრია ის ხიდი, რომელზეც ჩვენ, უბრალო ადამიანები, ერთმანეთს ვხვდებოდით, ჭირსა და ლხინს ვაზიარებდით და ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ მესამე ძალის ჩარევით მოსისხლე მტრებად გადავიქცეოდით!..

„Любимый мой город“ ასე ენდოდება 2008 წლის 15 აგვისტოს დაწერილ ალ. ჩეხოვის ლექსს, რომელზეც წამდლვარებულია, რომ ეძღვნება 2008 წელს ქართველი სამხედროებისაგან დან-

გრეულ ცხინვალს. ავტორი დასტირის ჩექმით გათელილი ქალაქის სილამაზეს, დაცარიელებულ უბნებს, ხელყოფილ სკოლებს, სულს...და აქაც დ ერთადერთი მხსნელი რუსეთია: „Мой бедный город, не в боге ли сила ?что было б с тобой ,не позвав он Россию?“^{xxvii}

ბუნებრივია, ტკიოდეს მშობლიური ქალაქი, მადლიერი იყოს იმ ერისა, რომელმაც იხსნა და დაიცვა „აგრესორი ქართველებისაგან“, მაგრამ ვისი მიზეზით გახდა ქალაქი და მისი მოსახლეობა დასაცავი, ამას ობიექტურად უნდა აფასებდეს მოაზროვნე ზრდასრული. „ოსები საქართველოში, შიდა ქართლში XVII საუკუნის შემდეგ იწყებენ დამკვიდრებას. ისიც როგორც მაჩაბლის უუფლებო ყმები, რომელთაც არც არაფერი ეკუთხნოდათ და არც არაფრის უფლება არ ჰქონდათ და არც არაფერი ეკითხებოდათ, სანამ ბატონის გაუქმდებოდა, ე. ი. XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. შემდეგ კი თანდათან ფეხი აიდგეს, მომრავლდნენ და ძალადობასაც მიმართეს.

სისხლით მოირწყა იმ შიდა ქართლის სანახები, ბოლშევიკებმა რომ სამხრეთ ოსეთად მონათლეს... ჯაყომ იმძლავრა ოდითგან ქართველებით დასახლებულ მინაზე...^{xxviii}

„И землю залитую кровью от нелюдей освободим.“^{xxix} ამ სიტყვების ავტორი დავით გაზაათია. მასაც ანუხებს ცეცხლში გახვეული ქალაქი, ტყვიით განგმირული მოხუცები და ბავშვები. ოს ახალგაზრდებს ისევ იარაღით უწევთ თავისუფლების დაცვა...მაგრამ ყურადღებას იქცევს სიტყვები, რომელშიც, სხვა ავტორებისგან განსხვავებით, ერთ კონკრეტულ პიროვნებას ადებს ბრალს და აკისრებს პასუხისმგებლობას მასზე, რა უბედურებაც მის ოცნების ქალაქს დაატყდა: „И снова во власти грузинской фашистской падонок сидит.“^{xxx}

ქართველებთან თანაცხოვრების მშვიდობიან ურთიერთობაზე ტკივილით იწყება ლექსი „Недоврие соседи“, რომელიც თენგიზ დოგუზოვს ეკუთვნის. მერე შავმა კატამ გადაირბინა და გათიშვა ყველაფერი. ახლაც კი ესმის მათი გოდების ხმები. იწყება მუქარა, ხელის განვდენაზეა უბედურება, მაგრამ ერთხელ თუ გაიღვიძა ნათების სისხლმა, მერე ვერაფერი უშველით მათ!... „Не сыпьте на рану мне соль злые соседи!“^{xxxii} დასკვნა ასეთია: „В синем океане не бивают счастливыми злом груженых кораблей пути.“^{xxxiii}

იმედი მაქვს, დრო მოვა, ჩვენ შევძლებთ ისევ მეგობრული ურთიერთობების დამყარებას და თუ ჯერ კიდევ არა, მაშინ ნამდვილად დაერქმევა ყველაფერს თავისი სახელი. ჩვენ, მოაზროვნე ადამიანებს, მეტი მოვალეობა გვაკისრია ერის წინაშე. როცა ტრიბუნა შენია, საჭირო კი არა, აუცილებელია ობიექტურად შეაფასო მოვლენები, რათა შენდაუნებურად, ხელისშემწყობი არ აღმოჩნდე გათიშვისა და სიძულვილისა. შემოქმედის მოვალეობა ხომ სიყვარულის თესლის გაღვივებაა!.. როგორი სისასტიკით სავსეა, ლანა ძუკაევას ლექსი „Мой Иристон“. ან რა გასაკვირია, ლექსი 2009 წელშია გამოქვეყნებული და, როგორც ჩანს, დაწერილი ომის პერიოდშია. ეს ხომ გადახსნილი ჭრილობიდან სისხლდენის პერიოდია. გესმით ადამიანებო გლოვის ხმა?! ეს ოსეთიდან მოდის!... დიდი უბედურება შემოქრა ჩვენს სახლებში, ძარცვავენ და წვავენ ჩვენს სახლებს! ჩვენ არავის სახლში არ შევჭრილვართ, ჩვენ ვიცავდით მოხუცებს და ბავშვებს ფაშისტი მტრისა-გან....გესმით დედების მოთქმა? ისინი დაკარგულ შვილებს ტირიან: „Их истердали до смерти грузины, только за то что они и осетины.“^{xxxiv}

„საქართველოს არ შემოუერთებია სხვისი მიწები. არ მოუნათლავს უცხოელები თავის რჯულზე. არ გაუჭრია ფანჯარა ევროპასა და აზიაში, არ უსწავლებია სხვა ქვეყნის ხალხებისათვის ქართულად ლაპარაკი. არც ცდილა სხვა მინა-წყლის ხალხების სიმდიდრე მიეთვისებინა“^{xxxv} თავისთავად, ადამიანებს გვიჭირს, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ, რადგან ჩვენივე ანარეკლი გვაშინებს!...ნარსულს არდავიწყება კი არა, გაანალიზება სჭირდება, გადაფასება სჭირდება და მერე, ასეთი სახით უნდა გადავცეთ შვილებს. არ უნდა დაგვავიწყდეს იმისი თქმა, რაში ვიყავით მართლები და რაში-დამნაშავენი. უნდა შევძლოთ, ვაღიაროთ ჩვენი სისუსტეები (არ აქვს მნიშვნელობა, ხელისუფალმა შესცოდა თუ უბრალო ადამიანმა), რატომ არ გვინდა, მეორე მხრიდან, აღიარება იმისა, რომ ოსმა სეპარატისტებმა, რომელთაც ზურგს რუსი სამხედროები უმაგრებდნენ,

ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს-მიუხედავად ქართველთა მხრიდან გაფრთხილებებისა, რამდენიმე დღეს სროლა არ შეწყვიტეს და ამგვარი ქმედებით ქართული მხარის გაღიზიანება გამოიწვიეს. „პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოსებს მშვიდობის სანაცვლოდ ფართორავტონომიარშესთავაზა, რაც ოსებმა უარყვეს, ვინაიდან მათი გაცხადებული სურვილი სრული დამოუკიდებლობა იყო.“^{xxxv} ამ ქმედებით, თავისივე ხალხი გასწირეს დასაღუპად! თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პასუხისმგებლობა, ყოველივე ამაზე, პრეზიდენტ სააკაშვილს ეკისრება.

ქართველების სიტცვილზე წერს ედვარდ ვართანოვა, რომელიც დიდ დანაშაულად თვლის, გენოციდი მოუწყო მეზობელ ხალხს. მშვიდ სიზმრებში გახვეულმა ქალაქმა არაფერი იცოდა სააკაშვილის გადაწყვეტილების შესახებ, რომ ცხინვალი მიწასთან უნდა გაესწორებიათ. მან დააპირა, კომბლით დაეწერა ისტორია. რატომ დაივიწყეთ „გეორგიევსკის ტრაქტატი“, თქვენ ხომ რუსეთმა გადაგარჩინათ გენოციდს! მე არ მცნობიან ქართველები:

„А Сакартвело я не узнаю:

казалось мне- она страна поэтов,

Где славят в песнях Родину свою

И пьют вино за всех людей планеты.“^{xxxvi}

ეს სიტყვები ომგადატანილი ქალაქის ერთ-ერთ თვითმხილველ პოეტს ეკუთვნის და, დაუ, ეჩვენებოდეს, რომ საქართველო ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც ეგონა! მაგრამ ესეც იცოდნენ, (თვითმხილველი ვარ) რომ საქართველოში, განსაკუთრებით გორში, მშვიდობის სადღეგრძელოს ცრემლიანი თვალებით სვამენ ცხინვალიდან ლტოლვილი ქართველი ბიჭები... როგორ ფიქრობთ, მხოლოდ დაკარგული სახლ-კარი და დაფანტული ახლობლები ინვევენ მათში მსგავს ემოციებს?! ისინი ოს მეგობრებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან, თანაკლასელებთან და თუნდაც ოჯახის ოსი ეროვნების წევრებთან არეულ ურთიერთობას ვერ ეგუებიან. ნოსტალგია აქვთ იმ თბილი დაძმური ურთიერთობისა, რომელიც ბროლივით დაამსხვრია, მხოლოდ და მხოლოდ, პოლიტიკამ!

საუკუნეების მანძილზე სხვათა წარმატებისთვის იბრძოდნენ ალანები, თუმცა ბრძოლა და გმირობა მათგან ისწავლეს გერმანელებმა, სკანდინავიელებმა. მათ დროშას ჩირქი არასოდეს არ მოსცხებია, მაგრამ სამწუხაროდ, სულ ტყუილად, სხვათა სასარგებლოდ იხარჯებოდა მათი ძალა. მხოლოდ და მხოლოდ კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ წარიმართა მათი ძალები საკუთარი მყოფადობისთვის. „Но слишком уж разнились силы-их сохранил седой Кавказ.“^{xxxvii}

ასეთი შინაარსი დევს მერაბ ზასსეტის ლექსში „Кто мы?“.

წინაპრების სახელის წართმევა, რათა კავშირი გაწყვეტილიყო წარსულთან. ისტორიის შეცვლა და ცარიელი ფურცლიდან არსებობის დაწყება-ათ კიდევ ერთი ბრალდება, რაც ამ ლექსში ქართველების მიმართაა გაუღერებული. და კიდევ: „Коварства полные грузины скамней стесали письмена, явились миру осетины еще народ но не страна.“^{xxxviii} ველურებად გვცნეს და ეცადნენ ამაყი სულის ჩაკვლას, მაგრამ ჩვენში ალანების სისხლი ჩქეფს, ჩვენ ისევ დავმკვიდრდებით. ჩვენს სათქმელს დრო იტყვის. მიუხედავად ვერაგული გეგმებისა ჩვენ მაინც ვიარსებებთ... საინტერესოა ის ფაქტი, რომ საუკუნეების მანძილზე სხვათა დიდებისთვის ბრძოლებში დაღლილი ხალხი, სულიერ და ფიზიკურ სიმშვიდეს მხოლოდ კავკასიაში დამკვიდრების შემდგომ პპოვებს. მხოლოდ აქ არავინ სთხოვს დ იბრძოლონ მათთვის და საკუთარი სახე დაკარგონ...

მერაბ ზასსეტი, მეორე ლექსში „Ангелы Бессмертия“, რომელიც 2008 წლის 10 აგვისტოსაა დაწერილი, ოსი ახალგაზრდის თავგანწირვაზე მოგვითხრობს. ცხინვალი ცეცხლშია გახვეული, ერთადერთი მხსნელი წესტიანი სარდაფებია. ავტორი ხედავს ყმანვილს, რომელიც თვალანთებული მიაბიჯებს ქუჩაში. მას არც გაბოროტება ემჩნევა და არც აგრესია. ტანკებქვეშ ძლების მსხვრევის ხმა ისმის, ის კი უშიშრად მიაბიჯებს: „И встал он весстрашный, как ангел бессмертья,/ во всю свою юную стать, / кричали ему, что он молод для смерти,-/ рыдала вотчаяаянье мать.“^{xxxix}

ასე დაეცა ეს გუშინდელი მოსწავლე მამაცური სიკვდილით და რამდენი ასეთი ახალგაზრდა ძლიერი ალანური სისხლისა. ღმერთო, აცხომე დაღუპული ბიჭების სული, დრომოვა, ისევ განათდება ცხინვალის ცა: „Грянет свобода и сбудутся слёзы Вздохёт над Цхинвалом заря Розы взойдёт на могилах как слёзы Ов ангелах память храня..“^{xli}

უდიდესი ტკივილი იგრძნობა თითოეულ სიტყვაში, სტროფში...მართლაც უსაზღვროა მნუხარება ყოველივე იმის გამო, რაც ჩვენს შორის, მესამე ძალის ჩარევით მოხდა. ის უბრალო ადამიანები, რომლებმაც ჩვენი ძმობა და კეთილგანწყობა ასგზის გამოიყენეს, თვლიან და ფაქტებს ვერ გავექცევით, ჩვენივე ხელით დაეცნენ. ბევრად უფრო სამწუხარო კი კიდევ ისაა, რომ მიზეზი არავის აინტერესებს!... ვერ ხედავენ, ან არ უნდათ დაინახონ ის ხელი, რომელმაც სისხლისლვრისკენ უბიძგა. ფაქტობრივად, ამ განსაცდელისთვის გაიმეტა ისინი!.. ამ ხელს, ისინი, ხედავენ მხოლოდ, როგორც მხსნელს და ესაა, უდიდეს ტკივილთან ერთად, ასეთ თანაგრძნობით სავსე გაოცებას რომ იწვევს ჩვენში. „Он обещал мне вернуться..“ ასე ეწოდება ალენა დოგუზოვას ლირიკული ხასიათის ლექსს, რომელიც არდაბრუნების სინაულითაა სავსე (ლექსი დაწერილია 2008 წლის რვა აგვისტოს.). ბრძოლის ველზე დაცემულს მკერდის ნატყვიარიდან მოსჩქებს სისხლი. გარკვეული და გარდაუვალია სიკვდილი. ტყვიები სტვენა-სტვენით ცელავენ და ამცირებენ მეგობართა რიგებს. ახალგაზრდაა, მაგრამ იცის, მომავალი თაობების ბედნიერებისთვისაა საჭირო ეს სიკვდილი. წუხილი იმის გამო, რომ ვერ შეასრულა დაბრუნების პირობა:

„Я обещал тебе вернуться...
Ты верила и так ждала,
Писала мне, молила бога...
А я не смог... прости меня!...“^{xlii}

ვფიქრობ, ამ უსაშველო ტკივილთან, ყველა სიტყვა უძლურია...

ამავე ავტორის ასეთივე პატარა, უსათაურო ლექსშიც ცხინვალზე და მისთვის თავგანწირულ ადამიანებზეა საუბარი. თებერვალშიც კი, თუ როგორ ყვავიან ხეები. აქ, თავისუფალ მინაში, ალანებთან და სკვითებთან ერთად სძინავთ გასული საუკუნეების ლეგენდებსა და ზღაპრებს. მაგრამ არ თვლემს ქვრივებისა და ობლების სიფხიზლე!...მე ვყვირი ხმამაღლა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ჯერ კიდევ არ მოვქცეულვარ გრანიტის ქვეშ! „Я с тобою Цхинвал, я такой не один,-В каждом русском живет его врат-осетин!...“^{xlii}

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნით რუსეთს ყოველთვის შეეძლო ზეწოლა მოეხდინა საქართველოზე, რამაც შესანიშნავად გაამართლა 70 წლის შემდეგაც კი – დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში. რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერით ოსმა სეპარატისტებმა შუაგულ საქართველოში, შიდა ქართლში გამოაცხადეს „სამხრეთ ოსეთის დამოუ- კიდე-ბელი, სუვერენული რესპუბლიკა.“ ოსი ხალხისათვის საკმაოდ დიდმა, ჯანსაღმა ნაწილმა მაშინე იგრძნო და დაგმო ერთი მუჭა თის სეპარატისტების ყოვლად უაზრო და დაუფიქრებელი მოქმედება. საქვეყნოდ ცნობილმა ოსმა მეცნიერმა ვ. აბაევმა, რომელიც მოსკოვი მოღვაწეობდა, გამოაქვეყნა სტატია „სამხრეთ ოსეთის ტრაგედია“ მან ისტორიულ რეალობებზე დაყრდნობით ობიექტურად შეაფასა 1990-იანი წლების დასაწყისში „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე პროცესები. იგი აღნიშნავდა: „მინდა ვიყო თბიექტური და გავარკვიო, იყო თუ არა ოსების მხრიდან რაიმე ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედებები, რომლებმაც პროვოკაციის მოწყობით გაამნვავეს დაპირისპირება და უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი მოქმედებები იყო. მხედველობაში მაქვს სუვერენიტეტის გამოცხადება, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო მოსკოვზე, პერსპექტივაში სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებით. სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავის ჩრდილოელი თვისტორმებისაკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი დ

ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის, და ამ საზღვრის მოშლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ორ ხალხს შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავამთავროთ საუბარი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყის შესახებ. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამას არასოდეს შეურიგდება და მართალიც იქნება“. მისივე აზრით, სამხრეთ ოსეთი უნდა განთავისუფლდეს ბუტაფორული „სუვერენიტეტისაგან“.^{xliii}

ასეთია ოსი ეროვნების მოაზროვნეთა უმეტესი ნაწილის შეხედულება ქართულ-ოსური კონფლიქტების ნარმოშობ მიზეზთა შესახებ. თუმცა, ოსურ ლიტერატურაში, სამწუხაროდ, მსგავსს ვერაფერს ვკითხულობთ. მერაბ ზასსეტის ლექსი „В добрый путь“, რომელიც 2009 წლის 29 დეკემბერსაა დაწერილი, მთლიანად რუსეთისადმი და კერძოდ მედვედევისადმი დიდ სამადლობელს წარმოადგენს:

„Это он совершил исторический шаг,

Он расширил России влияние.

преподал он урок и развит лживий враг,

Он же вечность обрел за признание!“^{xliv}

დამეთანხმებით, რომ თემა, რომელსაც ჩვენ ვეხებით, აქტუალობასთან ერთად ტკივილის დიდ დოზას შეიცავს. ამიტომ მეტად დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ შემრიგებული პოლიტიკის ნაცვლად, ჩვენდაუნებურად, გამაღიზიანებლის როლი არ ვითამაშოთ, მაგრამ ქართველი ხალხის დადანაშაულება ოსების გენოციდში, გვაიძულებს 1992 წელი შევახსენოთ ჩვენს ავტორებს, როცა პრიგოროდნში ინგუშების სასაკლაო მოენყო. „1992 წლის ინგუში ხალხის გენოციდის შედეგად, რომელიც ოსურმა ბანდფორმირებებმა, კერძოდ კი ეროვნულმა გვარდიამ და სახალხო რაზმელებმა მოაწყვეს, დაიღუპა 400-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, დაახლოებით 200-მდე დღესაც უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება, დაინგრა ინგუშების 4 ათასამდე საცხოვრებელი სახლი, 60 ათასამდე ინგუში ეროვნების ადამიანი გაძევებული იქნა თავის ისტორიული სამშობლოდან, ხოლო მათი ქონება დაიტაცეს რუს ჯარისკაცებს ამოფარებულმა ოსმა მარადიორებმა.“^{xlv}

რაც მაშინ ოსმა სეპარატისტებმა რუსების დახმარებით ინგუშებს მოუწყეს, იგივე ქართველებსაც შეეძლოთ გაეკეთებიათ, მაგრამ მათ უყოფმანოდ დაუთმეს ინგუშებს ის ტერიტორიები, რომელიც 1944 წელს, სტალინმა მათ იძულებით დაატოვებია. „ინგუშების გენოციდში მონაწილეობდა 38 ათასიანი ოსური შეიარაღებული ძალები – „გვარდია“ (მათ შორის 6 ათასი ე. წ. „სამხრეთ ოსეთიდან“) როგორც საქართველოში – სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, – საბრძოლო ოპერაციებს ატარებენ. წ. „რუსი სამშვიდობოები“ ხოლო მათ უკან მიჰყვებოდნენ ოსი „ბოევიკები“ – რომლებიც უიარაღო ადამიანებს ხვრეტდნენ.“^{xvi}

ყოველივე ეს, იმისთვის, რომ ისტორია არ დაგვავიწყდეს...

გასულ საუკუნეებში კავკასიაში მოგზაურობდა საფრანგეთის „დიდი ერის“ შვილი უფროსი ალექსანდრე დიუმა, რომელსაც უნახავს კავკასიის კალთებზე მობინადრე ოსები და ასე დაუხასიათებია ისინი: „ოსები, რომლებიც ბინადრობენ საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად აკეთებენ ბევრ ფულს მაგრამ არიან მფლანგველები მოთამაშენი და ლოთები, ამიტომ ყოველთვის ცუდად აცვიათ, ან, უფრორე, სულაც არ აცვიათ. ისინი მიწურებში, დანგრეულ კოშკებში ცხოვრობენ და მთელ თავიანთ შემოსავალს ხარჯავენ თამბაქოსა და არაყზე. ძნელია მათ შორის მდიდრისა და ღარიბის გარჩევა, რადგან ყველას ერთნაირად ცუდად აცვიათ. ოსები, როგორც ინგუშები თამარ მეფის დროს ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ დღეს თვითონაც არ იციან რა რწმენისანი არიან. მთელ დედამიწაზე ოკეანისა და შიდა აფრიკის წარმართებს შორისაც ვერ იპოვნი ველური იდეების და გაუგებარი რწმენის ასეთ ნაზავს.“^{xvii}

XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. მგალობლიშვილი იგონებს: „ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზ-ნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა... ოსები მთა-ტყეებში ცხოვრობდნენ; სახნავ-სათესი არ ჰქონდათ... ოსების ნაწილი ქურდობა-ავაზაკობას მისდევდა... დაირღვა მყუდროება სოფლისა, ლექს მორჩნენ და ოსებმა უარესი დღე დაყენეს“^{xlviii}

ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად რუსი გენერლები გადაუდებელ საჭიროებად თვლიდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. გენერალი ტორმოსოვი 1809 წელს ავაზაკობისათვის ხუთ ოსს უსჯის სიკვდილს ჩამოხრჩობით. უფრო მოგვიანებით, 1824 წელს გენერალი ხონევი უპატაკებს გენერალ ერმოლოვს: „იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლე-ჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მივცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცვე-ლებისაგან ან იარაღით, ისე როგორც კახეთის მცხოვრები იცავენ თავს ლეკებისაგან. ამიტომ ქარ-თველს მძარცველის მკვლელობისათვის კანონის წესით დევნას ნუ დავუწყებთ. ჩავაგონოთ როგორც მემამულებს, ასევე ქართლის მცხოვრებლებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოროტ-მოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის. ქართველები მხოლოდ ვალდებული გავხადოთ ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, კერძოდ, რომ ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმისა თუ ძარცვის დროს.“^{xlix}

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით და ასევე, ოსი ეროვნების ავტორის გადმოცემით, ოსები მხოლოდ კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ გრძნობენ თავს მყარად და დაცულად. საბოლოოდაც აქ მკვიდრდებიან. გადის დრო და, პოლიტიკურ დაფაზე არასასურველ სვლებს აკეთებენ როგორც ოსი სეპარატისტები, ასევე ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი. და აი, შედეგიც! თავზარდაცემული ადამია-ნები – იქით ოსები და აქეთ ქართველები. „ო, ღმერთო, რისთვის?! დასგზის დაისმის კითხვა და დღემდე, ჭრილობა გახსნილი ადამიანები თვლიან, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა! მაგრამ ეს ასე არაა... ამა თუ იმ ერის შემადგენელი ნაწილის 90 პროცენტი, უბრალო ადამიანები არიან. ადამიანები, რომელთაც ბრალი არაფერში მიუძღვით და დღემდე ტკივილით და სინაულით უმზერენ ჩატეხილ ხიდს და ოცნებობენ იმ დღეზე როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ურთიერთობები აღსდგება.

„ПРОСТИ МЕНЯ, ЦХИНВАЛ!“ – ასეთი სათაური აქვს ოსი უურნალისტის, ნატალია ძუკა-ევას ჩანახატს, რომელიც, როგორც თვითმხილველი, ომის რეალურ სურათს გადმოგვცემს.

ავტორი თანმიმდევრულად, მხატვრულად აღწერს და თუ რა ხდებოდა ცხინვალში ომის და-წყების პირველი დღიდანვე. ჩანახატში არ ჩანს აგრესით და სიძულვილით აღსავს ადამიანის სახე, თუმცა ყოველი ფრაზა უსაზღვრო ტკივილითაა გაუქცენთილი. რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით იგი უამრავი თავისი თანამემამულის სათქმელს ამბობს და წუხს იმის გამო, რაც მოხდა. მივყვეთ მო-ნათხობს. ავტორი იწყებს იმით, რომ თითქმის დიდი ხნის მანძილზე იყო მცდელობები დაპი-რისპირებებისა. ყოველივე ეს, წლების განმავლობაში, უარყოფითად ილექტორდა და ბუნებრივია, თავის კვალს თოვდა. პოლიტიკის წყალობით დაიძაბა და აირია ურთიერთობები. ცხინვალში, რა-ტომდაც, ომის დაწყებისთანავე ყველა ასე ფიქრობდა-ქართველები შემოვიდოდნენ თუ არა, ქა-ლაქში ყველა და ყველაფერი აღიგვებოდა.. და მერე აუცილებლად აღიმართებოდა ოსების განად-გურების მაუწყებელი დროშა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ოსები ასე თავგანწირვით იბრძოდნენ. ქალაქი იბრძოდა თითოეული სახლისთვის, თითოეული ქუჩისთვის, შვილებისა და შვილიშვილების გადასარჩენად. ფიქრითაც არ ეთმობოდათ ქალაქი!... ამით შეიძლება აიხსნას ქართველი ჯარის დამარცხება. ომის დასაწყისში უპირატესობა ქართველებს ჰქონდათ. დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ყველა დამცველი დატოვებდა ცხინვალს, ბავშვები და ქალები კი ნინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. მაგრამ ჩეარა დარწმუნდნენ, რომ საქმე ასე არ იყო. ოსი მოხალისეები მთელს ქალაქში განლაგდნენ და დაიწყეს ქართული ჯარის ბლოკირება. პირველი შეტევა კავკასიის სხვადასხვა მოხალისეების დახმარებით მოიგერიეს. მერე ითქვა, რომ ცხინვალში 70,000 ჯარისკაცი და რეზერ-ვისტი შემოვიდა. ერთმა იხუმრა-რა არასტუმართმოყვარული ფაქტია, ამდენი „სტუმარი“ სად უნდა დავტიოთო?!

მეორემ კი-ჩვენ ისე ცოტანი ვართ, რომ ჩვენი მხრიდან სროლა თუ შეწყდა, ჩათ-

ვალეთ, აღარ ვარსებობთო... ბუნკერში მყოფი ქალები ათას საშინელებებს ყვებოდნენ ქართველებზე. ყველა პანიკამ მოიცვა. რუსის ჯარი 24 საათის შემდეგ მოვიდა. მანამდე ქალაქი დამოუკიდებლად იცავდა თავს.

ავტორი, რომელიც ამ ომში უურნალისტურ მისიას ასრულებდა, წერს, რომ იმისმა წარმოდგენამაც კი, რომ მათი ქალაქი და მიწები სხვებს დარჩებოდათ, ცუდად გახადა. წინაპრებისა შერცხვა, ისინი ხომ გოჯ მინასაც კი თავგანწირვით იცავდნენ! (?)

დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ აქ, ამ ომში, ისინი წინაპრების მიწის დაცვას ცდილობდნენ!... ვინც არ უნდა იყო და სადაც არ უნდა ცხოვრობდე, მოვალე ხარ მტერს წინააღმდეგობა გაუწიო, დაიცვა შენი ოჯახი, სახლი, უფლება-ცხოვრობდე მშვიდობიან ქვეყანაში... მაგრამ მან, ვინც სამწერლო ტრიბუნიდან ესაუბრება სამწყსოს, სულ მცირე, ის მაინც უნდა იცოდეს, რომ „1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა 3832 კაცი, აქედან: 1135 – ქართველი, 1953 – ებრაელი და 744 – სომები. 1886 წელს არცერთს ცხინვალში არ უცხოვრია.“ⁱⁱ საინტერესოა, ვის კუთვნილებას მეტად წარმოადგენდა მინა, რომელზეც დღევანდელი მდგომარეობით რუსეთი მეტ უფლებას და პრეტენზიას ფლობს, ვიდრე ოსები, ან ქართველები?! 6. ძუკაევსა მონათხოვით რამდენიმე წლის წინ, ცხინვალის ქუჩაში მოზარდი ბიჭების ჩხუბს შეესწრო. დაინტერესდნენ, რა იყო ჩხუბის მიზეზი. ერთ-ერთი მათგანი ტიროდა: „Он называл меня грузином!“ – გასაოცარია, რატომ იყო ეს შეურაცხმყოფელი, როცა ეს ბიჭი ნამდვილად იყო ქართველი?! კი, ნამდვილად იყო ქართველი გვარ-სახელით, მაგრამ მან იცოდა, რომ ეს სიტყვა ასოცირდებოდა მტერთან და ფაშისტთან. რაღა უნდა ყოფილიყო ამაზე უარესი! „И, если подобное отношение к грузии и грузинам было у подрастающего поколения еще до августовских событий, то что говорит о сегодняшнем положении дел? Обвинять в этом старших, неправильно воспитывающих своих детей, вряд ли уместно.“ⁱⁱ

მხოლოდ სამად სამმა დღემ გათელა მისი ბავშვობის ნაფეხურები ცხინვალში. აუტანელი გახდა ქალაქის მტკივნეული თვალები... როცა ცხინვალში რუსების 58-ე არმია შემოვიდა, ქართველები „გმირულად“ გარბოდნენ. და არა მარტო ცხინვალიდან-თვითმხილველების ცნობით დედაქალაქიდანაც ბევრი ემზადებოდა გასაფრენად. ქართველების ჯარი ხუსლასავით დაიშალა. ქალაქი აღარ არსებობდა!.. „мне хотелось опуститься на колени, охватив город и тихо прошептать: „Прости меня, мой Цхинвал!“ⁱⁱⁱ რისთვის? ეჭვი მეპარება, ამ კითხვას ოდესმე ვუპასუხო!.. როცა ხედავ საცოდავ კოჭლს, გული გეწვის და ვერ შველი, დამნაშავე არ ხარ, მაგრამ თავს მაინც იდანაშაულებ. თუ ადამიანს აქვს სული, აუცილებლად ეტკინება. არსებობს მუდმივი სულიერი ტკივილი, რომელიც მუდმივია. „У моей боли есть короткое имя – Цхинвал.“ⁱⁱⁱ

ესაა კიდევ ერთი თვითმხილველის მიერ დანახული ქართველების მიერ „გამეტებული“ ქალაქი!.. ქალაქი, სადაც თითქოს, მხოლოდ ოსი ეროვნების მოქალაქეები დაეცნენ! ქალაქი, რომელზეც საქართველომ ომი „გამოუცხადა“ და რუსეთმა „იხსნა“. ნელია, როცა არ იცი, შემრიგებლური პოლიტიკის მექანიზმი, მტრად ქცეული ერის რომელი ფენიდან აამოქმედო! ამდენად, 90-იანი წლების ბოლოს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა. ყოველივე ამან თავისი კვალი დატოვა როგორც პოლიტიკურ, ასევე ლიტერატურულ სივრცეში. მწერლობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართველი ხალხის ბრძოლა, როგორც ეროვნული თავისუფლებისათვის, ასევე ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. სულიერმა წნებმა და ტრაგიკულმა შედეგმა ასახვა პპოვა ქართულ ლიტერატურაში, რომელიც კოლონიალური სივრცის იდეოლოგიური წნებიდან მიმდინარე პროცესების ფონზე სხვა განზომილებაში აღმოჩნდა.

ჩნდება კითხვა, რა ხდებოდა ამ დროს ოსურ, თუნდაც აფხაზურ ლიტერატურაში? რა შეფასებას აძლევდნენ მომხდარს, ვის ადანაშაულებდნენ, რა პოზიციას ინარჩუნებდა იმ ერთა მოაზროვნე ფენა, რომელებიც თვლიდნენ, რომ საქართველომ ისინი გაიმეტა და გენოციდი მოუყო? ვფიქრობთ, სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემით კიდევ უფრო საინტერესო იქნება თემა, რომელიც ქართულ, ოსურ და აფხაზურ ლიტერატურას დროის ერთ მონაკვეთში წარმოაჩენს. ამგვარად, ისტორიის ამ მონაკვეთა, რომელმაც ეროვნული დეპრესია გამოიწვია, სამი ერის სხადასხვაგვარი შეხედულებებით დატვირთული და, ამავდროულად, მეტად საინტერესო ლიტე-

რატურა შემოგვთავაზა. ამ ეტაპზე, შეძლებისდაგვარად ვეცადეთ, ოსური ლიტერატურის ის ნიმუშები გაგვეშუქებინა, სადაც მათი თვალით დანახული 2008 წლის ომის სურათი, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგებია გადმოცემული.

ლიტერატურა:

1. კანონთა ომი <https://www.militarium.org/>
2. ოთადე ა. „ოსები საქართველოში“ <http://www.bu.org.ge>
3. იქვე.
4. კონფლიქტები საქართველოში [<http://conflictcaucasus.blogspot.com>
5. 2008 წლის აგვისტოს ომი <http://teushateo.blogspot.com/>
6. გელაშვილი ნ. „პირველი ორი წელი და ყველა სხვა“ თბილისი, 2009, გვ. 372.
7. კონფლიქტები საქართველოში [<http://conflictcaucasus.blogspot.com>
8. ტადთაევ – კარაბინ თ. თ. - ბიблиოთეკა ჟურნალი "Алла Чечёва" [<http://biblio.darialonline.ru>
9. იქვე
10. ტადთაევ თ. „Отступник“. [http://ugo-osetia.ru/8_123+124.htm]
11. იქვე.
12. იქვე.
13. იქვე.
14. იქვე.
15. იქვე.
16. იქვე.
17. (გადატრიალებების ტექნოლოგია საქართველოში. <http://simartle.altervista.org/userfiles/media>
- Медеева Л. „как я провела лето“ „Южная Осетия“ N101, республиканская овощевенно- политическая газета [25.10.2008]
18. იქვე.
19. იქვე.
20. Тасоева Л. „Война“, „Южная Осетия“ N15, республиканская овощевенно-политическая газета [21. 02.2009] <http://ugo-osetia.ru>
21. იქვე.
22. [უან-უაკ რუსო. <http://intermedia.ge>]
23. Чехов Ал. „Любимый мой город“ Южная Осетия“ N82, республиканская овощевенно-политическая газета [27.08.2008] <http://ugo-osetia.ru>
24. ოსების-ისტორია-ნანილი <https://rezoshatakishvili.wordpress.com>
25. Газаати Д. - стихи о Осетии молодых осетинских поэтов, 10.08.2008, [www. vk.com](http://www.vk.com)]
26. იქვე.
27. Догузов Т. „Недобрые соседи“ www.rospisatel.ru]
28. იქვე.
29. Дзукаева Л. „Мой Ирыстон“, „Южная Осетия“ N18, республиканская овощевенно-политическая газета [04.03.2009] [<http://ugo-osetia.ru>]
30. სონდულაზილი ა. ოსების ჩამოსახლება საქართველოში და მათი განსახლების არეალი iberiana.wordpress.com
31. რუსეთ-საქართველოს ომი – 2008 <https://ka.wikipedia.org>
32. Вартанов Е. „Схинвал“, „Южная Осетия“ N79 12 06 2011] <http://ugo-osetia.ru>
33. Зассеты М. „Кто Мы?“, „Южная Осетия“ N67, республиканская овощевенно-политическая газета [14 06 2011] <http://ugo-osetia.ru>
34. იქვე.
35. Зассеты М. „Ангелы бессмертия“, „Южная Осетия“ N90, 06.08.2011] <http://ugo-osetia.ru>
36. იქვე.
37. Догузова А. „Я умирал на поле боя“ „Южная Осетия“ N97, ,06.08 2013]

38. Догузова А. „Это рай“, „Южная Осетия“, N97, 2013 <http://ugo-osetia.ru>
39. ოთაძე ა. „ოსები საქართველოში“ <http://www.bu.org.ge>
40. Зассеты М. „В добрий путь“, „Южная Осетия“ N98-99, 26.08. 2011] <http://ugo-osetia.ru>
41. ონგუშების გენოციდი <http://gmas.ge/>
42. ოსები ონგუშების ნინაღმდევ <http://gmas.ge/>
43. ფიურა ალ. „კავკასიონან“ დღიური გზა თბილისიდან ვლადიკავკაზამდე“, გვ. 358.
ოთაძე ა. „ოსები საქართველოში“ <http://www.bu.org.ge>
44. ოქვე.
45. ოქვე.
46. Дзукоеva Н. „ПРОСТИ МЕНЯ, ЦХИНВАЛ!“. [<http://www.darial-online.ru/2009>
47. ოქვე.
48. ოქვე

სპანეინავისტიკა

მარიამ მანია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

რუსეთი-ქვაზი გაცოცელებული ისტორია

რუსები გერმანელი ტომებისთვის უძველეს ანბანს წარმოადგენს. რუსული დამწერლობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საერთო გერმანიკული წერითი ნიშნები შესრულებული ხეზე, ქვაზე, ძვალზე, ლითონზე, მოგვიანებით კი – ქალადლზეც. ამ დამწერლობის ნიშნები განსაკუთრებული მოხაზულობისაა, უფრო ზუსტად კი, მათ აქვთ სპეციფიკურად კუთხოვანი ფორმა. ეს კი აიხსნება რუსებისთვის დამახასიათებელი წერის ტექნიკით, ამოტვიფრა-ამოკანვრით, რადგანაც როგორც უკვე ვახსენეთ, ისინი ძირითადად მაგარ მასალაზე- ხეზე, ძვალზე, ქვაზე, ლითონზე სრულდებოდა. უფრო მეტიც, რუსული დამწერლობის ძეგლებს ვხდებით კლდეებზეც კი.

პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი, რომაელი ისტორიკოსი, რომელიც გერმანიკული ტომების შესახებ უძველეს წყაროების ავტორია, წერს რომ გერმანიკულ ტომებს ჰქონდათ ნიშნები - ნოტაე, რომლებსაც ისინი ხის ჯოხებზე ტვიფრავდნენ და მისნობის და ნინასწარმეტყველებისთვის იყენებდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ თვითონ სიტყვა „რუსა“ ნიშნავდა საიდუმლოს და ამ სიტყვით მაგიურ წარწერებს მოიხსენიებდნენ. თუმცა, შემდეგ რუსამ ფუნქცია შეიცვალა და ის უკვე ამგვარი წარწერებისთვის გამოყენებული ნიშნების აღმნიშვნელ სიტყვად იქცა.

რუსული წარწერებით შესრულებული გერმანიკული წერილობითი ძეგლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ გერმანიკული ენის უძველეს არქაულ ფორმებს. მიღებულია მოსაზრება, რომ ეს ანბანი შეიქმნა I-II საუკუნეებში და გამოიყენებოდა შუა საუკუნეებამდე, ხოლო გავრცელებული იყო გრენლანდიდან დნეპრისპირეთამდე, ჩრდილოეთ სკანდინავიდან ბალკანეთამდე. თუმცა, პალეოგრაფიული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, რუსები გაცილებით ადრე, დაახლოებით ძ.წ. მეორე ათასწლეულის დასასრულსა და პირველი ათასწლეულის დასაწყისში შეიქმნა. ეს კი შეიძლება აიხსნას იმით, რომ თავდაპირველად ისინი წარმოადგენდნენ მაგიურ ნიშნებს, ხოლო მათი სისტემატიზაცია მოხდა თანდათანობით. ამ პროცესში კი დასრულებული სახე მიახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მიიღი და დაუახლლოვდა ჩვეულებრივ ანბანურ სისტემას. სწორედ ამის შემდეგ, ანუ როცა რუსებმა მიიღო ბერითი მნიშვნელობა იწყება მათი გაშიფრვა. რუსული ანბანის წარმოშობის თეორიებისა და პერიოდის შესახებ დღემდე არ არსებობს ერთხმად აღიარებული გადაწყვეტილება.

რუსების წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად დაკავშირებულია ისეთ პრობლემატურ საკითხთან, როგორიცაა ანბანის შექმნის ისტორია. კერძოდ, ზოგი მკვლევარი (ლიუდვიგ ვიმერი, პოლგერ პედერსენი, სიგურდ აგრელი) მიიჩნევდა, რომ რუსების წარმოშობა დაკავშირებული იყო ლათინურ ანბანთან და ამის დაშვების საფუძვლად მიიჩნეოდა რუსიკული დამწერლობის დაახლოებით ათი ნიშნის ფიზიკური მსგავსება ლათინური ანბანის ასო-ნიშნებთან. თუმცა, ეს მოსაზრება მალევე იქნა უარყოფილი. იყვნენ მკვლევრები (სოფუს ბუგე, ოტო ფონ რისერი), რომლებიც რუსების წარმოშობის საწყისებს არქაულ ბერძნულ წერილობით სისტემაში ეძებდნენ. თუმცა, არც ეს პიპოთება აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. ადოლფ ჰიტლერის პერიოდში განვითარებული მოსაზრება, რომ რუსების ფუძემდებლები გერმანელები იყვნენ, თუმცა ვერც ამ იდეამ მოიპოვა რაიმე სერიოზული მხარდაჭერა. მოსაზრება, რომელიც უკავშირდება რუსების ჩრდილოეტრუსული ანბანისგან მომდინარეობას, ყველაზე აღიარებული და აქტუალური გამოდგა. აღნიშნული ანბანი არ მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს1 და ის ძირითადად პრეიტა-

ლიკური ტომების მიერ გამოიყენებოდა აღმოსავლეთ იტალიაში. ეტრუსკების ე.წ. მაღალი კულტურა გავლენას ახდენდა ჩრდილოიტალიკურ ტომებზე, რომლებთანაც უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდნენ გერმანიკული ტომები. რუნიკული ანბანი ჰგავს ჩრდილოეტრუსკულ ანბანს. ამავდროულად, რუნული ტექსტები აღმოჩნდნილია ალპების აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო თავის მხრივ გერმანიკულ წარწერებს ვხდებით სუბალპურ ანბანზეც. მაგალითად, 1812 წელს ასვტრია-უნგრეთში აღმოაჩინეს ბრინჯაოს მუზარადები, რომლებზეც წარწერა ალპური ნიშნებით იყო შესრულებული, მაგრამ იყითხებოდა გერმანული ტექსტი. რუნების ჩრდილოეტრუსკული ანბანისგან მომდინარეობის თეორიას საფუძველი ჩაუყარა გერმანელმა მეცნიერმა კარლ ვაინჟოლდმა, რომელმაც 1856 წელს უარყო რუნების წარმომობის ლათინური და ბერძნული მოსაზრებები და თქვა, რომ ეს ანბანი გერმანულ ტომებში გავრცელდა ჩრდილოიტალიკურ-ეტრუსკულის შუამავლობით. შემდგომში ეს თეორია განავითარა და განამტკიცა ნორვეგიელმა მეცნიერმა, კარლ მარსტრანდერმა, რომლის თანახმადაც ჩრდილოეტრუსკული ნიშნების მიხედვით ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში მარკომანების 2 ტომმა ზემო რაინისა და ზემო დუნაის რეგიონში რუნული დამწერლობა შექმნა.

რუნული ანბანი ბერძნული და ლათინური ანბანებისგან განსხვავდება ასოთა თანმიმდევრობით და სწორედ ასოთა თანმიმდევრობა გახდა ამოსავალი წერტილი კლასიკური რუნული დამწერლობისა სახელნოდების – პირველი ექვსი რუნის ფონების შესაბამისად მას „ფუთარქი“ ენოდა (ფუბარკ). კლასიკური რუნული დამწერლობა შედგებოდა 24 ნიშნისგან. ანბანი იყოფოდა სამ ჯგუფად (ეტირად) და თითოეულში შედიოდა 8 რუნა. ყველა რუნას გააჩნდა დასახელება. ხოლო, თავად რუნის ფონეტიკური წარმომავლობა ასე არის განსაზღვრული:

- 1 – მეცნიერების მიერ არ არის დადგენილი ენათა რომელ ოჯახს ეკუთვნოდა ეტრუსკული.
- 2 – ძველ გერმანელთა ტომი. ძვ. წ. I ათასწლეულის II წახევარში სახლობდნენ თანამედროვე საქსონისა და თიურინგიის ტერიტორიაზე.

მნიშვნელობა სწორედ ამ დასახელების პირველ ასოს შეესაბამებოდა.

მოგვიანებით, კერძოდ კი მეცხრე საუკუნიდან იქმნება ე.წ. სკანდინავიური, ანუ ახალი რუნები. სკანდინავიაში შემცირდა რუნების რაოდენობა ანბანში და იგი 16-მდე დავიდა.

თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ სკანდინავიურ ენებში არსებული 40-ამდებერა გადმოეცა 16 რუნიან დამწერლობას. რუნათა ამ სახესხვაობაში თავის მხრივ გამოიყოფა დანიური და შვედურ-ნორვეგიული ვარიანტი, რომელთა შორის სხვაობა იყო ის, რომ დანიური რუნა ნაკლებად განიცდიდა ცვლილებებს მოხატულობის თვალსაზრისით მაშინ, როცა შვედურ-ნორვეგიული ვარიანტი მიისწრაფოდა გრაფიკული მინიმალზაფირისაკენ. მოგვიანებით კი ნორვეგიულმა ვარიანტმა დამოუკიდებლად დაიწყო განვითარება და დაუახლოვდა დანიურ რუნებს. ახალი რუნები სკანდინავიაში ფართოდ გამოიყენებოდა მეთორმეტე საუკუნებდე.

არსებობდა რუნების სხვა ლოკალური ვარიანტებიც. მაგალითად, გოთური რუნები – საეერთო გერმანული ადრეული სახესახვაობა, დათარილებული პირველიდან მეოთხე საუკუნემდე; ანგლოსაქსური რუნები – ბრიტანეთის კუნძულებზე გერმანული ტომების (ანგლების, საქსების, იუტების) გადასახლების შემდეგ განვითარებული; მარკომანული რუნები - თვითონ მარკომანებთან მას არავითარი საერთო არ აქვს. ის წარმოადგენს საერთოგერმანული და ანგლოსაქსონური რუნების საინტერესო ნაზავს და დათარილებული მეშვიდე-მერვე საუკუნეებით; ჰელსინკის რუნები – შექმნილი სავარაუდო შვედეთში, მელარენის ტბის მახლობლად და დათარილებული მეთერთმეტე საუკუნით; მენის რუნები – ნორვეგიული რუნების ისეთი ვარიანტი, რომელშიც არ არის 16 რუნაც კი და თარიღდება მეთორმეტე საუკუნით; წერტილოვანი რუნები – შვედურ-ნორვეგიული ვარიანტის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი, დათარილებული მეთორმეტე საუკუნით.

გარდა სკანდინავიაში აღმოჩნდნილი რუნებისა, ყურადღებას იქცევს 1898 წელს აშშ-ში, კენსინგტონში (მინესოტას შტატი) აღმოჩნდნილი რუნული ქვა. ფილა 92 კილოგრამს იწონის და შეადგება გრაუვაკის დანალექი ქანებისგან. კენსინგტონის რუნული ქვა თარიღდება მე-14 საუკუნით, რამაც მოსაზრება ამერიკის ვიკინგების მიერ აღმოჩნდნის შესახებ გაამყარა (ამერიკის კონტინენტზე აღმოჩნდნილია არქეოლოგიური მასალაც). ამ ქვის გარშემო არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. ზოგი მეცნიერი მას ყალბს უწოდებს, ზოგისთვის კი ის ამერიკას ვიკინგების აღმოჩნდებს,

რადგან ამ ფილის მიხედვით ისინი იქ ქრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობამდე ბევრად ადრე იმყოფებოდნენ.

რუნების ცალკეული ვარიანტების შესწავლა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ეს არის წერილობითი ძეგლები, რომლის არამხოლოდ სემანტიკური გაშიფრვა ჰქონის ნათელს ისტორიულ ფაქტებს, არამედ გარეგნული გამოხატვის თავისებურებები და ფუნქციური მნიშვნელობა ფაქტობრივად გასაღებია იმ ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურისათვის, რომლებიც ამ დამწერლობას იყენებდნენ, მეტად განსხვავებულს სხვა აზბანური დამწერლობებისგან.

ლიტერატურა:

1. მარგალიტაძე თ. გერმანიკული დამწერლობის ისტორია. <http://margaliti.com/members/lect4geo2014.pdf>
ქვრივიშვილი ო. 2010. კოლხური რუნები. ევროპული რუნები.
Kensington Runestone https://en.wikipedia.org/wiki/Kensington_Runestone
3. Stocklund M. 2006. Runes and Their Secrets: Study in Runology
4. https://books.google.ge/books?id=USIpSluLe10C&pg=PA385&redir_esc=y&hl=en#v=onepage&q&f=false

ნანი მეტრეველი, სოფიკო ქსოვრელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

კათილდღეობის სახელმიწოდებლის მოღალეობი: ნორდიკული ქვეყნები

კაცობრიობის არსებობის მანძილზე, ალბათ, სამართლიანი იქნება, თუ ყველაზე რთულ და კომპლექსურ პერიოდად ეკონომიკური სფეროს განხილვის დროს დასახელდება მეოცე საუკუნე, რადგან, ამ ასწლეულმა მსოფლიო ყველაზე მსხვილმასშტაბიან ომებსა და დიდ სისხლისფრამდე მიიყვანა ინტერესთა სხვადასხვაობის გამო და ამ ინტერესებში, უპირველესად იგულისხმება პოლიტიკური იდეოლოგიების თანხვედრის არარსებობა.

მეოცე საუკუნეში მსოფლიო გახდა უშუალო არენა ორი უდიდესი ეკონომიკური სისტემის დაპირისპირებისა, რომლებიც თავიანთი მასშტაბური ხასიათის წყალობით გასცდა ეკონომიკურ საზღვრებს და ჩამოყალიბდა იდეოლოგიებად.

სამყაროში, სადაც კერძო საკუთრებისა და კონკურენციის მხარდამჭერი სისტემა დაუპირისპირდა სოციალური თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების პრინციპების იდეის დამცველ სისტემას, ჩნდება ახალი ალტერნატივის შექმნის საჭიროება. ეს მოვლენა კი ისტორიის ფურცლებზე ჩაიწერა „მესამე გზის“ სახელით.

დღესდღეობით ყველა საუბრობს ნორდიკული მოდელის ფართომასშტაბიან წარმატებაზე. ალნიშნული მოდელი უცილობლივ განიხილება ეტალონად მრავალი ეკონომიკური და სოციალური კვლევების მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით. მისი ამგვარი წარმატება, ალბათ, პირველ რიგში, უნდა აიხსნას მისივე მახასიათებლების ეფექტურობით.

უპირველესად, ნორდიკული მოდელი წარმოადგენს კეთილდღეობის სკანდინავიურ სახეცვლილებას, რომელიც ძირულადა დაფუძნებული მთელ რიგ ღირებულებებზე:

- კეთილდღეობა, ეკონომიკური განვითარება;
- თანასწორობა;
- სოციალური დაცვა;
- ნდობა.

ნორდიკული მოდელის განსაკუთრებულობას განაპირობებს მისივე მახასიათებლები, როგორც ზემოთ აღინიშნა. ისინი კი, უპირველესად მდგომარეობს შემდეგში:

იგი წარმოადგენს კაპიტალისტური თავისუფალი ბაზრისა და სოციალისტური სარგებლის უნიკალურ კომპინაციას, რაც ძირითადი მიზეზია იმისა, რომ ნორდიკული საზოგადოება თამამად ლიდერობს კეთილდღეობის სახელმწიფოთა რეიტინგებში და სარგებლობს ისეთი მაღალი ხარისხის სერვისებით, როგორცაა: უფასო განათლება, უნივერსალური ჯანდაცვა, საკუთრების შეულახავი უფლებებით, ბიზნესის კეთებისათვის მარტივი და ხელსაყრელი პირობების არსებობა, თავისუფალი ვაჭრობის დაბალი ბარიერები, სახალხო პენსიების სქემები და ა.შ.

მიუხედავად ნორდიკული კეთილდღეობის მოდელის მიმართ გამოთქმული უამრავი საქებარი სიტყვისა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ დროთა განმავლობაში თანდათან უჩვეულო ეფექტურობას კარგავს აღნიშნული მოდელი. ამას რამდენიმე წლის წინ არსებული კრიზისიც კი ამტკიცებს, რომელმაც საკმაოდ დიდი დანაკარგი მოუტანა სკანდინავიურ ხუთეულს. მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიამ და შვედეთმა მეტ-ნაკლებად ადვილად გადაიტანა რთული ეკონომიკური პერიოდი, დანიასა და ფინეთისთვის „დაცემიდან აღზევებამდე“ გზა არ ყოფილა ადვილად გასავლელი, ხოლო ისლანდიას კი მნიშვნელოვანი ზარალი დაატყდა თავს, რადგან ბანკების გაკოტრებამ პირდაპირი რეაქციით გამოიწვია რეცესია.

კრიტიკოსები და, ასევე, მომხრებიც თანხმდებიან, რომ მსოფლიოში არსებული განვითარების სწრაფი ტემპი უმთავრესი მიზეზია ნორდიკული მოდელის ეფექტურობის შესუსტებისა. სხვა ძირითად მიზეზებად კი, როგორც წესი, განიხილება:

- გლობალური კონკურენცია;
- ტექნოლოგიური პროგრესი;
- მოსახლეობისა და სამუშაო ძალის დაბერების პროცესი.

რა თქმა უნდა, აქტიურად განიხილება მთელი რიგი ქმედებებისა და ღონისძიებებისა, რომ-ლებმაც, შესაძლებელია, კონკურენცია გაუწიოს ზემოთ დასახელებულ ნორდიკული მოდელის შემასუსტებელ ფაქტორებს:

- განათლების, ცოდნისა და გამოცდილების გაუმჯობესება;
- მეტი ხალხის ჩართვა სამსახურებში: მაგალითად, საპენსიო ასაკის გაზრდა;
- შრომის ბაზარზე მეტი მოქნილობის ხელშეწყობა;
- გადასახადების რეფორმები;
- მოსახერხებელი პირობების შექმნა ინვაციებისთვის;
- უფრო მეტად ქმედითი საჯარო სექტორების არსებობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდის შვედეთში წარმატებულად გამოინახა „მესამე გზა. შვედური ეკონომიკური მოდელი როგორც სოციალიზმის, ასევე კაპიტალიზმის ელემენტებით საზრდოობდა: წარმოების საშუალებები უმეტესად კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა სოციალური დაცვის უპრეცედენტო სისტემისა და მსოფლიოში ყველაზე მაღალი გადასახადების მეშვეობით, აქ სოციალური სამართლიანობის მაღალი დონეც იყო.

შემდგომში უკვე გაჩნდა კითხვები: რამდენად მოხერხდება სოციალური დაცვის ასეთი მაღალი დონის შენარჩუნება მზარდი გლობალური კონკურენტული ეკონომიკის პირობებში. ამ საკითხთან დაკავშირებით საფრთხე თავად შვედეთმაც იგრძნო, ამიტომ თანდათან, საერთაშორისო კონკურენციის წესის გამო (მეოცე საუკუნის 80-90იანი წლები) უარი თქვეს საყოველთაო კეთილდღეობის პრიორიტეტულ ტენდენციებზე.

ნორვეგია:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კეთილდღეობის სახელმწიფო ეს არის სახელმწიფო, რომელიც საზოგადოების წევრებს აძლევს დახმარების გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ჯანმრთელობის ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები, არ აქვთ შემოსავალი, სამსახური... გარდა ამისა, უზრუნველყოფს მოქალაქეებს განათლების უფლებით. კეთილდღეობის სახელმწიფო მოიცავს ისეთ სამთავრობო ღონისძიებებს, როგორიცაა: სოციალური პოლიტიკა – დაკავშირებული ასაკთან თუ ინვალიდობასთან, უმუშევრობასა თუ სოციალურ მხარდაჭერასთან; ჯანდაცვის მომსახურება – საავადმყოფოები და მოხუცთა სახლები; საგანმანათლებლო დაწესებულებები – სკოლები და უნივერსიტეტები; საოჯახო პოლიტიკის ღონისძიებები – ბავშვთა დაზღვევა, დეკრეტული შვებულებები და საბავშვო ბალები.

კეთილდღეობის ღონისძიებები ფინანსდება ან ზოგადად საშემოსავლო გადასახადებიდან, ან სხვადასხვა სახის პრემიებისა და სამომხმარებლო გადასახდების მეშვეობით.

საერთო ჯამში, კეთილდღეობის სახელმწიფო ეს არის დაზღვევის სახელმწიფო, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს მოქალაქეებს სხვადასხვა რისკების წინააღმდეგ, მაგალითად ისეთის, როგორიცაა უმუშევრობა, ავადმყოფობა ან სიკვდილი. თანდათანობით კი სოციალური უფლებები კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის განუყრელ ნაწილად იქცა.

რაც შეეხება თავად კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორვეგიულ მოდელს, ეს არის მეტად ვრცელი და მრავლისმომცველი სახელმწიფოს მაგალითი, რომელიც უნივერსალური კეთილდღეობის უფლებებით ხასიათდება, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველას აქვს თანაბარი უფლება მიიღოს კეთილდღეობის სარგებელი, განურჩევლად სქესისა და შემოსავლებისა. ამის საპირისპირო საჭიროების შემოწმება და სელექციური ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია იმ ადამიანების მიმართ, ვინც ფიქსირებული საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიული მოდელისთვის დამახასიათებელ უნივერსალურობაში, პირველ რიგში, იგულისხმება კეთილდღეობის ფარგლებში არსებული მომსახურება: მაღალი და დაბალი შემოსავლების მქონე ნორვეგიელებს აქვთ თანაბარი ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, განათლებასა თუ სხვა სახის სერვისის მიღებაზე. სახელმწიფო გადარიცხვები, მინიმალურ ზღვარს ზევით, როგორც წესი ფასდება შემოსავლების მიხედვით, გარკვეული გამონაკლისების გარდა, მაგალითად როგორიცაა ბავშვთა დაზღვევა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი ნორვეგიაში არის ის, რომ უნივერსალური მომსახურება წარმოდგენილი იყოს ისეთი მაღალი ხარისხით, რომ მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანებს არ გაუჩინდეთ სურვილი და მოთხოვნილება იმავე სახის მომსახურება მიიღონ კერძო დაწესებულებებში. ის ფაქტი, რომ მოსახლეობის უმრავლესობა სარგებლობს საზოგადოებრივი მომსახურებით, წარმოადგენს წინაპირობას კეთილდღეობის სახელმწიფოს მხარდაჭერისა.

ნორვეგიაში, კეთილდღეობის სახელმწიფოს დაფინანსება დიდწილად ხდება საერთო, გენერალური დაბეგვრის მეშვეობით, ანუ შემოსავლების, გასავლებისა და დოვლათის გადასახადებით, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული კეთილდღეობის სარგებლობა. საზოგადოებრივი მომსახურების დიდი წანილი არის უფასო ან, ზოგ შემთხვევაში, საჭიროებს მცირე თანხების დამატებას მოქალაქეებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ვისაც მეტი შემოსავალი აქვს, იხდიან მეტ გადასახადს, საზოგადოებრივი სარგებელი შედარებით თანაბრად წანილდება მთელ მოსახლეობაში. ეს კი ნორვეგიული კეთილდღეობის სახელმწიფოს მნიშვნელოვნად სძენს გადანანილების ეფექტს. კეთილდღეობის სახელმწიფოს ყოვლისმომცელობა წარმოადგენს მიზეზს იმისა, რომ შემოსავლების უთანასწორობა ნორვეგიაში არის გაცილებით ნაკლები, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ნორვეგიამ და სხვა ნორდიკულმა ქვეყნებმა, მცირე და ღია ეკონომიკის ფარგლებში, დროთა განმავლობაში მოახერხეს დაეკავშირებინათ ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა კარგად ფუნქციონირებად შრომის ბაზართან, რის მიზანსაც წარმოადგენდა: შრომის ბაზარში მაღალი ჩართულობა, შემოსავლების სამართლიანი განაწილება, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა და მეტნილად სოციალური თანასწორობის მიღწევა. კეთილდღეობის ნორვეგიული მოდელის ძირითად თავისებურებებში მიჩნევენ შემდეგს:

სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მაღალ პროფესიონალურ ჩართულობას, მათ შორის უფასო განათლებისა და აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის ხაზგასმით.

კარგად რეგულირებული სამუშაო გარემო და სამმხრივი თანამშრომლობა ძლიერ დამსაქმებელ და მშრომელთა ორგანიზაციებს შორის.

საგადასახადო გადასახადის მნიშვნელოვნად მაღალი ზღვარის მეშვეობით დაფინანსება კეთილდღეობის საჯარო ობიექტებისა და მომსახურების მაღალი ხარისხის შეთავაზება, მათ შორის ჯანდაცვა და განათლება, კანონით დადგენილი უფლებების სრულად გამოყენება და სარგებლობა.

კარგად განვითარებული და უნივერსალური კეთილდღეობის სისტემა, რომელიც ხასიათდება უმუშევრებისთვის, ავადმყოფებისთვის, ინვალიდებისა თუ მოხუცებისთვის მაღალი გადარიცხვებით დახმარების სახით.

ვრცელი საოჯახო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სქესთა შორის თანასწორობას.

ნორვეგიული მოდელი კეთილდღეობის პოლიტიკის ძლიერი ამბიციებით ხასიათდება. მონაწილეობის მაღალი ხარისხი ყველა ჯგუფისთვის, მათ შორის მოხუცებისთვის, იმიგრანტებისთვის, ქალებისა და სამუშაოდ უნარდაქვეითებულთათვის არის ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური მიზანი ეკონომიკური და იმ თვალსაზრისით, რომ სამუშაო გარემო არის სოციალური ჩართულობის უმნიშვნელოვანესი არენა. ამავე დროს ფართოდ არის აღიარებული, რომ ადამიანები, რომლებიც ვერ მონაწილეობენ შრომის ბაზარში, უნდა იყვნენ უზრუნველყოფილები გარკვეული დონის ცხოვრების სტანდარტებით.

კეთილდღეობის ნორდიკული მოდელის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს ნდობის მაღალი ხარისხი, როგორც ეს გამოკითხვებშია დაფიქსირებული. ნორდიკული ქვეყნების მოქალაქეები გამოხატავენ ნდობას როგორც ერთმანეთის, ისე ხელისუფლების მიმართ და ნდობის ხარისხით ეს ქვეყნები მოწინავე ადგილას დგანან მთელს ევროპაში. ნდობა არის უმნიშვნე-

ლოვანესი თვისება ბაზრის განვითარებისთვის და მას შეიძლება პქონდეს კონკურენტული უპირატესობა: ის ფაქტი რომ სკანდინავიური ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ ნდობის მაღალი ხარისხი ერთმანეთის, სასამართლოსა თუ სხვა საჯარო დაწესებულებების მიმართ, სახელმწიფოს ებმარება შეამციროს ფინანსური საოპერაციო ხარჯები. ეფექტური სოციალური ინსტიტუტები არსი ერთერთი იმ მიზეზთაგანი, თუ რატომ აქვს ამ ქვეყნებს მაღალი შეფასება სამრეწველო ბიზნესში და როგორი ადვილია ბიზნესის კეთება სხვადასხვა ქვეყანაში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს რომ ხელისუფლებისა და სისტემისადმი ნდობა აუცილებელია კეთილდღეობის სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორვეგიულ მოდელს აქვს ძალიან ბევრი მსგავსება იმ ღონისძიებებთან, რომელსაც ატარებენ შვედეთსა და დანიაში, სამივე სახელმწიფოს მიაკუთვნებენ კეთილდღეობის სკანდინავიურ, ან სოციალურ-დემოკრატიული კეთილდღეობის მოდელს.

სოციალურ-დემოკრატიული მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება კეთილდღეობის ლიბერალური მოდელისგან, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ანგლოსაქსურ სახელმწიფოებში გვხვდება. ლიბერალური კეთილდღეობის სახელმწიფოები დიდწილად წარმოადგენს როგორც სადაზღვევო სისტემებს, სადაც კეთილდღეობის სარგებლის მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი აქვს ადამიანს გადახდილი სახელმწიფოსთვის. ამ სისტემებში, საზოგადოებრივი სარგებელი გადასახადებისგან არის საკმაოდ ზომიერი, როგორც მასშტაბით, ის ხარისხით და ძირითადად მიმართულია მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენაზე. მაგალითად აშშ-ში არ არსებობს სახელმწიფო დაზღვევის სისეტმა, რომელიც მოიცავს მთელს მოსახლეობას. არსებობს მომსახურების მინიმალური პაკეტი, რომელიც გათვლილია მოხუცებზე, ინვალიდებსა და უღარიბეს ადამიანებზე, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი იხდის თანხას კერძო სადაზღვევო კომპანიებში ან ბიზნეს ორგანიზაციებში, რომელთა მეშვეობითაც იღებენ სათანადო მომსახურებას.

ლიტერატურა:

1. <http://www.investopedia.com/articles/investing/100714/nordic-model-pros-and-cons.asp>
2. <https://www.youtube.com/watch?v=d99DY1jcGqI>
3. <https://www.regjeringen.no/no/dokumenter/nou-2011-07/id642496/sec4>
4. <https://snl.no/velferdsstat>
5. https://no.wikipedia.org/wiki/Den_norske_velferdsstaten

გამომცემლობის
რედაქტორი

მაია ეჯიბია

გარეკანის დიზაინერი

მარიამ ებრალიძე

დამკაბადონებელი

ეკატერინე თეთრაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge